CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 29 აპრილი, 2009 წელი. №92 (2130) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

 იხილეთ ჩანართი




მექსიკა - ღორის გრიპის ეპიცენტრი

A14



ზაზა ფაჩულიამ "ატლანტას" სეზონის მთავარი მატჩი მოაგებინა

A14



# მიტევების დღის პოლიტიკური ელფერი

დათო გამისონია

*ხანგრძლივი პოლიტიკური გათიშულობის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოწოდებამ, პოლიტიკურ ოპონენტებს ხელის ჩამორთმევის შესაძლებლობა მისცა.*

გუშინ სამების საკათედრო ტაძარში იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მან ტაძრიდან მთელ საქართველოს მიმართა: **ახლა არის ის დრო, როცა, განსხვავებების მიუხედავად, ქართველებმა უნდა ისწავლონ საკუთარ თავზე მაღლა დადგომა და ერთმანეთისთვის ხელის გაწვდენა.** ნათქვამის სიმბოლურად გამოხატვისთვის, პრეზიდენტი ტაძარში მყოფ ირაკლი ალასანიასთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. მას შემდეგ, რაც საქართველოს სხვადასხვა ტაძრებში შენდობის ლოცვის წაკითხვა დასრულდა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდნენ.

რადგან სამების ტაძარში მმართველი ძალის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, აქ არ გამოჩენილან ხელისუფლების რადიკალური ოპონენტები. ისინი შენდობის ლოცვას სხვადასხვა ეკლესიებში დაესწრნენ. ალიანსი საქართველოსთვის ლიდერი ირაკლი ალასანია იყო პოლიტიკური ოპოზიციის ერთადერთი ლიდერი, ვინც სამების საკათედრო ტაძარში მივიდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნაბიჯი რუსეთის იძულებისკენ

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთმა კიდევ ერთი მტკივნეული დარტყმა მიიღო. ევროსაბჭო კრემლისგან კვლავ დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობაზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას. რუსულმა დელეგაციამ საკუთარი შესწორებების შეტანა ვერც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის პროექტში შეძლო. თუმცა, რუსეთის წარმომადგენლები ღიად აცხადებენ, რომ ევროპის რეკომენდაციებს არ გაითვალისწინებენ და სრული დაუსჯელობის იმედი აქვთ.*



ტერი დევისი

რუსეთ-საქართველოს ომის საკითხი გუშინ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის მსვლელობისას, აქტიური მსჯელობის საგანი გახდა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ლუის მარია დე პუჩმა გუშინ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ევროპა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ აპირებს.

**"რუსეთი ერთადერთია, ვინც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ეს ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილებია - ასეთია საქართველოს პოზიცია, ამიტომ რუსეთის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობა არაფერს ცვლის,"** - განაცხადა დე პუჩმა. მისი თქმით, **"რუსეთი იძულებული გახდება, ეს გადაწყვეტილება გააუქმოს."**

**"ჩვენს პარტნიორებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოს კონფლიქტის რეგიონებში ცეცხლი აღარ გაიხსნას და ამას რეზოლუციებშიც დავაფიქსირებთ,"** - განაცხადა ასამბლეის პრეზიდენტმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მოთმინების ზღვარზე

თამარ ხორბალაძე

*პოლიტიკოსები გამოეხმაურნენ საქართველოს პატრიარქის მოწოდებას ტაძარში მისვლისა და მონანიების შესახებ, თუმცა - საკუთარი ინტერპრეტაციით. პარტიების უმრავლესობამ ერთ ტაძარში მისვლისგან და გვერდიგვერდ დადგომისგან თავი შეიკავეს.*

გუშინ 18:00 საათზე ხელისუფლება - სამებაში, რადიკალური ოპოზიციის უმრავლესობა კი ქაშუეთსა და სიონში ინანიებდა ცოდვებს. საგულისხმოა, რომ სამებაში ოპოზიცია მაინც გამოჩნდა - საპარლამენტო ოპოზიციისა და ირაკლი ალასანიას სახით. რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკონ პოლიტიკოსებმა იმაზე, რომ ტაძრის შერჩევა გუშინ "პოლიტიკური აქტი" არ ყოფილა, პოლიტიკური პარტიების არჩევანმა და სამებაში მისული ირაკლი ალასანიას განცხადებამ იმის შესახებ, რომ ოპოზიცია ხელისუფლებისგან შემოთავაზებას და დიალოგის თემებს ელის, ნათელყო - მოვლენები საქართველოში სულაც არ ვითარდება ცალსახად და პოლიტიკურ დაფაზე დღეს მხოლოდ თეთრებსა და შავებს შორის არ მიდის პაექრობა.

ერთი რამ ფაქტია - გასული წლისგან განსხვავებით, რადიკალური ოპოზიციის უმრავლესობამ არ გამოიყენა პატრიარქის შეთავაზება (ერთი წლის წინათ შიმშილობა ოპოზიციონერებმა პატრიარქის მიერ მიწოდებული სეფისკვერების მიღების შემდეგ შეწყვიტეს), არც "მეტად სულიერობაზე" პრეტენზია გამოუთქვამს რომელიმე მხარეს - პატრიარქმა ხომ მოწოდებაში სწორედ ასე ბრძანა: დაუთმობს "მეტად სულიერი". ამ პროცესს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც უკვე კარგა ხანია, უწოდეს ნერვების ომი.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## მარიონეტები "საკუთარ" საზღვარს რუსეთს "ანდობენ"

სავარაუდოდ დღეს, სეპარატისტული სოხუმი და მოსკოვი აფხაზეთის საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ ხელშეკრულებას გააფორმებენ. ამ მისიის აღსრულებისთვის მოსკოვში იმყოფება აფხაზი მარიონეტების დელეგაცია სერგეი ბაგაფშის ხელმძღვანელობით

**ეს კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების დაცვისა და რუსეთთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად იდგმება,** - აცხადებს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომელიც ასევე დელეგაციის შემადგენლობაშია.

დღესვე ანალოგიური დოკუმენტის გაფორმება ცხინვალსა და მოსკოვს შორისაც იგეგმება.

**სამხრეთ ოსეთის დელეგაცია მოსკოვში პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის ხელმძღვანელობით ჩავა. იქ საზღვრების დაცვის ერთობლივი ძალისხმევის შეთანხმებას მოეწერება ხელი,** - აცხადებენ ცხინვალის რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში. თბილისში ამ ქმედებებს რუსეთის სტრატეგიის გაგრძელებად აფასებენ და საერთაშორისო თანამეგობრობას შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავენ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა აუცილებლად მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მსგავს ქმედებებს მძაფრი რეაგირება მოყვეს.

გია გვაზავას განმარტებით, სეპარატისტების მხრიდან ასეთ ნაბიჯს ყოველთვის ექნება ადგილი და სამწუხარო ის არის, რომ ამ ქმედების შეჩერება ვერ ხერხდება.

**საერთაშორისო საზოგადოება აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ამ ქმედებებზე სათანადოდ და უფრო მძაფრად უნდა რეაგირებდეს. ვფიქრობ, ამ თემაზე ევროსაბჭოს შემდგომ სხდომაზეც იქნება საუბარი, თუმცა ეს არ იქნება მთავარი და ძირითადი საკითხი,** - აღნიშნავს გვაზავა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## მიხეილ სააკაშვილის წიგნის - "ვსაუბრობ თავისუფლებაზე" - პრეზენტაცია

ლიტვურმა გამომცემლობამ "ბანკოს ლანკოსმა" საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მონაყოლის მიხედვით გამოსცა წიგნი, სახელწოდებით - "ვსაუბრობ თავისუფლებაზე". წიგნი ფრანგულ და ლიტვურ ენებზეა გამოცემული. წიგნი აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაიწერა და მის პრეზენტაციას ვილნიუსში საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი დაესწრო. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი ცხოვრების, გეგმების, ოცნებებისა და არსებული საერთაშორისო კრიზისის შესახებ საუბრობს. წიგნში დიდი ადგილი უკავია აგვისტოში მომხდარ რუსეთ-საქართველოს ომს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საქართველოში მცხოვრები ჩეჩნები დევნილის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ

საქართველოში მცხოვრებმა 90-მდე ჩეჩენმა 2009 წლის იანვარში ჩეჩნეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის სამმართველოს დევნილობის სტატუსის მისაღებად მიმართა, რათა მათ საკუთარ სამშობლოში დაბრუნება შეძლონ. ამის შესახებ განცხადება ჩეჩნეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის სამმართველოს უფროსმა ასი დადურკაევმა გაკეთა. დადურკაევის თქმით, "სამმართველოს დევნილობის სტატუსის მიღების თხოვნით 90-მდე ჩეჩენმა მიმართა, რომლებიც ითხოვენ მათთვის ვიზების და რუსეთში დაბრუნების საშუალების მიცემას. დადურკაევის ინფორმაციით, ჩეჩნეთში დაბრუნების სურვილი სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტით არის გამოწვეული. "ამ დროისთვის შემოსული განცხადებები განხილვის პროცესშია, როგორც ამას დევნილების შესახებ ფედერალური კანონი ითვალისწინებს. წლის დასაწყისში 760 იძულებით გადაადგილებული ოჯახი ჩეჩნეთსა და ინგუშეთში უკვე დაბრუნდა, რაც, საერთო ჯამში, 3 ათას ადამიანს აღემატება," - განაცხადა დადურკაევმა. მისივე განმარტებით, "ამით ჩვენ შევასრულეთ პრეზიდენტის დავალება, რომელიც ჩეჩნეთის ტერიტორიიდან ყველა იძულებით გადაადგილებული პირის სამშობლოში დაბრუნებას ითვალისწინებდა. 1999 წლიდან ჩვენ უკვე 350 ათასი დევნილი დავუბრუნეთ საკუთარ სახლებს," - განაცხადა დადურკაევმა. მისი ინფორმაციით, 90-იან წლებში ჩეჩნეთი ნახევარ მილიონამდე ადამიანმა დატოვა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ნაბიჯი რუსეთის იძულებისკენ

პირველი გვერდიდან

არანაკლებ კატეგორიული იყო გუშინ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი. მისი თქმით, საქართველოს აგრესიაში დადანაშაულება არასწორია, ვინაიდან ეს ქვეყანა **"ევროპის საბჭოსა და ევროპული თანამეგობრობის ყველა პრინციპს იცავს."**

დევისმა პასუხი გასცა რუსი ჟურნალისტის მოსაზრებას, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას სტალინის მიერ დადგენილი საზღვრების დაცვა უწოდა. გენერალური მდივნის განცხადებით, **"თუ თქვენ ექსპანსიას გულისხმობთ, საქართველოს საზღვრები საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა და ისინი დღესაც უცვლელია."**

გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, მოსახლეობისა და დევნილთა კომიტეტის სხდომაზე რუსეთ-საქართველოს ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ ახალი რეზოლუციის პროექტი განიხილეს. პროექტი კომიტეტში მისი ხელმძღვანელის კორიენ იუნკერის საქართველოში ვიზიტის შემდეგ მომზადდა, რომელმაც ოკუპირებული ტერიტორიაც მოინახულა.

მსჯელობის შედეგად კომიტეტმა ქართული დელეგაციის ყველა ტექნიკური შენიშვნა გაითვალისწინა.

**"თავდაპირველად დოკუმენტში ოკუპირებულ ტერიტორიად მხოლოდ ახალგორი იყო დასახელებული. ახალ რედაქციაში ოკუპირებულ ტერიტორიად მთლიანად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორია დასახელდა,"** - განმარტა საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა.

სამაგიეროდ, რეზოლუციის პროექტში რუსული დელეგაციის მიერ შემოთავაზებული არც ერთი შესწორება არ შესულა. თუმცა, რუსი დეპუტატები თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ევროპის საბჭო მოსკოვის წინააღმდეგ რეზოლუციის შეუსრულებლობის გამო რაიმე სანქციების დაწესებას ვერ გაბედავს.

**"რუსეთს ერთი პოლიტიკა აქვს: თუ დოკუმენტის ტექსტის ფორმულირება არ მოგვწონს, ორგანიზაციის რეკომენდაციას არ შევასრულებთ. ევროპის საბჭო რუსეთის წინააღმდეგ რადიკალური ზეწოლის ბერკეტს - ხმის უფლების ჩამორთმევას ვერ გამოიყენებს,"** - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრმა სერგეი მარკოვმა. ამის მიზეზი კი, მისი თქმით, ის თანხებია, რასაც მოსკოვი ევროსაბჭოს ბიუჯეტში იხდის.

რაც შეეხება რეზოლუციის ტექსტს, მარკოვის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ დოკუმენტის მიხედვით, აგრესორად რუსეთია წარმოჩენილი. **"ამის ნაცვლად, სასურველი იქნებოდა, დავფიქრებულიყავით იმ საფრთხეებზე, რასაც აფხაზები და ოსები სააკაშვილისგან ელიან,"** - აღნიშნა რუსმა დეპუტატმა.

ასამბლეის პლენარულ სესიაზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხზე რეზოლუციის მიღება და დებატები დღეს არის დაგეგმილი. განიხილება ასევე ევროპის საბჭოს თანამომხსენებელთა - ლუკ ვან დერ ბრანდესა და მათიას ეორშის მოხსენება, რომელიც მხარეების მიერ წინა რეზოლუციების შესრულებას ეხება.

ამ დოკუმენტის თანახმად, რუსეთს ასამბლეის მოთხოვნათა უმრავლესობა არ შეუსრულებია. კერძოდ, რუსეთს არ გაუუქმებია გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და არ გაუყვანია ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმის შესაბამისად. გარდა ამისა, რუსეთი ევროკავშირისა და ეუთო-ს დამკვირვებლებს კვლავ არ აძლევს საშუალებას, თავიანთი საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განახორციელონ.

რაც შეეხება საქართველოს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ თბილისს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ჯერ არ გაუთვალისწინებია ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, თუმცა ამისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები **"რეგრესის მდგომარეობაში"** იმყოფება.

# ტერი დევისი: დიალოგის ადგილი ქუჩაში არ არის

ნათია მსხილაძე

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი ქართულ ოპოზიციას ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს. ტერი დევისის პოზიციით, უკეთესი იქნება, თუკი პოლიტიკური მხარეები უთანხმოებას პარლამენტში მოაგვარებენ და არა ქუჩაში. **მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ხალხმა, რომელიც პრეზიდენტს აკრიტიკებს, ეს პარლამენტში უნდა გააკეთოს. გასაგებია, რომ ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ მანდატებზე უარი თქვა, თუმცა არ მესმის, რაში დაეხმარა ეს მათ,** - განაცხადა ტერი დევისმა. მან მაგალითად ბრიტანეთის პარლამენტი მოიყვანა და აღნიშნა, რომ **"ასეთი რამ იქ არასდროს სმენია". მე დიდხანს ვიყავი პარლამენტში, მაგრამ ბრიტანეთის პარლამენტში მსგავსი არაფერი მსმენია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, პარლამენტი მთავრობის მიმართ ჩვენი პრეტენზიების განსახილველად გამოგვეყენებინა,** - აღნიშნა დევისმა.

ტერი დევისის განცხადებას ქართული ოპოზიცია გამოეხმაურა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ტერი დევისს არ აქვს რეალური ინფორმაცია იმის შესახებ, რაც საქართველოში ხდება. **უშიშროების მაღალჩინოსანი მომიტინგეებს წყლიან პარკებს ესვრის და ამავე შენობიდან ტირის თოფიდან ნასროლის გამო ერთერთმა მომიტინგემ პრაქტიკულად თვალი დაკარგა. ამ ყველაფერს კი პარლამენტის თავმჯდომარე ღიმილით პასუხობს. მოითმენდა ამას დიდი ბრიტანეთი?** - კითხულობს ნინო ბურჯანაძე.

"ლეიბორისტების" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ევროსაბჭოს გენერალურ მდივან ტერი დევისს "სააკაშვილის კუდსა და ლობისტს" უწოდებს და მის მოწოდებას ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ არასერიოზულად მიიჩნევს. ნათელაშვილი აღნიშნავს, რომ დევისს დიალოგის შესახებ მოწოდებები თავად მიხეილ სააკაშვილის მისამართით მაშინ უნდა გაეკეთებინა, როცა ის პარლამენტში შეიჭრა და არჩევნები გააყალბა. ნათელაშვილმა ერთგვარი მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ტერი დევისი ინგლისის "ლეიბორისტულ პარტიას" წარმოადგენს და აღნიშნა, რომ **"ქართველ "ლეიბორისტებს" ინგლისის "ლეიბორისტულ პარტიასთან" ურთიერთობა სწორედ დევისის გამო გაუფუჭდათ". მოწოდებები სააკაშვილთან დიალოგის დაწყების შესახებ მგლის თავზე სახარების კითხვას ნიშნავს,** - აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

პარტია "საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის პოზიცია არ მოსწონს. **არა მგონია, ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ კრიმინალურ ხელისუფლებასთან დიალოგი აწარმოონ. არა მგონია, თავის დროზე ტერი დევისს ანალოგიური შეთავაზება გაეკეთებინა მათთვის, ვინც საკუთარ ზონდერ-ბრიგადებს ამა თუ იმ ადგილზე აგზავნის და ასე იმყარებს საკუთარ ხელისუფლებას,** - განაცხადა ზურაბიშვილმა.

კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ ევროსაბჭოს გენერალურ მდივან ტერი დევისის მოწოდება პრეზიდენტ სააკაშვილზე ზეწოლად აღიქვა. **საერთაშორისო ინსტიტუტები სააკაშვილზე ზეწოლას გეგმავენ, იგეგმება სპეციალური ვიზიტები და ვიმედოვნებ, რომ საბოლოოდ მიხეილ სააკაშვილი იძულებული გახდება, საჯარო დიალოგში, პირველ რიგში, ქართულ საზოგადოებასთან ჩაერთოს,** - განაცხადა კუკავამ. კონსერვატიული პარტიის" სხვა ლიდერი ზვიად ძიძიგური საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, ცოტა ღრმად ჩაიხედონ იმ პრობლემებში, რომლებიც საქართველოს აწუხებს. მისი თქმით, ტერი დევისმა დიალოგის შესახებ გააკეთა განცხადება და მან უნდა იცოდეს, რომ საქართველოში პარლამენტი არ არსებობს. **ჩემო ტერი, პარლამენტი, მედია და სასამართლო რომ გვქონდეს, მაშინ რა გვინდა ქუჩაში. ეს ინსტიტუტები არ არსებობს. საქმე ისაა, ჩემო ტერი, რომ ის პარლამენტი, რომელიც პარლამენტი გგონია, სააკაშვილის სურვილებს ასრულებს,** - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა

ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი ტერი დევისს ურჩევს, საქართველოში ჩამოვიდეს, ადგილზე გაეცნოს ვითარებას და რჩევის მოცემა ამის შემდეგ გადაწყვიტოს. **ტერი დევისი ჩამობრძანდეს, ჩვენი აზრი იკითხოს და მერე გვირჩიოს,** -აღნიშნა 24 საათთან საუბრისას კობა დავითაშვილმა.

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთ წევრ მანანა ნაჭყებიას მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, ევროსაბჭომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოზე კონტროლი ხელისუფლების მისამართით გაამკაცრონ. **ტერი დევისი ის ადამიანია, რომელმაც ძალიან კარგად იცის, როგორ ყალბდებოდა 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ასე რომ, ცოტა გაუგებარია მისი პოზიცია. თუმცა დიპლომატიის ენა ყოველთვის გულისხმობს დიალოგს. ევროსაბჭოს ქვეყნების უმრავლესობა, რომელთა სახელითაც საუბრობს ბატონი დევისი, დემოკრატიული სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოებში, რა თქმა უნდა, გაუგებარია ჩვენი პოლიტიკური ძალების პოზიცია, რომლებმაც მანდატებზე უარი თქვეს,** - განაცხადა 24 საათთან საუბრისას მანანა ნაჭყებიამ.

**ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, არ დატოვა სხვა გზა, გარდა ქუჩის საპროტესტო აქციებისა,** - ასე გამოეხმაურა მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის გენერალური მდივანი ეკა ბესელია ტერი დევისის რჩევას პოლიტიკური პროცესების პარლამენტში გადანაცვლების შესახებ. ბესელიას განცხადებით, ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ყველა ცივილიზებული გზა გადაკეტა საიმისოდ, რომ პრობლემები არა ქუჩაში, არამედ საკანონმდებლო ორგანოში გადაწყვეტილიყო.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მიტევების დღის პოლიტიკური ელფერი

პირველი გვერდიდან



რაც შეეხება ხელისუფლებას, პარლამენტის თავმჯდომარის, თბილისის მერის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მისვლის შემდეგ, ტაძარში გამოჩნდა საქართველოს პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილმა მთელ საქართველოს მიმართა. მიხეილ სააკაშვილმა გაიმეორა პატრიარქის სიტყვები - **ცოდვილთაგან პირველი მე ვარ .** პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შეიძლება მხარეები ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ განახლდეს ის, რისი მოლოდინიც დიდი ხანია არის. ის მიიჩნევს, რომ **აუცილებელია ერთმანეთთან საუბარი, რომ დავეხმაროთ ჩვენს ხალხს, თუ როგორ გადავლახოთ ჩვენი ქვეყნის სიძნელეები და გავაერთიანოთ საქართველო. იმისთვის, რომ ერთად დავუდგეთ მტერს, რომელსაც 40 კმ-ის მოშორებიდან აქვს ჩვენთვის დამიზნებული,** - აღნიშნა სააკაშვილმა. პრეზიდენტი მზად არის, სხვადასხვა საკითხები მეორე მხარის პოზიციის გაზიარებით გადაწყვიტოს. ქვეყნის მომავალის შესახებ განსხვავებული ხედვის მიუხედავად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამორიცხა ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღის ხელში აღება. **არ ვართ და არასდროს არ ვიქნებით ერთმანეთის მტრები და მოსისხლე მოწინააღმდეგეები,** - დასძინა მან.

სამების საკათედრო ტაძარში მყოფმა ალასანიამ განაცხადა, რომ **დღეს შენდობის დღეა და ყველა მივიდა იმ ეკლესიაში და ტაძარში, სადაც სურვილი ჰქონდა.** ის მიიჩნევს, რომ პოლიტიკური განსხვავებები და წყენა დღეს ყველამ უნდა დაივიწყოს და პატრიარქის მოწოდების შესაბამისად, ერთად უნდა ილოცონ. როგორც ალასანიამ აღნიშნა, მისი უწმინდესობის განცხადება, რომ ყველანი ტაძარში მოსულიყვნენ, ერის კონსოლოდაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. **ოპოზიცია მზად არის ხელისუფლებასთან შესახვედრად და დიალოგისთვის. ასევე, ველოდებით მათ მოსაზრებებს, თუ როგორ წარმოუდგენიათ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზები,** - განმარტა ირაკლი ალასანიამ.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებმა შენდობის ლოცვა მოისმინეს, ისინი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შესახვედრად გაემართნენ. ოპოზიციის ლიდერები პატრიარქს 2 საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი განაცხადეს, რომ მათი პოლიტიკური გეგმები არ შეცვლილა. ოპოზიციონერთა თქმით, შეხვედრაზე ხელისუფლებასთან დიალოგის თემა არ განხილულა და არც უწმინდესს მიუცია მათთვის რაიმე დათმობებზე წასვლის რეკომენდაცია. პატრიარქთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ალიანსი საქართველოსთვის წევრმა ზურაბ აბაშიძემ 24 საათთან საუბარში განაცხადა: **ძალიან თბილი შეხვედრა იყო, პატრიარქმა თავისი თბილი განწყობები გამოხატა და ყველას მშვიდობისკენ მოგვიწოდა.** აბაშიძემაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეხვედრაზე დიალოგის თემა არ განხილულა.

## მიტევების ლოცვის დაწყებამდე

გუშინ, მიტევების დღეს, საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა ხანგრძლივი პოლიტიკური აქციის გამართვისაგან თავი შეიკავეს. მომიტინგეების უმრავლესობა სხვადასხვა ეკლესიებში წავიდა, ხოლო მათი ნაწილი რუსთაველის გამზირზე განთავსებულ საკნებში დარჩა. სანამ ოპოზიციის ლიდერები პატრიარქის მოწოდებას შეასრულებდნენ, რამდენიმე მათგანმა შეკრებილ მომიტინგეებს სიტყვით მიმართა. **მიშა, მე ვიცი, რომ შენ ხალხის გეშინია,** - ამ სიტყვებით მიმართა გუშინ პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ დემონსტრანტებს ნინო ბურჯანაძემ. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის ლიდერი დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური ოპოზიცია მიზნის მისაღწევად უფრო აქტიურ ქმედებებზე უნდა გადავიდეს. **კარგია საკნები და შენობების პიკეტირება, ამან თავისი როლი შეასრულა, თუმცა შემდგომი ნაბიჯები აუცილებლად უნდა გადაიდგას,** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მასობრივ შეკრებაზე კვლავ პრობლემატურია დასუფთავების საკითხი. საპროტესტო აქციის ორგანიზატორების ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო ჭებზე ბიოტუალეტები დადგეს, მასზე არის წარწერა: სირცხვილი მერიას. სწორედ მერიის ფუნქციების შესახებ ისაუბრა გუშინდელ მიტინგზე პოლიტიკური ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ. თავდაპირველად მან მომიტინგეებს თბილისის მერიის პოზიცია გააცნო. **უგულავას მოადგილე ახვლედიანმა გვითხრა, რომ მიტინგის ტერიტორიას, რა თქმა უნდა, დავალაგებთ, ოღონდ საკნები უნდა აიღოთო,** - აღნიშნა გაჩეჩილაძემ. რადგან ოპოზიციამ არასერიოზულად მიიღო მერიის ეს წინადადება, ლევან გაჩეჩილაძემ მათ ახალი ინიციატივა გააცნო. **მინდა, მთელ თბილისს ვთხოვო, რომ მოვიდეს, დიდი მსვლელობა მოვაწყოთ მერიამდე და აქ აკრეფილი ნაგვით გადავკეტოთ მერიასთან მისასვლელი ქუჩა. თუკი ყოველდღე არ წაიღებენ, იმ შემთხვევაში სისტემატურად მივუტანთ ნაგავს,** - განაცხადა გაჩეჩილაძემ. მან შეკრებილ დემონსტრანტებს სხვა თხოვნითაც მიმართა. მისი თქმით, სანამ მერია რუსთაველის გამზირს არ დაასუფთავებს, მანამ არავინ არ უნდა გადაიხადოს ნაგვის გადასახადი. **რადგან ეს არის მათი ფუნქცია და თუ უნარი არ აქვთ, დატოვონ სამსახურები,** - განმარტა გაჩეჩილაძემ.

# მოთმინების ზღვარზე

პირველი გვერდიდან

ოპოზიცია ცდილობს, დაარწმუნოს საკუთარი თავიც და საზოგადოებაც, რომ არჩეული სტრატეგიული კურსის შესანარჩუნებლად ნერვები ბოლომდე ეყოფა - მიუხედავად ნახევრად დაცლილი საკნებისა, ნაგვით სავსე ქუჩებში დადგმულ სკამებზე ჩამომსხდარი გადაღლილსახეებიანი მომიტინგეებისა, ღამღამობით "მობლატავე" სახალხო პატრულისა, საინფორმაციო გადაცემებსა და თავად გულშემატკივარ პრესაშიც კი მესამე-მეოთხე პლანზე გადანაცვლებისა, იმედგაცრუებულ მხარდამჭერთა რიგების შეთხელებისა, ხშირად ლიდერების გარეშე დატოვებული პროტესტანტებისა, მარგინალიზაციის გზაზე დადგომისა, ჟურნალისტების მიმართ გაძლიერებული აგრესიისა, რომელიც არასდროს არც ერთი პოლიტიკური ძალისთვის კარგად არ დასრულებულა.

ხელისუფლებაც ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ბოლომდე ეყოფა ნერვები, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ცენტრალური ქუჩებში დღეს ბალაგანია, პარლამენტი მკვდარ შენობად არის ქცეული და ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებს შუკა-შუკა უწევთ სხდომებისა და მიღებების ჩატარება, ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს სამუშაოზე მიმავალ თბილისელთა გადაადგილების უფლებას, ვერ (თუ არ) ასუფთავებს არა მხოლოდ მომიტინგეთა სამყოფელს, არამედ - მიმდებარე ქუჩებს, ვერ (თუ არ) იცავს ჟურნალისტთა და იმ ადამიანთა უფლებებს, ვინც თავდასხმების მსხვერპლი არიან ორივე მხრიდან, ვერ აკონტროლებს ქალაქში ძალადობის ზრდას და წყლიანი პარკით ალჭურვილ საკუთარ "ხულიგან" თანამდებობის პირებსაც კი.

ორმხრივი "გამძლეობის" ეს დემონსტრირება უკვე მეოცე დღეა, გრძელდება და თავად პოლიტიკური ძალების იმიჯის გარდა, სახელმწიფოს და საზოგადოებას აზარალებს. თანდათან წვრილდება და გაწყვეტის პირამდე მიდის საზოგადოებრივი მოთმინების ძაფი და არავინ იცის, ვისთვის უფრო მომგებიანი იქნება ეს - ხელისუფლებისთვის თუ ოპოზიციისთვის.

დროის სვლასთან ერთად კი სულ უფრო ნაკლები "ტაქტიკური" ცვლილებები შედის მხარეების მოქმედებაში. ოპოზიციამ "ჩავარდნილი" 9 და 10 აპრილის გადარჩენა დროებით "ახალი სისხლის" გადასხმით ანუ კარვების აქციით შეძლო, თუმცა ამ ინოვაციაზე "გაიყინა". ხელისუფლებამ დიალოგის შეთავაზება მრავალჯერ გაიმეორა, ოპოზიციის ნაცვლად შერჩეულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დიალოგი დაიწყო, ოპოზიციის დისკრედიტაცია კი ჩანაწერების ტრიალის ჩვეული მეთოდით სცადა.

ამ თვალსაზრისით არც ერთი მხარე განსაკუთრებული ორიგინალურობით არ გამოირჩევა. თუმცა მიმდინარე კვირა ხელისუფლების ახალი განცხადებით დაიწყო, რომელიც ოპოზიციისთვის, ვფიქრობთ, დამაფიქრებელი უნდა იყოს. გუშინ სამებაში ალასანიას მისვლა კი შეიძლება საინტერესო ტენდენციის მაჩვენებლად იქცეს.

კვირის დასაწყისში დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება რეფორმებზე იწყებს მუშაობას - რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად ან მის გარეშე. ამ განცხადებას წინ უძღოდა დავით ბაქრაძის კომენტარი იმის შესახებ, რომ ოპოზიციასთან დახურულ კარს მიღმა მიმდინარე კონსულტაციების მიუხედავად, დიალოგისთვის მზადყოფნა ვერ შედგა და ამიტომ ასეთი არჩევანი გაკეთებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად რეფორმების კონკრეტული შინაარსი არ დაზუსტებულა, ყველამ კარგად იცის - საკითხი, პირველ რიგში, საკონსტიტუციო ცვლილებებს ანუ ქვეყნის მოწყობის ცვლილებას ეხება. საგულისხმოა, რომ ოპოზიცია, რომელიც ერთი წლის წინათ საკუთარი რიგებიდან პრეზიდენტის არჩევას საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაუქმებასთან აიგივებდა, დღეს ამ მოთხოვნაში ჩამოყალიბებული აღარ არის. ნინო ბურჯანაძე არ მალავს, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაუქმების მომხრე არ არის, საპრეზიდენტო ამბიციებს ვერც ლევან გაჩეჩილაძე თმობს, რესპუბლიკელები და ახლები კი პირველები იყვნენ, რომლებმაც პოლიტიკური გაზაფხულის დადგომამდე საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი - ირაკლი ალასანია წარადგინეს.

ამ დროს კი ხელისუფლება, რომელიც ერთი წლის წინათ საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა, მზად არის პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესამცირებლად და მეტიც - ამის განხორციელებას ოპოზიციის გარეშეც აპირებს.

არსებულ ვითარებაში, ბოლო წლების მანძილზე პირველად, არსებობს თითქმის უპრეცედენტო შანსი იმისა, რომ ოპოზიციამ ამ პროცესში აქტიური მონაწილეობით ქვეყნისთვის მოწყობის მოდელი მიიღოს და დემოკრატიული განვითარების გზაზე ქმედითი ნაბიჯებიც გადაიდგას - თუ, რა თქმა უნდა, ოპოზიციის მიზანი სწორედ ეს არის და არა შეუზღუდავი უფლებამოსილებების პირობებში მოსვლა ხელისუფლებაში, რათა სააკაშვილის ხელისუფლების გავლენა, უბრალოდ, საკუთარი გავლენით ჩაანაცვლოს.

დღეს ოპოზიციის არჩევანი ძალზე ჰგავს გასული მაისის არჩევანს, როცა ოპოზიციამ თავად გაწირა თავი მარგინალიზაციისთვის და პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა. რომ არა რუსული აგრესია აგვისტოში, ოპოზიციის ეს ნაწილი მარგინალთა ნიშაში კიდევ კარგა ხანს დარჩებოდა და პოლიტიკური გააქტიურების შანსსაც დიდი ხნით დაკარგავდა. დღეს რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ცვლილებებისგან და ამ პროცესისგან დისტანცირებით კვლავ ანალოგიურ არჩევანს აკეთებს. ოპოზიციის ლიდერები ბაქრაძის განცხადების კომენტირებისას, ძირითადად, იმით ინტერესდებიან, თუ ვინ იგულისხმა პარლამენტის თავმჯდომარემ იმ პოლიტიკურ ძალაში, ვისთანაც მიდიოდა კონსულტაციები და არც ერთი კითხვა არ ისმის იმის შესახებ, თუ რა ტიპის ცვლილებებს გეგმავს ხელისუფლება "ოპოზიციასთან ერთად ან მის გარეშე".

გუშინ სამების ტაძარში ირაკლი ალასანიას გამოჩენა და მისი განცხადება დიალოგისთვის მზადყოფნის შესახებ, ნათელყოფს, რომ რადიკალური ოპოზიცია ამ არჩევანში ერთიანი არ არის და მისი ნაწილი აცნობიერებს ოპოზიციის პასუხისმგებლობას ქვეყნის უახლოესი მომავლის ფორმირებაში.

## აშშ-ს ბირჟა ვირუსმა დასცა

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა ღორის გრიპის ეპიდემიის საფრთხემ მოახდინა. ისინი თვლიან, რომ იგი კიდევ უფრო შეასუსტებს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მსოფლიო ეკონომიკას. ფინანსური სექტორი კი ბანკების სტრესს-ტესტების მოლოდინმა შეამცირა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,64 პროცენტით, 8.025,00 პუნქტამდე შემცირდა. 0,88 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 1.679,41 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 1,01 პროცენტით, 857,51 პუნქტამდე მოიკლო.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 0,6 პროცენტით მოიკლო და 908,2 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 0,13 პროცენტით, 12,84 დოლარი/უნციამდე, პლატინა 2,8 პროცენტით, 1150,3 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 2,9 პროცენტით, 228,95 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონები გაიაფების მიზეზი ღორის გრიპის ეპიდემიის საფრთხე გახლდათ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაზე მძიმე გავლენას მოახდენს. გარდა ამისა, გავლენა დოლარის კურსის გამყარებამ და ნავთობის გაიაფებამ მოახდინა.

## გლობალურ ეკონომიკას ვირუსი დაემუქრა

ღორის გრიპი გლობალური ფინანსური სისტემისათვის ახალი პრობლემაა. ჯერ კიდევ შარშან მსოფლიო ბანკი პროგნოზირებდა, რომ კრიზისთან ერთად ამ პანდემიას შეუძლია 3 ტრილიონი დოლარის ოდების ზარალი მოიტანოს. საშიში ვირუსით რომ არ დაინფიცირდნენ, ადამიანები აღარ წავლენ სამუშაოზე და საყიდლებზე. შედეგად, მოიკლებს შრომის ნაყოფიერება, გაყიდვები, დაზარალდება სატრანსპორტო, ტურისტული, სათამაშო და რესტორნების ბიზნესი. შედეგად, გლობალური შიდა პროდუქტის მოცულობა 4,8 პროცენტით შემცირდება.

20 მილიონიან მეხიკოში უკვე ურთულესი ვითარებაა. რესტორნების და კინოთეატრების უმრავლესობა დაკეტილია. ბევრმა ავიაკომპანიამ მექსიკისაკენ რეისები გააუქმა. ადამიანთა მასიურ თავშეყრას რომ ხელი შეუშალოს, მექსიკის მთავრობამ საგადასახადო დეკლარაციების შევსების ვადა მაისის ბოლომდე გაზარდა. ანალიტიკოსთა ვარაუდით, თუ სიტუაცია დროულად არ გამოსწორდება, ვირუსი მექსიკასთან ერთად მთელს მსოფლიოს დააზარალებს.

## Chrysler გაბანკროტების გამოსაცხადებლად ემზადება, General Motors-ს კი ჯერ დრო აქვს

ავტორიტეტული გამოცემა The Wall Street Journal-ის მიერ გავრცელებული, ამერიკის სიდიდით მესამე ავტომწარმოებელი Chrysler, დღედღეზე სასამართლოში განაცხადს შეიტანს თავის ბანკროტად ცნობის შესახებ, რომ კრედიტორებისაგან თავის დაცვა შეძლოს. აღსანიშნავია, რომ ეს იმის მიუხედავად მოხდება, წარმატებით დასრულდება თუ არა იტალიურ Fiat-თან ალეანსის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები. შაქმე იმაშია, რომ თუ ამერიკულ კომპანიას ბანკროტად ცნობენ, იგი არაერთი ვალდებულებისაგან განთავისუფლდება და იტალიურ კონცერნს მისთვის სასურველი აქტივების არჩევის საშუალება ექნება.

ეს გეგმა აწყობს პროფკავშირებს და კრედიტორებსაც. ბანკროტად ცნობის შემთხვევაში პროფკავშირები რესტრუქტურიზებულ კომპანიაში წილს მიიღებს, კრედიტორები კი ქარხნებს. შაქმე იმაშია, რომ Chrysler-ის ყველა, 6,9 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტი უზრუნველყოფილია აშშ-სა და კანადაში არსებული მისი 30 ქარხნით.

რაც შეეხება ამერიკის უმსხვილეს ავტოკონცერნ General Motors-ს, იგი სახელმწიფოსაგან დამატებით 2 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტ მიიღებს და რესტრუქტურიზაციის დასრულებისათვის დრო 1 ივნისამდე ექნება. ამგვარად, ცონცერნს, რომელმაც უკვე მიიღო 13,4 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტი და რომელიც არაერთი წამგებიანი ბრენდის გასხვიდებას გეგმავს, კიდევ შეუძლია გადარჩეს.

# საფინანსო ინსტიტუტებმა თიბისი ბანკს ნდობა გამოუცხადეს

**IFC**-იმ, **EBRD**-მა და **FMO**-მ ბანკში 161 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელეს

ნინო ნატროშვილი



თიბისი ბანკს მსოფლიოს უმსხვილესი საერთაშორისო ინსტიტუტების - საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიის (FMO) პირველი პირები ეწვივნენ. ქვეყანაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, თიმოთი კრაუსი, თომას ლუბეკი (IFC), პოლ-ჰენრი ფორესტერი, საბინა დიურმანი (EBRD) და ელვირა ეურლინგსი (FMO) საქართველოში ჩამოვიდნენ და თიბისი ბანკში ვიზიტით, კიდევ ერთხელ გამოხატეს ბანკის მიმართ მხარდაჭერა.

შეხვედრა ბანკის ბიბლიოთეკაში ნახევრად ფორმალურ, მეგობრულ გარემოში გაიმართა. თიბისი ბანკის მენეჯმენტის წარმომადგენელებისა და საფინანსო ინსტიტუტების პირველი პირების გარდა, შეხვედრას მედიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. არაფორმალური შეხვედრა თიბისი ბანკის პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ გახსნა: თიბისი ბანკმა ახლახანს საკმაოდ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და დღეს, აქ ყველა ორგანიზაციის ის პირველი პირები არიან წაროდგენილნი ვინც ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიცია მსოფლიო კრიზისის და საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს საბანკო სექტორის მიმართ არსებობს მზარდი ინტერესი. მჯერა, რომ კრიზისი დაძლეული იქნება და თიბისი ბანკი ბაზარზე შეინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს."

2009 წლის 7 აპრილს, თიბისი ბანკმა ხელშეკრულება გააფორმა 161 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მოზიდვის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს IFC-ის, EBRD-ის და FMO-ს მიერ თიბისი ბანკში ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციას. ინვესტიციის ნაწილი უკვე ჩაირიცხა თიბისი ბანკის კაპიტალში, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის ლიკვიდურობა კიდევ უფრო გაიზარდა. მეორე ნაწილი კი არის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას მოხმარდება.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ი მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, რომელიც განვითრებად ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას და კერძო სექტორის განვითრებას ხელს უწყობს. IFC-ი თიბისი ბანკთან ათ წელზე მატია რაც თანამშრომლობს. გამოყოფილი კრედიტიდან 70 მილიონი დოლარი ამ ორგანიზაცამ გამოყო, დნარჩენი 70 მილიონი EBRD-მა, ხოლო 21 მილიონი დოლარი FMO-მ გაიღო.

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ურთიერთობა გვქონდა თიბისი ბანკთან . ეს ურთიერთობა იწყება 1997 წლიდან. ამ ინვესტიცის განხორციელება საქართველოში IFS -ის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც საბანკო სექტორის მხარდაჭერისა და კერძო სექტორის შემდომი განვითარების მიმართულებით დამატებითი შესაძლებლობების შექმნას ითვალისწინებს. თიბისი ბანკი საბანკო სექტორში ინარჩუნებს მყარ პოზიციას და განაგრძობს მცირე და საშუალო ბიზნესის და სამომხმარებლო სეგმენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ველით, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის დამთვრების შემდეგ, ბანკის წილი ბაზარზე კიდევ უფრო გაიზრდება. მოხარულ ვართ, რომ ჩვენი პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტები შემოგვიერთდნენ და თიბისი ბანკს ერთად ვუჭერთ მხარს. თიბისი ბანკი ჩვენი გრძელვადიანი პარტნიორია და სწორედ ამაში გამოიხატება ის ნდობა, რომელიც თითოეულ საფინანსო ინსტიტუტს ამ ბანკის მიმართ აქვს" - განუცხადა ბიზნესს" თომას ლუბეკმა, რომელიც IFS - ის წარმომადგენელია კავკასიის რეგიონში.

მიმდინარე ფისკალურ წელს IFS-იმ საქართველოს საფინანასო სექტორში, 5 ოპერაციის შედეგად, 215 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ეს არის ერთერთი ყველაზე ფართო და სისტემური მხარდაჭერა, რაც ამ საფინანსო ინსტიტუტს განუხორციელებია, რომელიმე ქვეყნის მიმართ.

ევროპის განვითრებისა და რეკონსტრუქციის ბანკი EBRD -ი და თიბისი ბანკი პარტნიორები 1996 წლიდან არიან. ჩვენ 2009 წელს საქართველოში საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ვგეგმავთ. წელს თქვენს ქვეყანაში 350 მილიონი დოლარის ინვესტირებას ვაპირებთ. ეს იქნება იმაზე გაცილეით მეტი ინვესტიცია ვიდრე 2008 წელს განვახორციელეთ. ჯამში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 215 მილონი ევრო შეადგინა. ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს საფინანსო და საბანკო სტრუქტურებს, ასევე განვახორციელებთ ინვესტიციებს საქართველოს ინფრასტრუქტურის და ენერგოსისტემის განვითრებისათვის. რაც შეეხება თიბისი ბანკს , 1996 წლიდან დავიწყეთ მუშაობა და პირველი საკრედიტო ხაზი 3 მილიონი დოლარი იყო. გასულ კვირას განვახორციელეთ 70 მილიონი დოლარის ინვესტირება. ჩვენ ვაფინანსებთ თიბისი ბანკის სხვადასხვა პროდუქტებს; ეს არის იპოთეკა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ენერგოსესხები, რის შედეგადაც ბანკი ახორციელებს მცირე ბიზნესის დაფინანსებას " - განუცხადა ბიზნესს" პოლ-ჰენრი ფორესტიერმა, რომელიც EBRD -ის დირექტორია კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში.

# ნავთობის ფასმა მოიკლო

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 50,32 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 50,14 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,125 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი ღორის გრიპის ეპიდემიის საფრთხე გახლდათ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაზე მძიმე გავლენას მოახდენს, რაც ენერგომატერებლების მოხმარებაზეც აისახება. ამასთან, მოიმატა დოლარის კურსმაც. მოიკლო "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმაც და მისმა ღირებულებამ 49,21 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი ძოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი ქვეყნების მიერ მოპოვებული 13 მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ანგოლური Girassol, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ეკვადორული Oriente, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური ძფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი ძკალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 140,73 დოლარი/ბარელი 2008 წლის 3 ივლისს დაფიქსირდა.

# ღამის ინციდენტები

*26 აპრილს მომხდარ ინციდენტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგამოძიებო ღონისძიებები ჩაატარა და გუშინ სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებიც ოფიციალურად გამოაცხადა.*

შს სამინისტროს ინფორმაციით, 9 აპრილის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს, ოპოზიციის წევრების მიერ ნაცემი მოქალაქეების ექსპერტიზის სამედიცინო დოკუმენტაციის ჩანაწერების მიხედვით, მოქალაქე ზაზა ბეგლარიშვილს აღენიშნებოდა ქალა-ტვინის მიდამოს დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, გულ-მკერდისა და კისრის მიდამოს დახურული ტრავმა, მარჯვენა ხელის მტევნის მე-4 თითის მოტეხილობა და სხვა სახის დაზიანებები, რომლებიც მიყენებულია მკვრივი ბლაგვი საგნის ზემოქმედებით. მოქალაქე ნოდარ ერგემლიძეს, ექსპერტიზის სამედიცინო დოკუმენტაციის ჩანაწერების მიხედვით, აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები და მარჯვნივ ზედა ყბაზე ორი კბილის მოტეხილობა, ცხვირის ძვლების მოტეხილობა და სხვა სახის დაზიანებები. დაზიანება მიყენებულია მკვრივი ბლაგვი საგნის ზემოქმედებით.

მშვიდად არც 27 აპრილის ღამეს ჩაუვლია. თავდასხმის ობიექტი მედიის წარმომადგენლებიც გახდნენ. საპროტესტო აქციის დამთავრების შემდეგ პარლამენტის შენობის წინ მომუშავე რუსთავი 2"-ის გადამღებ ჯგუფს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს უცნობმა პირებმა პრობლემა შეუქმნეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მოქალაქეებმა რუსთავი 2"-ის ოპერატორ ლევან კალანდია ცემეს. დაპირისპირება გადამღებ ჯგუფსა და ნასვამ სამ მამაკაცს შორის მაშინ მოხდა, როცა უცნობმა პირებმა პროვოკაციული განცხადებების გაკეთება დაიწყეს. სამი ახალგაზრდა გადამღებ ჯგუფს ქაშუეთის ეკლესიასთან მდგომ ავტომობილამდე მიჰყვა, სადაც ჩხუბი დაიწყო. ადგილზე შეკრებილი ადამიანები მუშაობის საშუალებას იმედის" გადამღებ ჯგუფსაც არ აძლევდნენ.

როგორც ნაცემი კალანდია ყვება, მის ჟურნალისტს ნათია ლეკიშვილს ნასვამმა ახალგაზრდამ ხელი გადახვია და კოცნა დაუპირა, რაც ჟურნალისტმა გააპროტესტა, ამის შემდეგ უცნობმა პირებმა შეიგინეს.

**ქართველი კაცი გინებას არ მოითმენს და ჩემი მხრიდან ამას რეაქცია მოჰყვა, რის შემდეგაც ფიზიკურად გამისწორდნენ,"** - აცხადებს რუსთავი 2"-ის ოპერატორი ლევან კალანდია.

თვითმხილველთა განცხადებით, ინციდენტის მონაწილე სამი პირი არა ოპოზიციის მომხრეები, არამედ პროვოკატორები იყვნენ.

მანამდე კი, "მოამბის" 8-საათიანი გამოშვების დროს, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ლიკა ხურციძე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან პირდაპირ ეთერში ერთვებოდა, მომიტინგეთა ერთი ჯგუფი ჩართვის ადგილზე მივიდა და ჟურნალისტსა და ოპერატორს ლანძღვა დაუწყო. ისინი აპროტესტებდნენ იმას, რომ "მოამბემ" აქცია პირდაპირ ეთერში მაშინ ჩართო, როცა რუსთაველის გამზირზე მცირე რაოდენობის ხალხი იყო.

კიდევ უფრო მძიმე შედეგით დასრულდა 27 აპრილს მომხდარი რამდენიმე ინციდენტი. გავრცელებული ინფორმაციით, გუშინწინ ღამითვე ოპოზიციის ორ აქტივისტს, კერძოდ ხალხის პარტიის" ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის ორ წარმომადგენელს: ირაკლი კობახიძესა და ზაზა ელჩიბეგოვს უცნობი პირები დაესხნენ თავს. აქტივისტების მტკიცებით, ინციდენტი სასტუმრო ივერიის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. მათ 30-მდე ადამიანი დაესხა თავს და სასტიკად გაუსწორდა. აღნიშნული პირები ნიღბების გარეშე იყვნენ. ეს ფაქტი მაშინ მოხდა, როდესაც ირაკლი კობახიძე და ზაზა ელჩიბეგოვი მიტინგიდან შინ ბრუნდებოდნენ.

ხალხის პარტიის" ლიდერის კობა დავითაშვილის თქმით, ამ დროისთვის ირაკლი კობახიძე საავადმყოფოდან უკვე გაწერილია.

**საავადმყოფოდან გაწერეს ზაზა ელჩიბეგოვიც, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, გატეხილი აქვს ცხვირი, დაზიანებული აქვს მარჯვენა ხელის თითი. ამ ფაქტის გამო ზაზა ელჩიბეგოვი ორჯერ დაკითხა პოლიციამ, როგორც ექვმიტანილი და არა როგორც - დაზარალებული,** - აცხადებს კობა დავითაშვილი, რომელიც ირწმუნება, რომ მან წაიკითხა პოლიციის უწყება, რომლის თანახმადაც ელჩიბეგოვი ეჭვმიტანილადაა ცნობილი.

27 აპრილის ღამეს საავადმყოფოში მოხვდა "ალიანსის საქართველოსთვის" ყვარლის რაიონული შტაბის უფროსი ვანო ლომიძეც, რომელსაც, მისი განცხადებით, უცნობი პირები დაესხნენ თავს. "რესპუბლიკური პარტიის" პრესცენტრის ინფორმაციით, ვანო ლომიძე საკუთარი მანქანით ყვარელში მიემგზავრებოდა. მას მანქანა აედევნა და გაჩერება სთხოვა. გაჩერებისთანავე ორმა უცნობმა პირმა ნიღბების გარეშე ლომიძე ძალის გამოყენებით მანქანიდან გადმოათრია, სასტიკად სცემა და თხრილში გადააგდო. ლომიძის ავტომანქანა დაქოქეს და ასევე გადააგდეს თხრილში, რის შემდეგაც მას ცეცხლი გაუჩნდა. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს.

ვანო ლომიძემ გზის სავალ ნაწილზე ამოსვლა მოახერხა და საპატრულო პოლიციას დაუკავშირდა, თუმცა პატრული შემთხვევის ადგილზე არ მისულა. ლომიძის დასახმარებლად შემთხვევის ადგილზე "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერები დავით ბერძენიშვილი და თინათინ ხიდაშელი გაემგზავრნენ.

ვანო ლომიძე, რომელიც "რესპუბლიკური პარტიის" ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარეა და საპარლამენტო არჩევნებზე პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო, აქტიურად მონაწილეობს საპროტესტო აქციებში და ყვარელში ალიანსის აქტივისტების თბილისში ჩამოსაყვანად მიემგზავრებოდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მოგვიანებით კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა კომენტარი გააკეთა და ყვარელში მომხდარი ინციდენტი პროვოკაციად შეაფასა.

**"ლომიძე არავის უცემია. მიმაჩნია, რომ პროვოკაციას აქვს ადგილი, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ყვარლის რაიონულ საავადმყოფოში ვანო ლომიძე უკიდურესად მთვრალი მიიყვანეს,"** - განაცხადა სიბაშვილმა.

მისივე თქმით, საგულისხმოა ისიც, რომ ლომიძის ძვირადღირებული მანქანა დაზღვეულია.

კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის ამ მოსაზრებებს დაზარალებული ვანო ლომიძე სისულელეს უწოდებს.

**სიბაშვილი ცრუობს, როცა ამბობს, რომ მთვრალი ვიყავი და მანქანა თვითონ დავწვი. ოთხი წელია ალკოჰოლური სასმელი საერთოდ არ მიმიღია,"** - აღნიშნა ლომიძემ, რომელიც ყვარლის საავადმყოფოდან უკვე გაწერეს.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი თინა ხიდაშელი კახეთის გუბერნატორის მოადგილის გიორგი სიბაშვილის დაკითხვას ითხოვს. თინა ხიდაშელის განცხადებით, სიბაშვილმა ვანო ლომიძეზე თავდასხმის ფაქტზე წინასწარი დასკვნები გააკეთა და განაცხადა, რომ ლომიძე იყო ნასვამი და მასზე არავითარი თავდასხმა არ მომხდარა.

**"მოვითხოვთ, რომ აუცილებლად დაიკითხოს სიბაშვილი, საიდან ჰქონდა ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია, მაშინ, როდესაც ის კახეთში არ იმყოფებოდა. ყვარელი არ არის დიდი რაიონი და ჩვენ არ გაგვიჭირდება იმ ადამიანების პოვნა, ვინც ვანო ლომიძეს თავს დაესხა. გვაქვს განცდა, რომ დირექტივა გაცემულია არა მხოლოდ თბილისის, არამედ ოპოზიციის რეგიონული წევრების ტერორზე,"** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მომხდარ თავდასხმის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამმართველოში უკვე დაწყებულია გამოძიება. თუმცა, შს კახეთის მთავრი სამმართველოს უფროსმა ირაკლი ქადაგიძემ რადიო ჰერეთს" განუცხადა, რომ ივანე ლომიძე არც არავის უცემია და არც ავტომანქანა დაუწვია.

**თვითონაც ვერ ხსნის, რა მოუვიდა. დამატებით კომენტარს ძიების დასრულების შემდეგ გავაკეთებ,"** - ირწმუნება ქადაგიძე.

მოგვიანებით, შს სამინისტრომ ინფორმაცია გაავრცელა, სადაც აღნიშნულ რომ ვანო ლომიძის საქმეში ფიგურირებს მოწმე, რომლის ჩვენების თანახმად, 27 აპრილს, ღამის 11 საათიდან 12-ის ნახევრამდე ლომიძემ მისგან ბოთლით 2 ლიტრი ბენზინი შეიძინა. ოფიციალური ინფორმაციით, ეს ბოთლი ექსპერტ-კრიმინალისტებმა ლომიძის დამწვარი ავტომანქანის და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას აღმოაჩინეს. მისთვის ექსპერტიზის ჩატარების შედეგად კი დადგინდა, რომ ბოთლში ნავთობპროდუქტი, კერძოდ, ბენზინი ესხა. კრიმინალისტებმა ბოთლზე ანაბეჭდები აღმოაჩინეს და ექსპერტიზის შედეგად დაადგინეს, რომ ისინი ვანო ლომიძეს ეკუთვნის.

გამოძიების მიერ ასევე დადგენილია, რომ ვანო ლომიძეს კუთვნილი ავტომანქანა დაზღვეული ჰქონდა სადაზღვევო კომპანია "ალდაგი ბისიაი"-ში.

# სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში

*იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში იღებს.*

ელექტრონული მმართველობის ამ პროექტის პრეზენტაცია მომსახურების სააგენტოს თბილისის ფილიალში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან სანაძემ გამართეს.

მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები მოქალაქის პირად მონაცემებს სამოქალაქო რეესტრის ბაზაში ინტერნეტის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში ამოწმებენ. მოქალაქის იდენტიფიკაციის ეს გზა, იოლთან ერთად, უფრო საიმედო და სწრაფია.

ცნობისთვის, უახლოეს ხანში საკანონმდებლო სიახლე შევა ძალაში, რომლის თანახმად, იმ უწყებებში, რომლებიც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზით სარგებლობენ, მოქალაქეებს პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ დასჭირდებათ.

როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, საქართველოში ელექტრონული მმართველობა სულ უფრო ხელშესახები ხდება, რაც მოქალაქისთვის გამარტივებულ მომსახურებას ნიშნავს. ამასთან, უწყებათა შორის ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლა ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს: ავტომატურ რეჟიმში მონაცემთა გაცვლისას, აღარ იხარჯება დამატებითი თანხა დოკუმენტის ასლის გადაღებასა და წერილების გაგზავნაზე.

გიორგი ვაშაძის განმარტებით, ელექტრონული მმართველობის სისტემაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზით უკვე სარგებლობენ: საჯარო რეესტრი, ნოტარიუსები, საერთო სასამართლოები, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია, კომერციული ბანკები და სხვა ორგანიზაციები.

ლევან სანაძის თქმით, ეს სიახლე მომსახურების სააგენტოში კიდევ უფრო მეტ კომფორტს შექმნის მოქალაქისთვის. თუ სააგენტოში მისულ მოქალაქეს არ აღმოაჩნდება პირადობის მოწმობა, მაგრამ აქვს სხვა დოკუმენტი, სადაც მისი პირადი ნომერია მითითებული, მის მონაცემებს ბაზაში მოიძიებენ და მოემსახურებიან.

**"სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზით სარგებლობის საშუალება აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა ტერიტორიულ ერთეულს,"** - განაცხადა ლევან სანაძემ.

## იუსტიციის სამინისტროს რუსული მხარის მოთხოვნა არ მიუღია

რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოში ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსული არმიის წარმომადგენლის უმცროსი სერჟანტის ალექსანდრე გლუხოვის გადაცემის მოთხოვნა გამოაგზავნა.

რუსული მხარე ალექსანდრე გლუხოვს დეზერტირობაში ადანაშაულებს და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეცაა აღძრული.

რუსული მედია წერს, რომ ალექსანდრე გლუხოვი ამჟამად თბილისში დევნილის სტატუსით იმყოფება და "მას საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლისთანავე მოთხოვნილი პოლიტიკური თავშესაფარი საქართველომ ჯერ არა და არ მისცა".

"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ალექსანდრე გლუხოვი ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის გენპროკურატურამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ პროკურატურას მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც რუსული მხარისთვის მის გადაცემას ითხოვს, რათა მასზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შემდგომი მსვლელობა მიეცეს," - აცხადებს რუსეთის გენპროკურატურის ოფიციალური წარმომადგენელი მარინა გრიდნევა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო არმიის წარმომადგენელმა ალექსანდრე გლუხოვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსული სამხედრო ნაწილი იქ არსებული გაუსაძლისი პირობების გამო მიმდინარე წლის 27 იანვარს დატოვა, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდა და პოლიტიკური თავშეფარი ითხოვა. ალექსანდრე გლუხოვი რუსეთში ნებაყოფლობით დაბრუნებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურის პრესამსახურის უფროს ხათუნა იოსავას განცხადებით, რუსეთის გენპროკურატურის მიმართვა სერჟანტ ალექსანდრე გლუხოვის გადაცემასთან დაკავშირებით სამინისტროში ჯერჯერობით არ შესულა.

"დილიდან შევამოწმეთ ყველაფერი და მსგავსი წერილი შემოსული ჯერჯერობით არ არის," - განაცხადა იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა იოსავამ.

*საკუთარი ინფორმაცია*

## პატიმართა უფლებებზე მომუშავე ექსპერტთა კონფერენცია გაიმართა

სასტუმრო "დიდუბე პლაზაში" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ორგანიზებით, პატიმართა უფლებებზე მომუშავე ექსპერტთა კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრაში ექსპერეტებისა და სასჯელ აღსრულების სამინისტროს თანამშრომლების გარდა, უზენაესი სასამართლოსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განუცხადა, პატიმართა საკითხებზე მომუშავე უცხოელმა ექსპერტებმა კონფერენციაში მონაწილეობა ევროკავშირის მოწვევით მიიღებს. მისი თქმით, მსგავსი ტიპის შეხვედრების საქართველოში სისტემატურად იმართება. "ასეთი ტიპის კონფერენციები ერთგვარ შემაჯამებელ ხასიათს ატარებს. სამინისტრომ სხვადასხვა საკითხზე უცხოელი ექსპერტებისგან გარკვეული რეკომენდაციებიც მიიღო," - განუცხადა "მედიანიუსს" სალომე მახარაძემ.

*მედიანიუსი*

## სოზარ სუბარი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტის გამოძიებას მოითხოვს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტის გამოძიებას მოითხოვს.

ომბუდსმენის აპარატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურორს რეკომენდაციით მიმართა, დაიწყოს გამოძიება მიმდინარე წლის 27 აპრილს "რუსთავის 2"-ის თანამშრომლების ნათია ლეკვეიშვილისა და ლევან კალანდიას მიმართ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტზე.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

თავად "რუსთავი 2"-ის დაზარალებულმა თანამშრომლებმა სახალხო დამცველს გუშინ მიმართეს.

27 აპრილს, ღამით "რუსთავი 2"-ის გადამღები ჯგუფი პარლამენტის წინ საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, როდესაც მათ სამი ნასვამი პირი დაუპირისპირდა.

*პირველი*

## სტრასბურგის სასამართლომ ქიბარ ხალვაშის ადვოკატების სარჩელი წარმოებაში მიიღო

სტრასბურგის სასამართლომ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ქონების აუქციონზე გატანასთან დაკავშირებით ადვოკატების სარჩელი წარმოებაში მიიღო.

როგორც ქიბარ ხალვაშის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, სტრასბურგის სასამართლომ ქიბარ ხალვაშის ქონების აუქციონზე გატანის თაობაზე ადვოკატების სარჩელის განხილვა უკვე დაიწყო.

"აუქციონი 11 მაისისთვის არის დანიშნული. ჩვენ იმედი გვაქვს, ამ დრომდე სტრასბურგის სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და ქიბარ ხალვაშის ქონება აუქციონზე აღარ გავა," - აცხადებს დიმიტრი გაბუნია.

მისივე ინფორმაციით, გერმანიიდან ადვოკატებმა მიიღეს საბუთი, რომელშიც დადასტურებულია, რომ სახელმწიფომ ქიბარ ხალვაშს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ბიზნესმენს პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევენ. ეს ფაქტი აუცილებლად იმოქმედებს სტრასბურგის სასამართლოზეც, რადგან დადასტურებაა იმისა, რომ ქიბარ ხალვაშს კუთვნილი ქონება პოლიტიკური დევნის გამო ჩამოართვეს და საქართველოში ჩატარებული სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილად უნდა გამოცხადდეს. გარდა ამისა, ჩვენ ხვალ სამოქალაქო კოლეგიაში შეგვაქვს დამატებითი სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგანაც ქიბარ ხალვაში საქართველოს სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურებისათვის 100 მილიონ დოლარს სთხოვს," - აცხადებს დიმიტრი გაბუნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის ბრძანებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას ნება დაერთო, შპს პრიზას" და შპს არტის" ქომებასთანსთან დაკავშირებით, ღია აუქციონი ჩაატაროს. ანალოგიურად, იგეგმება შპს "ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" ქონების ღია აუქციონზე გატანა. ქიბარ ხალვაშის ქონების აუქციონზე გატანასთან დაკავშირებით, გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა სახალხო დამცველმაც.

სოზარ სუბარი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს კუთვნილი ქონება დაუბრუნოს და ღია აუქციონის ჩატარება არ დაუშვას. "ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის საქმის შესწავლისას წარმოდგენილი მასალების ანალიზმა ცხადყო, რომ ადგილი ჰქონდა ქიბარ ხალვაშის, როგორც კანონიერი მესაკუთრის უფლებების უხეშ დარღვევას, რაც გამოიხატა მისთვის ქონების უსაფუძვლო დაყადაღებაში. დაყადაღებულია შპს ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის", შპს არტი ჯგუფის" და შპს პრიზას" ქონება. ბიზნესმენის ქონების აუქციონზე გატანა ქიბარ ხალვაშის, როგორც კანონიერი მესაკუთრის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევას ნიშნავს, რაც მომავალში კანონიერ მესაკუთრესა და აუქციონის საშუალებით მისი ქონების შემძენ პირს (პირებს) შორის კონფლიქტს გამოიწვევს," - ნათქვამია სახალხო დამცველის სპეციალურ განცხადებაში.

*პირველი*

## სამოქალაქო განათლების ცენტრის ბიბლიოთეკების პრეზენტაცია

ბათუმსა და ქუთაისში სახალხო დაცველის სამოქალაქო განათლების ცენტრის ბიბლიოთეკების პრეზენტაცია გაიმართა.

ახალი ბიბლიოთეკები გაერო-ს განვითარების პროგრამის პროექტის "სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების" ფარგლებში შეიქმნა. აღნიშნული პროექტი საქართველოში რამდენიმე წელია მუშაობს და იგი მიზნად ისახავს სახალხო დამცველის დახმარებას ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო-საგამომცემლო საქმიანობის განხორციელებაში. აღნიშნული მიმართულების ერთ-ერთი კომპონენტი კი მოიცავს სახალხო დამცველის თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის სამოქალაქო განათლების ცენტრების ბიბლიოთეკების აღჭურვას იმ უახლესი პუბლიკაციებით, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დარგებს, კონფლიქტების თემატიკას და ა.შ. პრეზენტაციაზე ადგილობრივ სტუდენტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებმა და დაინტერესებულმა პირებმა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესახებ დეტალურ ინფორმაცია მიიღეს.

ამასთან, სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრი გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით რეგიონებში სტუდენტური დისკუსიების ციკლს ატარებს, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის შესახებ ახალგაზრდობის ცოდნის გაზრდასა და სათანადო უნარების განვითარებას მათი სამოქალაქო ჩართულობის დონის ასამაღლებლად.

*პირველი*



რძალი ნატო ბერიშვილი-ისაკაძე, შვილიშვილი ტატა ისაკაძე, სიძე კობა კალმახელიძე, შვილთაშვილები მარიამ, თორნიკე კალმახელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ტატიანა დგებუაძე**

პანაშვიდი: 29 აპრილს 4 საათზე,
გამოსვენება: 30 აპრილს 2 საათზე,
მისამართი: დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 21-ე კორპუსი, მე-6 სადარბაზო, ბ.82

# არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, გირაოს გამოყენების ტენდენცია დღითი დღე იზრდება.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკით, 2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, 2008 წელს არსებული ტენდენცია გაუმჯობესებულია. მიმდინარე წელს აღკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება გამოიყენეს 2039 პირის მიმართ, ხოლო არასაპატიმრო ღონისძიება 2362 პირს შეეფარდა, მათ შორის გირაო 2309 პირს.

პროცენტებში ასახული ეს ციფრები კი ასე გამოიყურება: დაპატიმრება 46,3 პროცენტი, არასაპატიმრო ღონისძიება 53,7 პროცენტი (არასაპატიმრო ღონისძიებებში კი გირაოს პროცენტული მაჩვენებელი 97.8 პროცენტია).

შარშან იგივე პერიოდში ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა - 53,8 პროცენტი დაპატიმრებაზე, ხოლო 46,2 პროცენტი არასაპატიმრო ღონისძიებაზე მოდიოდა. შარშანდელთან შედარებით სასამართლოებში არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი 7,5 პროცენტით გაიზარდა.

### პირობითი მსჯავრის რაოდენობამ სამ თვეში 2000 გადააჭარბა

უზენაესი სასამართლოს 2009 წლის სამი თვის მონაცემებით, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ 364 (530 პირის მიმართ) საკასაციო საჩივარი განიხილა, მათ შორის არსებითი განიხილვის რეჟიმში პროკურატურის მხოლოდ 17 საკასაციო საჩივარი იქნა დაშვებული და აქედან მხოლოდ 2 საქმეზე (ორი პირის მიმართ) დაკმაყოფილდა სარჩელი.

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენებს. მიმდინარე წლის სამი თვის მონაცემებით, უზენაესმა სასამართლომ 3 საქმეზე (3 პირის მიმართ) შეწყვიტა საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა. პირველი ინსტანციის სასამართლოებმა კი სრულად გამამართლებელი განაჩენი დაადგინეს 5 საქმეზე (6 პირის მიმართ), ხოლო ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 19 საქმეზე (24 პირის მიმართ) დადგა. ასევე საგულისხმოა სასამართლოების მიერ შეწყვეტილი საქმეების სტატისტიკა. მხოლოდ სამი თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 46 საქმე (52 პირის მიმართ) შეწყვიტეს.

როგორია მსჯავრდებულ პირთა სასარგებლოდ დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი სააპელაციო სასამართლოებში. მეორე ინსტანციის სასამართლოებმა საქმეების 38,3 პროცენტი მსჯავრდებულისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებით დაასრულეს. ეს მონაცემი კი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7 პროცენტითაა გაზრდილი.

ასევე საინტერესოა, მონაცემები პირობით მსჯავრთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის 3 თვეში სასამართლოებმა სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრი 2206 პირის (1856 საქმეზე) მიმართ გამოიყენეს.

ზოგადად კი, არასაპატიმრო სასჯელის (პირობითი მსჯავრი, ჯარიმა და ა.შ.) გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 56,5 პროცენტია.

### მილიონად შეფასებული საქმე ფიზიკურმა პირმა მოიგო

2009 წლის სამი თვის მონაცემებით, უზენაესი სასამართლოს მიერ საგადასახადო დავებზე განხილულია სულ 103 საკასაციო საჩივარი, მათ შორის საგადასახადო ორგანოების მიერ შეტანილია 75 საჩივარი, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 26 საჩივარი, 2 საქმეზე საჩივარი შეტანილია ორივე მხარის მიერ.

უზენაესი სასამართლოს შესაბამისმა პალატამ მხოლოდ 24 საქმე დაამთავრა საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, 72 საქმე კი ფიზიკური და იურიდიული პირების მოგებით დასრულდა.

7 საქმე ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო ინსტანციაში დაბრუნდა, თუმცა არსებული თანაფარდობა არც ხელახალი განხილვის დროს დარღვეულა. სააპელაციო პალატამაც განხილვა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაამთავრა, 3 საქმე საგადასახადო ორგანომ, ხოლო 4 საქმე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მოიგეს.

ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაასრულა სამი თვე სააპელაციო სასამართლოებმაც. 22 საქმე საგადასახადო ორგანოს, ხოლო 42 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა, - ასეთია თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მონაცემები საგადასახადო კატეგორიის საქმეებზე.

2009 წლის სამი თვის მონაცემებით, ყველაზე მეტი საგადასახადო დავა მხარეებს შორის 50 000 ლარის ოდენობის თანხის გამო დაიწყო. სადაც სასამართლომ 32 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების, ხოლო 6 საქმე საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ გადაწყვიტა. 100 000 დან 500 000-მდე ლარის ფარგლებში საგადასახადო დავაზე მხოლოდ 3 საკასაციო საჩივარი განიხილა უზენაესმა სასამართლომ, აქედან 1 დავა საგადასახადო ორგანოს, ხოლო 2 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაასრულა.

მილიონს ზემოთ უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ ერთი საქმე განიხილა და აღნიშნული საქმე იურიდიული პირის სასარგებლოდ დაასრულა.

# მოსამართლის გატაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილმა დანაშაული აღიარა

*პერმის ოლქის სამართალდამცველებმა რეზონანსული დანაშაულის გახსნა ოპერატიულად შეძლეს. საუბარია ქალაქ დობრაიანკაში მცხოვრები ფედერალური მოსამართლის ოლგა კუზნეცოვას გაუჩინარებაზე, რომელიც მოგვიანებით მოკლული იპოვეს.*

36 წლის მოსამართლე, რომელიც ყოველდღიურად სამოქალაქო საქმეებს განიხილავდა, ერთი კვირის წინ გავიდა სახლიდან და ის ბოლოს, გვიან ღამით, ქალაქის ერთ-ერთ კაფეში ნახეს.

მოსამართლის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ქალაქის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე მალევე აღიძრა და დაკარგულის ადგილ-სამყოფელის დასადგენად, მთელი ქალაქის ოპერმუშაკები გაძლიერებული ძალებით ჩაერთვნენ.

**ოლგა კუზნეცოვას გაუჩინარება ეჭვს ბადებს, რომ სერიოზულ დანაშაულთან გვაქვს საქმე, რადგან ის იმდენად პუნქტუალური და მოწესრიგებული ადამიანია, რომ სამსახურში მისი უმიზეზოდ გამოუცხადებლობა ყველასთვის წარმოუდგენელია,** - ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ დაკარგულის კოლეგები. მათი ვარაუდი გამართლდა.



*მარკ იჟაკოვი დაკითხვაზე დაიბარეს და ეჭვმიტანილად ცნეს.*

მოსამართლის გატაცებაში ეჭვმიტანილის კვალზე სამართალდამცველები სატელეფონო ამონაწერების საშუალებით გავიდნენ. გაუჩინარებამდე, ოლგა კუზნეცოვას მობილურ ტელეფონზე დაფიქსირებული რამდენიმე სატელეფონო ზარის ავტორი, ოლგა კუზნეცოვას ერთ-ერთი ახლობელი მარკ იჟაკოვი დაკითხვაზე დაიბარეს და მასთან საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, ეჭვმიტანილად ცნეს. ეჭვმიტანილის ავტომანქანაში სამართალდამცველებმა გაუჩინარებული მოსამართლის საყურე აღმოაჩინეს. სწორედ ამ მტკიცებულების პოვნის შემდეგ მარკ იჟაკოვი იძულებული გახდა, გამომტყდარიყო ჩადენილ დანაშაულში. მან აღიარა, რომ ოლგა კუზნეცოვა ჯერ გაგუდა, შემდეგ კი თოვლში ჩამარხა.

აღიარებითი ჩვენების შემდეგ, მან სამართალდამცველებს შემთხვევის ადგილი მიუთითა. გაუჩინარებული მოსამართლის ცხედარი სამართალდამცველებმა ქალაქის ახლოს მდებარე ერთ-ერთი ტყის მასივში თოვლში ჩაფლული იპოვეს.

როგორც გაირკვა, 31 წლის მარკ იჟაკოვს ოლგა კუზნეცოვას ვალი ჰქონდა. მან 150 ათასი მანეთი მოსამართლისგან ორი წლის წინ ისესხა და ავტომანქანა იყიდა. სწორედ ამავე ავტომანქანაში მევალემ მოვალე გაგუდა.

მარკ იჟაკოვმა ვალის დაბრუნება გადაიფიქრა და პრობლემა რომ არ შექმნოდა, ოლგა კუზნეცოვას თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მას ტელეფონით დაუკავშირდა და შეხვედრა დაუთქვა იმ მოტივით, რომ ვალი უნდა დაებრუნებინა, - ასეთია გამოძიების ინფორმაცია.

# მოლდოვაში პოლიტიკური კრიზისი გვარდება?

ივა შილაკაძე

ბოლო დღეებში მოლდოვაში სიტუაცია საგრძნობლად ჩაწყნარდა და ამაში გარკვეული როლი ევროპული სტრუქტურების წარმომადგენლებმა ითამაშეს - განსაკუთრებით ევროკავშირმა. მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმაც ცოტა შეარბილა თავისი აგრესიული ტონი. ციხეებიდან გამოუშვეს არეულობების შემდეგ დაკავებული ხალხის ნახევარზე მეტი, თუმცა ქვეყნის, უფრო სწორად, ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების თავზე კვლავ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. ჯერ არაფერია გარკვეული საარჩევნო სიების თაობაზე და ისიც უცნობია, ვინ იქნება უფრო მომზადებული ახალი არჩევნებისთვის.

მოლდოვას არჩევნების შესახებ 24 აპრილს ეუთო-ს დასკვნა გამოქვეყნდა, რომელიც არცთუ ისე სახარბიელოა. არჩევნები დემოკრატიულად შეფასდა, მაგრამ, ევროპელების აზრით, ის უკან გადადგმული ნაბიჯია, რადგან 2005 წლის არჩევნები ბევრად უფრო თავისუფალი და პატიოსანი იყო. დასკვნაში ნათქვამია, რომ დარღვევები იყო როგორც არჩევნების დღეს, ასევე არჩევნებამდე, წინასაარჩევნო პერიოდში. ეუთო მიიჩნევს, რომ თუ პოლიტიკური კრიზისი მალე ვერ მოგვარდება, სავარაუდო გამოსავალი ალბათ ახალი არჩევნებია (?!).

წინა კვირაში მოლდოვაში იმყოფებოდა ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა. მან ვლადიმირ ვორონინთან შეხვედრისას მიაღწია შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან პოლიტიკურ დიალოგს დაიწყებს და პოლიტიკურ ოპონენტებს, აგრეთვე საერთაშორისო ექსპერტებს ჩართავს მასობრივი არეულობების გამოძიების პროცესში. შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ვორონინმა განაცხადა, რომ ევროკავშირის დახმარებით ქვეყანამ გადალახა პოლიტიკური კრიზისი, თუმცა მისი ასეთი ოპტიმიზმი არ გაუზიარებია ხავიერ სოლანას. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ "კარგი დასაწყისია". გუშინ მოლდოვას ხელისუფლებას და ოპოზიციას დიალოგის გამართვისკენ გაერთიანების სახელით ოფიციალურად მოუწოდა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა. მან განაცხადა, რომ მათ უნდათ, მოლდოვა ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვონ და ამას, მათ შორის, აღმოსავლური პარტნიორობის მეშვეობით გააკეთებენ. სხვათა შორის, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაისში დაგეგმილ ევროკავშირის სამიტზე, როცა აღმოსავლური პარტნიორობა ოფიციალურად უნდა გაფორმდეს, პრეზიდენტ ვორონინს "არ ელოდებიან" და ეს ქვეყანა, ბელარუსის მსგავსად, ალბათ სხვა დონეზე იქნება წარმოდგენილი - ცხადია არჩევნებთან დაკავშირებული კრიზისის გამო.



ვლადიმირ ვორონინი

პარალელურად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო მანდატების გაცემა დაიწყო. ჯერჯერობით მანდატები მხოლოდ "გამარჯვებული" - კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა აიღეს. მათ სამოცი მანდატი ეკუთვნით. ოპოზიციამ განაცხადა, რომ მანდატებს მოგვიანებით აიღებს. მათ არ სურდათ, რომ ეს ბრწყინვალე შვიდეულში გაეკეთებინათ, თანაც კომუნისტებთან ერთად მანდატების აღება საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნიათ.

კომპარტია მიიჩნევს, რომ შეძლებს პარლამენტის ქმედობაუნარიანი მუშაობის უზრუნველყოფას, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ვადამდელი არჩევნებისათვისაც ოპონენტებზე უკეთესად არიან მზად, რადგან ისინი ისედაც მუდმივად ამომრჩეველზე არიან ორიენტირებულნი. საქმე ის არის, რომ მათ პრეზიდენტის ასარჩევად ერთი ხმა აკლდებათ, ხოლო თუ პარლამენტმა პრეზიდენტი სამი ცდით ვერ აირჩია, ახალი არჩევნები ინიშნება. პარლამენტში გასული ოპოზიციური პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ აუცილებლად გამოიყენებენ "ოქროს ხმას", კომუნისტების წამოყენებულ კანდიდატს მხარს არ დაუჭერენ და ამით ხელახალ არჩევნებს მიაღწევენ. ლიბერალური პარტიის ლიდერმა მიხაი გიმპუმ განაცხადა, რომ ოპოზიციონერები საერთოდ არ მივლენ პარლამენტში იმ დღეს, როცა დღის წესრიგში პრეზიდენტის არჩევა იქნება და თუ ხელახალ არჩევნებში კომუნისტები პატიოსნად გაიმარჯვებენ, ოპოზიცია ღისეულად მიიღებს დამარცხებასაც და ქვეყნის საკეთილდღეოდ ხელისუფლებასთანაც ითანამშრომლებს, როგორც ეს ევროპის სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება. დღეს კი მათვის ძნელია დიალოგზე წასვლა, როცა არჩევნების ფალსიფიკაციის უამრავი შემთხვევა აქვთ ხელთ. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლად ფილატმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები გააგრძელებენ ამომრჩეველთა სიების შემოწმებას და მთელ დოკუმენტებს ევროპულ სტრუქტურებს გადასცემენ. შესაბამისად მომავალ არჩევნებს უფრო მომზადებულები შეხვდებიან. თუმცა ექსპერტების უმრავლესობა სკეპტიკურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ კომუნისტები იმ ერთი "ოქროს ხმის" "შოვნას" მოახერხებენ.

გუშინწინ "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტმა მოახერხა ინტერვიუს აღება ნატალია მორართან, რომელიც აქამდე საშინაო პატიმრობაში იყო. პირველი ათი დღე მას აკრძალული ჰქონდა ინტერნეტით სარგებლობა და ტელეფონით საუბარი. ხელისუფლება მას 7 აპრილის არეულობების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად მიიჩნევს და თუ ეს ბრალდება სასამართლოში დადასტურდება, 25 წლის ჟურნალისტს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ელოდება. ნატალია მორარი ყველა ამ ბრალდებას უარყოფს.იგი აცხადებს, რომ საპროტესტო აქციის გამართვის იდეა მას და მის რამდენიმე მეგობარს კაფეში ყოფნისას დაებადათ, ინტერნეტის საშუალებით დაგზავნეს მოწვევა და თავადაც არ ელოდნენ, რომ ორიოდე საათში ქალაქის ცენტრალურ მოედანზე 15 ათასზე მეტი ადამიანი მოიყრიდა თავს. მით უმეტეს, ვერ წარმოიდგენდნენ, თუ პროტესტი დარბევასა და მაროდიორობაში გადაიზრდებოდა. ეს საპროტესტო გამოსვლის ორგანიზატორებს არც დაუგეგმავთ და არც არავისთვის მოუწოდებიათ. ნატალია მორარი აცხადებს, რომ 7 აპრილის მოვლენებმა ნათლად აჩვენა, თუ რამხელა პროტესტია დაგროვილი ქვეყნის ახალგაზრდობაში. კორესპონდენტის კითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას თავი საშიშ ქალად, ნატალია მორარს გაეცინა და განაცხადა, რომ ის მხოლოდ ახალგაზრდა ქალია აქტიური სამოქალაქო პოზიციით, ის თავისუფალი ადამიანია და სურს, ასეთად დარჩეს.

თავის დროზე ნატალია მორარს რუსეთიდან გაუკეთეს დეპორტაცია კრემლის "შავ სალაროზე" გამოქვეყნებული სტატიისთვის, რომელშიც ის უმაღლესი ეშელონების ჩინოვნიკების მიერ ფულის გათეთრების ფაქტებზე საუბრობდა.

ცოტა ხანში გაირკვევა, შეძლებენ თუ არა მოლდოვის პოლიტიკური სუბიექტები საერთო ენის გამონახვას. ისიც ყველასთვის ცხადია, რომ კომუნისტების მიერ ერთი ან ორი დეპუტატის გადაბირება პრობლემას მხოლოდ გარკვეული ვადით "გადაჭრის".

# საზღაური "საბჭოთა ოკუპაციისთვის"

მარიკა იაშვილი

ლატვიელმა სპეციალისტებმა დაადგინეს თანხა, რომელიც რუსეთმა, რიგის აზრით, "საბჭოთა ოკუპაციის" დროს მიყენებული ზარალისთვის უნდა გადაიხადოს. რიგაში მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური და სოციალური გარემოსთვის მიყენებული ზარალი 356 მილიონ ლატს, დაახლოებით, 665,72 მილიონ დოლარს შეადგენს.

თუმცა არ არის გამორიცხული, მომავალში თანხის რაოდენობა გაიზარდოს და მან 10 მილიარდ ლატს - 18.7 მილიარდ დოლარს გადააჭარბოს. სავარაუდოდ, ზუსტი თანხა მომავალ წელს დასახელდება.

სპეციალისტ ილგონის უმპალისის აზრით, ლატვიისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღების სურვილი საკმაოდ რეალურია. **"ვფიქრობ, ასეთი დრო დადგება. ზარალის დათვლა შეიძლება, მაგრამ საკითხავი ის არის, ვინ გადაიხდის ამ ფულს,"** - აღნიშნა მან. უმპალისის აზრით, ზარალის ასანაზღაურებლად ყველაზე რეალური ვერსია ევროკავშირის სახსრების გამოყენებაა.

ლატვიისთვის "კომუნისტური საოკუპაციო რეჟიმის" მიერ მიყენებული ზარალის დათვლის კომისიის თავმჯდომარე ედმუნდ სტანკევიჩის განცხადებით, ზარალი ჯერ კიდევ 1990 წელს დაითვალეს და ის, ინფლაციის გათვალისწინების გარეშე, 120 მილიარდ რუბლს შეადგენდა. მისივე თქმით, ზარალის დადგენაზე მუშაობა ნაჩქარევად მიდიოდა, რათა დაემტკიცებინათ, რომ ლატვიას რუსეთის არანაირი ვალი არა აქვს.

თავის მხრივ, რუსეთმა არაერთხელ განაცხადა, რომ ზარალის ანაზღაურების საკითხის განხილვას არ აპირებს. მოსკოვში რიგის პრეტენზიებს იურიდიულად დაუსაბუთებლად და რუსულ-ლატვიური ურთიერთობების გაუარესებისკენ მიმართულად მიიჩნევენ.

2006 წელს ლატვიის პრეზიდენტმა აღიარა, რომ რუსეთისგან საბჭოთა ოკუპანტების მიერ მიყენებული ზიანის გამო კომპენსაციის მიღება ამ დროისთვის არარეალურია.

ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრუს ანსიპმა განაცხადა, რომ რუსეთისგან, პირველ რიგში, კომპენსაციას კი არა, ბოდიშის მოხდას ელოდება.

ამავდროულად, ლიტვაში რუსეთისადმი მოთხოვნების წაყენება ქვეყნის 2008 წლის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა განაცხადა, რომ რუსეთისგან "საბჭოთა ოკუპაციის ფაქტის" აღიარების მიღწევას ყველანაირად ეცდება. ადამკუსმა კომპენსაციის თანხად 28 მილიარდი აშშ დოლარი დაასახელა.

# მექსიკა - ღორის გრიპის ეპიცენტრი

მარიკა იაშვილი


AFP ' 2009

იმ მექსიკელთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, ღორის გრიპმა იმსხვერპლა, სულ უფრო მატულობს. მექსიკის ჯანდაცვის მინისტრ ხოსე ანხელ კორდოვას მიერ ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში გაკეთებული განცხადების თანახმად, გარდაცვლილთა რაოდენობამ უკვე 152-ს მიაღწია.

მისი სიტყვებით, ეს ციფრი **"შეიძლება შეიცვალოს, რადგან გარდაცვალების ზოგიერთი შემთხვევა ჯერ კიდევ არ დადასტურებულა."**

ახალი მონაცემების გავრცელებამდე მექსიკის სანიტარული სამსახურები აცხადებდნენ, რომ ღორის გრიპის მსგავსი სიმპტომების მქონე დაავადებით 149 ადამიანი გარდაიცვალა. თუმცა ეს ჯერჯერობით ლაბორატორიულად არ დადასტურებულა.

ვირუსის გავრცელების გამო ქვეყანაში უპრეცედენტო ზომებია მიღებული: დახურულია სკოლები, გაუქმებულია მასობრივი ღონისძიებები, არ მუშაობს თეატრები, მუზეუმები და გამოფენები. მექსიკელთა უმეტესობა დოლბანდის სახვევებით დადის, რომლებსაც დიდი ქალაქების ქუჩებში უფასოდ არიგებენ. პოლიკლინიკებში უკვე იწურება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მარაგი.

მეხიკოს მერი აცხადებს, რომ, თუ მდგომარეობა კიდევ გაუარესდება, ის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას შეაჩერებს, რაც 20-მილიონიანი ქალაქის პარალიზებას გამოიწვევს.

გრიპის ახალი სახეობა - ადამიანის, ფრინველისა და ღორის ვირუსების კომბინაციაა და მისი ფართოდ გავრცელების საფრთხე იქმნება.

გრიპის გავრცელების შესაჩერებლად ევროპის ქვეყნების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, H1N1 ვირუსით დაავადების რამდენიმე შემთხვევა ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში უკვე ოფიციალურად დადასტურდა. მსგავსი სიმპტომების მქონე ადამიანები კი საფრანგეთის, ჩეხეთის, დანიის, შვედეთისა და ბელგიის საავადმყოფოებშიც მოხვდნენ.

გრიპის ერთი შემთხვევა რუსეთშიც გამოვლინდა. დაავადება 28 აპრილს მოსკოვში მექსიკიდან ჩასულ ქალს აღმოაჩნდა. რუსული ტურისტული სააგენტოების ცნობით, ამჟამად მექსიკის კურორტებზე 2.5 ათასიდან 3 ათასამდე ტურისტი ისვენებს.

ეპიდემიოლოგები ხალხს მოუწოდებენ, პანიკას არ აყვნენ. თუმცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მოსახლეობისთვის დაავადების საფრთხის მაჩვენებელი მესამე დონიდან მეოთხეზე აწია. ორგანიზაციის წესების მიხედვით, საფრთხის მაჩვენებლის დონე ხუთამდე იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ვირუსის გავრცელება მთელი მსოფლიოს კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დადასტურდება.

მექსიკაში შექმნილი ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა მიწისძვრამ. აშშ-ს გეოფიზიკის ინსტიტუტის მონაცემებით, ეპიცენტრი ჰერეროს შტატში იყო, ქალაქ აკაპულკოდან, დაახლოებით, 20 კილომეტრში. მიწისქვეშა ბიძგების მაგნიტუდა კი 6 ბალით შეფასდა.

ამავდროულად, ბრიტანული გაზეთი "თაიმსი" ვირუსის გავრცელების დაწყების დეტალებზე წერს.

ღორის გრიპით დაავადების პირველი შემთხვევა, რომლის შესახებაც მედიკოსებისთვის გახდა ცნობილი, ვერაკრუსის შტატში, ქალაქ ლა-გლორიაში დაფიქსირდა. ქალაქის მოსახლეობა დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამდა ღორების ფერმიდან წამოსული სუნისა და უამრავი ბუზის გამო. დაავადებული 4 წლის ედგარ ერნანდესი უკვე სრულად გამოჯანმრთელდა, მაგრამ ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ის სწორედ ღორის გრიპით იყო ავად, - აღნიშნავს გამოცემა.

ღორების ფერმაში, რომლის თანამფლობელი ღორის ხორცისა და ძეხვეულის უდიდესი მწარმოებელი, ამერიკული კომპანია Smithfield Foods -ია, ყოველწლიურად ერთი მილიონი ღორი გამოჰყავთ.

ცნობილი გახდა ისიც, რომ აპრილის დასაწყისში, ლა-გლორიასა და მის შემოგარენში სასუნთქი გზების დაავადებამ იჩინა თავი, რომლის პირველი შემთხვევაც ჯერ კიდევ თებერვალში დაფიქსირდა. სანეპიდსადგურმა სასწრაფო ზომები მიიღო, ქალაქში კარანტინი გამოცხადდა, სანიტარიული სამსახურის თანამშრომლებმა კი ბუზების განადგურების მიზნით სახლები ქიმიური საშუალებებით დაამუშავეს.

ორგანიზაცია Biosurveillance Indication and Warning Analysis Community (BIWAC) ერთ-ერთ დამფუძნებელ ჯეიმს უილსონის საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ექიმებს თებერვლიდან დღემდე ქალაქ ლა-გლორიას 3 ათასი მოსახლის 60 პროცენტმა მიმართა.

თავის მხრივ, Smithfield-ის ოფიციალური წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ღორის გრიპის სიმპტომები არც ღორებს და არც მექსიკის ტერიტორიაზე მდებარე რომელიმე ფერმის თანამშრომლებს არ გამოუვლინდათ. მექსიკის ღორების მომშენებელთა ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: **"მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ გრიპის ვირუსი, რომელმაც მექსიკაში ეპიდემია გამოიწვია, ღორებში ვერანაირ შემთხვევაში ვერ გაჩნდებოდა."**

# რუსი გენერლები სამსახურის გარეშე

მარიკა იაშვილი



რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლეს ოფიცერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა - დაახლოებით, ყოველმა მეხუთემ - ატესტაცია ვერ გაიარა, რის გამოც დაკავებულ თანამდებობებს დატოვებენ. ასეთ ინფორმაციას რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი ნიკოლაი პანკოვი ავრცელებს.

მისი სიტყვებით, ოფიცერთა და უმცროს ოფიცერთა ატესტაცია არაგეგმიური იყო და თავდაცვის მინისტრის პირადი ინიციატივით ტარდება. ამ დროისთვის ატესტაცია უკვე ოფიცერთა 85 პროცენტმა და უმცროს ოფიცერთა 79 პროცენტმა გაიარა.

**"ჩვენ არ ვაპირებთ, დავტოვოთ შეიარაღებულ ძალებში ის ოფიცრები, რომლებიც დაკავებულ თანამდებობებს და ოფიცრის წოდებას არ შეეფერებიან. უკვე საკმაოდ ბევრი ოფიცერი გამოვლინდა, რომლებიც დაკავებულ თანამდებობას არ შეეფერება და ისინი შეიარაღებულ ძალებს დატოვებენ,"** - აცხადებს პანკოვი.

პანკოვმა აღნიშნა, რომ 249 უმაღლესი ოფიცრის - გენერლებისა და პოლკოვნიკების ატესტაციის შემდეგ, სამსახურიდან 50-ის გათავისუფლება გადაწყდა. თუმცა, მისი განმარტებით, ეს მხოლოდ წინასწარი შედეგებია, რადგან ატესტაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

პანკოვის თქმით, წლის ბოლომდე შეიარაღებულ ძალებიდან 40 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე წავა - დაახლოებით, იმდენივე, რამდენიც გასულ წელს.

ამასთანავე, პანკოვმა გაიხსენა, რომ სამხედრო მოსამსახურის გათავისუფლება კანონის მიხედვით მხოლოდ მისი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შემთხვევაში შეიძლება. ამიტომ უმუშევრად დარჩენილი თითოეული ოფიცერი ბინას მიიღებს. საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე სამხედრო მოსამსახურის გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის ფართის მიღებაზე თავად იტყვის უარს, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი სიაში დარჩება, როგორც შესახლების ერთ-ერთი პრეტენდენტი.

შემცირება არ შეეხებათ იმ სამხედროებს, რომლებსაც პენსიაზე გასვლამდე ერთი ან ორი წელი დარჩათ. პანკოვის განცხადებით, ეს სამინისტროს პრინციპული პოზიციაა.

**"თუ ადამიანს მუშაობის 18-19-წლიანი სტაჟი აქვს, მაშინ ის აუცილებლად იმსახურებს 20 წლამდე. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა. თუ ასეთ სამხედრო მოსამსახურეს თანამდებობა არა აქვს, მაშინ მისი დანიშვნა აუცილებლია,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ეკატერინა პრიეზჟევა კი აცხადებს, რომ გათავისუფლებულ სამხედრო მოსამსახურეებს შეეძლებათ, სამინისტროს ხარჯზე სამოქალაქო სპეციალობებში გადამზადების კურსი გაიარონ.

სამინისტროს კიდევ ერთი წარმომადგენლის ალექსანდრ დრობიშევსკის თქმით, გათავისუფლებულ ოფიცრებს პროფესიათა ფართო სპექტრს სთავაზობენ, რომელთაგან სასურველს თავისი ინტერესებისა და ადრე მიღებული განათლების შესაბამისად აირჩევენ.


## საბავშვო საკომისიო მაღაზია
## ჭ ო ჭ ი ნ ა

მაღალი ხარისხის საბავშვო საქონელი ყველაზე იაფად!

15 ლარი




5 ლარი


10 ლარი



10 ლარი

10 ლარი


15 ლარი


10 ლარი


3 ლარი



10 ლარი


5 ლარი



50 - 150 ლარი


ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N6, ტელ: 897 46 25 26, 855 100 809. www.welcom.ge/chochina; E-mail: chochina.chochina@gmail.com,

# რევიუ



2009 წლის 26 აპრილს, კაიროდან 130 კილომეტრში, ეგვიპტელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამარხი, რომელიც მსოფლიო ინტერესის საგანი გახდა. მეცნიერთა ჯუფი ვარაუდობს, რომ მასში, შესაძლოა, კლეოპატრა იყოს დასვენებული. თუ სპეციალისტთა ვარაუდი გამართლდა, ეს აღმოჩენა, მასშტაბის თვალსაზრისით, ტუტანხამონის აკლდამის გახსნას გაუტოლდება.

## ბობ დილანი ბეისბოლის სტადიონებზე

ბობ დილანი, რომლის ახალი ალბომი Together Through Life უკვე გამოვიდა, ქანთრი-მუსიკოსთან ვილი ნელსონთან და ფოლკ-მსახიობთან ჯონ მელენკამპომთან ერთად საგასტროლო ტურნეზე გაემგზავრება. აღნიშნულ ინფორმაციას გამომცემლობა Rolling Stone ავრცელებს. Ballpark Tour იგივე “ტური ბეისბოლის სტადიონზე” სტარტს ილიონისის შტატში 2009 წლის 2 ივლისს აიღებს. ამ ტურის ფარგლებში ყველა კონცერტი დაბალი ლიგის ბეისბოლის მინდორზე გაიმართება. მოგზაურობის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პატარა ქალაქებში მუსიკოსები 22 სტადიონზე მოასწრებენ გამოსვლას. “ბეისბოლის სტადიონების ტურზე” უკანასკნელი შოუ 15 აგვისტოს კალიფორნიაში გაიმართება. ბილეთების გაყიდვა უკვე 2 მაისიდან დაიწყება. მნიშვნელოვანია, რომ 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ტრიოს კონცერტები უფასო იქნება.



შეგახსენებთ, რომ ბობ დილანმა საკუთარი ახალი ალბომში - Together Through Life შესული მეორე ტრეკის პრეზენტაცია ცოტა ხნის წინ მოაწყო. კომპოზიცია Feel A Change Comin’On’, ჟურნალ Newsweek-ის საიტზე ექსკლუზიურად დაიდო, სადაც ნებისმიერ მსურველს ახალი სიმღერის მოსმენა და მისი შეფასება შეეძლო. სიმღერაში დილანი იმის შესახებ მღერის, რომ “ბილი ჯო შეივერს უსმენს და ჯეიმს ჯოისს კითხულობს”, ასევე გვატყობინებს, რომ “მის ხმაში სამყაროს სისხლია დამალული”. დილანის სხვა კომპოზიციების ჩაწერაში მონაწილეობას იღებდა დევიდ იდალგო, ჯგუფიდან Los Lobos, რომელმაც აკორდეონის პარტია შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის მოგზაურობა დილანმა და თავისმა კოლეგა ნელსონმა 2004 წელსაც წამოიწყეს და კონცერტების სერია ბეისბოლის სათამაშო მოედნებზე გამართეს. ბობ დილანი სერიოზულადაა მოხიბლული ამ თამაშით: როდესაც შემსრულებელი მონაწილეობას იღებდა რადიომაუწყებლობა XM-ის პროგრამა Theme Time Radio Sour-ში, მან ერთ-ერთ თემად ბეისბოლი აირჩია, რომელზეც მას საუბარი მოუწევდა. როგორც ამერიკელმა ბეისბოლის მიმომხილველმა მაიკლ ბეიმენმა იხუმრა, დილანის მიერ დაწერილი ყველა სიმღერა საბოლოო ჯამში სწორედ სპორტის ამ სახეობას ეძღვნება.

ბობ დილანის უკანასკნელი ალბომი Together Through Life, მის დისკოგრაფიაში 33-ე იქნება. მომღერლის წინა სტუდიური ალბომი Modern Times-ი, 2006 წლის აგვისტოში გამოვიდა და მუსიკოსის პირველ დისკად იქცა, რომელმაც ამერიკულ ჩარტებში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში პირველი ადგილი დაიკავა. ამ ალბომის გამოშვებით, 67 წლის მუსიკოსი ერთ-ერთ ხანში შესულ მუსიკოსად იქცა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ჰიტ-პარადების სათავეში აღმოჩნდა. ამ წელსვე, საუკეთესო მამაკაცური ვოკალისთვის დილანმა პრემია “გრემი” მიიღო. გარდა ამისა, გასულ წელს დილანმა ბუტლეგების სერიის მორიგი ნაწილი გამოუშვა, სახელწოდებით - Tell Tale Sings. კრიტიკოსებმა ბობ დილანი XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მუსიკოსად აღიარეს, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია არა მარტო მუსიკის, არამედ ლიტერატურული კულტურის განვითარებაზე. დილანი სიმღერების უკანასკნელი ავტორია, რომლის სახელიც არა ერთხელ დასახელებულა ნობელის პრემიის შესაძლო კანდიდატებს შორის, ლიტერატურის დარგში.



# აფიშა

**28 აპრილი**

**თეატრი**

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
სულიერი არსებები
რეჟისორი დავით საყვარელიძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
მე ვხედავ მზეს
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
ირმის უკანასკნელი ნახტომი
სოხუმის თეატრის სპექტაკლი
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"დუმილის პოეზია"
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**რუსთაველი**
დესპეროს თავგადასავალი
დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30;
მადაგასკარი 2
დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30;
მილიონერი გარეუბნიდან
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15
სხეულის გარეშე
დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15
ცვლილება
დასაწყისი: 21.30

**ამირანი**
თქვი დიახ
დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15
ნიკი და ნორა
დასაწყისი: 20.00
ზღაპრები ძილის წინ
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00;
სხვა სამყარო - 3
დასაწყისი: 22.00

**"საქართველო"**
"მადაგასკარი"
დასაწყისი: 13.00; 15.00
სხვა სამყარო
დასაწყისი: 19.00; 21.00
"სხეულის გარეშე"
დასაწყისი: 17:00

**გამოფენები**

**თიბისი გალერეა**
გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის გამოფენა

**კოპალა**
მარინა შნაიდერის პერსონალური გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
იტალიის საელჩო გიწვევთ გამოფენაზე - "იტალიური სტილი".

**"კამეა"**
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

**"ორნამენტი"**
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

# ფოტოგრაფია ყველასთვის

## საქართველოში ფოტოგრაფთა ასოციაცია დაფუძნდა

თამარ კიკნაველიძე



საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია 2008 წლის ნოემბერში დაარსდა, მისი თავმჯდომარეა კახა ფხაკაძე (ფოტოგრაფი), ხოლო დამფუძნებელი - თამარ ქარჩხაძე.

ახალი გაერთიანება რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. მასთან პროფესიონალები თანამშრომლობენ, ფოტომოყვარულებს კი საშუალება ეძლევათ ასოციაციაში გაწევრიანდნენ, შეიძინონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ისარგებლონ მათთვის ხელსაყრელი მომსახურებით.

ფოტოგრაფთა ასოციაციამ ბინა ხილიანზე, ჭანტურიას 17 ნომერში დაიდო. ის ფოტო ლაივ სტუდიოს" ბაზაზე ფუნქციონირებს. მის შესახებ, როგორც ვიზუალური, ასევე ტექსტუალური ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ საიტზე: www.photographers.ge

დამფუძნებლებმა შეიმუშავეს წესდება, რომლის თანახმად, ასოციაციაში გაწევრიანებული კანდიდატი ავტომატურად გახდება ვებ-პორტალის მომხმარებელი, საშუალება მიეცემა შექმნას პირადი ფოტოგალერეა, ისარგებლოს ელექტრონულ-საინფორმაციო ბაზის ზოგადი და სპეციალური სექტორებით, ჰქონდეს შეღავათები ფოტომომსახურებაზე, მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ინიციატივით გამართულ გამოფენებსა და ფესტივალებში, ინტერნეტ-ვიდეო გადაცემებში, დისკუსიებში, საავტორო უფლებების დასაცავად კი, მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაციები, აიყვანოს ადვოკატი და ა.შ.

ფოტოგრაფთა ასოციაცია, ძირითადად, ფოტოგრაფთა და ფოტომოყვარულთა დასახმარებლად შეიქმნა. ასოციაცია, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი, არ იღებს შეკვეთას ფოტომომსახურებაზე. ვებპორტალი შეიქმნა იმისათვის, რომ დამკვეთმა ჩვენთან გაწევრიანებული ფოტოგრაფებიდან მისთვის სასურველი და მოსაწონი თავად აირჩიოს და უშუალოდ მას დაუკავშირდეს", - აღნიშნავენ ასოციაციის წარმომადგენლები.

რას სთავაზობს ასოციაცია ფოტომოყვარულთა სექციაში გაწევრიანებულებს? უპირველესად, მასტერკლასებს, რომლებსაც გამოცდილი ფოტოგრაფები ჩაატარებენ გამართული ტექნიკური ბაზის გამოყენებით. ასოციაციის წევრები ისწავლიან ფოტოგრაფიის სხვადასხვა ჟანრში მუშაობის სპეციფიკას (საწევრო გადასახადი თვეში 7 ლარია). ამის პარალელურად, არსებობს სააბონენტო სისტემა, რომელიც მხოლოდ ასოციაციის წევრებზე ვრცელდება. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სამი სახის აბონემენტი: ა) 6 თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ, 3 საათით პროფესიონალური სტუდიით სარგებლობა; ამასთან, თვეში ერთხელ, 5 საათიანი თეორიული და პრაქტიკული მასტერკლასის გავლა; ბ) 6 თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ, 3 საათით პროფესიონალური სტუდიით სარგებლობა; გ) 6 თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ, ხუთსაათიანი თეორიული და პრაქტიკული მასტერკლასის გავლა.

საერთო ჯამში, ა" ტიპის აბონემენტი მფლობელს საშუალებას აძლევს ფოტოსტუდია 18 საათის განმავლობაში გამოიყენოს და 30 საათი დაუთმოს მასტერკლასს, რომელიც თეორიასაც მოიცავს და პრაქტიკასაც. ბ" და გ" ტიპის აბონემენტი კი, ასოციაციის წევრებს უფლებას უტოვებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს ფოტოსტუდიით სარგებლობა ან მასტერკლასი. ა" ტიპის აბონემენტის ღირებულებაა 310 ლარი, ხოლო ბ" და გ" ტიპის აბონემენტის - 210 ლარი. ვფიქრობთ, ასეთი შეთავაზება ხელსაყრელი იქნება ფოტოგრაფიით დაინტერესებულთათვის, სხვაგან ხომ სტუდიური გადაღებები გაცილებით ძვირია", - გვითხრეს დამფუძნებლებმა.

დღეს ფოტოგრაფიით ბევრია გატაცებული. ახალგაზრდებს აქვთ მოთხოვნილება ისწავლონ გადაღება და აპარატის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. ამიტომ მასპინძლობს ასოციაცია ფოტოგრაფებს, რომლებიც ახალგაზრდების შეკითხვებს პასუხობენ, მათ საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ და თეორიულ საკითხებსაც განიხილავენ.

ახალგაზრდების დაოსტატების პარალელურად, ფოტოგრაფთა ასოციაცია ცდილობს ამ დარგის განვითარებაზეც იზრუნოს. მისმა წარმომადგენლებმა შეადგინეს ანკეტა სოციალური კვლევისათვის, რომელიც სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ფოტოგრაფს დაურიგდა. ანკეტაში მოცემულია ისეთი კითხვები, როგორებიცაა: გაქვთ თუ არა ინფორმაცია საქართველოში ფოტოტექნიკის შეკეთების სერვისცენტრების შესახებ? ვის მიმართავთ აპარატურის დაზიანებისას; საქართველოში არსებულ რომელ სერვის-ცენტრს, ლაბორატორიას ანიჭებთ უპირატესობას? საიდან ეცნობით ფოტოგრაფიული თემატიკის ინფორმაციას: პრესიდან, ტელევიზიიდან, სპეციალური პერიოდიკიდან, ინტერნეტიდან, პედაგოგებისგან, სასწავლებლისგან თუ სხვა? გაქვთ თუ არა ინფორმაცია ქართული სპეციალური ბეჭდვითი გამოცემების შესახებ? გაკმაყოფილებთ თუ არა ქართული ფოტოგამოცემების ხარისხი და შინაარსი? ხომ არ დარღვეულა თქვენი საავტორო უფლებები? გსურთ თუ არა მომავალში თქვენი საავტორო უფლებების დასაცავად მიმართოთ საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციას? და ა.შ. გამოკითხვის შედეგები, სავარაუდოდ, მაისში ასოციაციის საიტზე დაიდება.

ასოციაცია, მასში გაწევრიანებული ფოტოგრაფებისა და ფოტომოყვარულთათვის, ახორციელებს პროექტს სახეები". ეს ფოტოპროექტი სტუდიური პორტრეტის გადაღების თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს მოიცავს. ის სამი მასტერკლასისგან შედგება. პირველი მასტერკლასი მიეძღვნა რეტროპორტეტს, მეორე - საქორწინო სიუჟეტის ორგანიზებას, ხოლო მესამე, რომელიც ამ კვირაში ჩატარდება, საღამოს კაბების ფოტოგრაფირებას დაეთმობა. პროექტში სააგენტო ნატალის" მოდელები მონაწილეობენ. მათ ჩაცმულობას, ვარცხნილობასა და მაკიაჟს კი კომპანია მარიგოლდი" უზრუნველყოფს. პროექტის ბოლოს, გაიხსნება მონაწილეთა ნამუშევრების ამსახველი გამოფენა. აქვე მოხდება ფოტოგრაფთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია.

სამომავლოდ, დამფუძნებლებს სურთ შექმნან ბიბლიოთეკა, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული, რომელიც ხელმისაწვდომი მხოლოდ მათი გაერთიანების წევრებსათვის იქნება. მათი მთვარი ამოცანაა ხელი შეუწყონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პროცესს, დაიცვან ფოტოგრაფთა საავტორო უფლებები. ასოციაციის პარტნიორია საქართველოს ავტორთა საზოგადოება".

იმედის თვალით გვიყურებენ ფოტოგრაფებიო, გვითხრა ასოციაციის დამფუძნებელმა, თამარ ქარჩხაძემ. ინიციატორთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია გაწევრიანდნენ ევროპის ფოტოგრაფთა ფედერაციაში, რაც მათ წევრებს საშუალებას მისცემს საერთაშორისო პრიზების მოსაპოვებლად იბრძოლონ.

მათ გაერთიანებას მხარს ფოტოგრაფი იური მეჩითოვიც უჭერს. ასოციაციის საპატიო წევრმა აღნიშნა: - აქ პრაქტიკულ გაკვეთილებს ვატარებ ხოლმე, რადგან მეტი ტექნიკური საშუალებაა, გამოცდილი კადრებია, ბ-ნი კახას სახით... ისინი საქმიანი თანამშრომლობისთვის ყოველთვის მზად არიან. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ მე ასოციაციის წევრებს საკუთარ გამოცდილებას გავუზიარებ, მაგალითად პორტრეტთან ან რეპორტაჟთან დაკავშირებით. ფოტოაპარატი ისეთი ტექნიკური მოწყობილობაა, რომ შეიძლება მიზანს შემთხვევით მიაღწიო, მაგრამ როდესაც პროფესიონალი ხარ, ამის გაკეთება ყოველთვის შეგიძლია. ფოტოგრაფიის გარეშე დღევანდელი ცივილიზაცია წარმოუდგენელია. დღევანდელი ფოტოგრაფი უნდა იყოს ოპერატიული, ენერგიული, მობილური, ზღვა ინფორმაციიდან მან მისთვის საჭირო და აუცილებელი უნდა გამოარჩიოს... რასაც სურვილი, სწავლა და გამოცდილება სჭირდება".

# დედა ენა ფერეიდნელთათვის

## გოგებაშვილის დედაენა სპარსულად

ბელა ჩეკურიშვილი






ფერეიდუნშაჰრის ისპაჰანის უნივერისტეტის ფილიალის პროფესორმა საიდ მულიანმა (გიორგი მულაშვილმა) ქართული დედაენის" ანალოგი შექმნა და ფერეიდნელ ქართველებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლის.

ეთნიკური ქართველები ფერეიდანის 14 სოფელში ცხოვრობენ, აქედან 10 სოფელში ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ და მათი საერთო რიცხვი 15-30 ათასს აღწევს. აქ ისეთ სიტყვებსაც გაიგებთ, რასაც საქართველოში უკვე აღარავინ იყენებს. მათი ენა ძალიან ჰგავს ძველი ჰერების ენას, რასაც დღეს ინგილოურ დიალექტს ვეძახით. მათთვის ქართული სუვენირად და რელიკვიად არ ქცეულა, ენას ქართულად იდგამენ, მათი საუბრის მოსმენისას თქვენ შეგიძლიათ საკუთარი ენის წარსულში იმოგზაუროთ.

საიდ მულიანი: ქართული ენის და ტრადიციების ეშხის ალი ჩემში სწორედ მაშინ აენთო, როცა ისპაჰანის უნივერსიტეტის ისტორის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. ჩემი დისერტაციის თემა იყო ქართველთა როლი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში. ეს იყო 200 სანდო წყაროზე დაყრდნობილი ნაშრომი და დიდად დააფასეს ირანელმა ისტორიკოსებმა.

შემდეგ წიგნად გამოვიდა კიდეც და ქართველთა და ირანელთა ყურადღება მიიპყრო. სამწუხაროდ ეს ნაშრომი ქართულად თარგმნილი არ არის, რათა ყველამ იცოდეს ირანში მცხოვრებ ქართველებს როგორი მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონიათ საუკუნების მანძილზე. ამ წიგნმა დიდი როლი ითამაშა ირანში მცხოვრებ ქართველებში ეროვნულობის გაცოცხლების საქმეში. იმისათვის რომ ხალხმა ქართული წერა-კითხვა ისწავლოს, საჭიროა გქონდეთ ძალიან ძლიერი მოტივაცია, უნდა გაიგონ ვინ ყოფილან, ვინ არიან და ვინ უნდა იყვნენ. სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქართულ-სპარსული თვითმასწავლებელი დედაენის შექმნა, რაც ძალიან ძნელი იყო. ძნელი იმიტომ, რომ თივთონაც კარგად არ ვიცოდი, ამიტომ ჯერ ერთი წელი თითონ ვისწავლე როგორც შემეძლო.

**- როდის დაიწყეთ ამ დედაენაზე" მუშაობა და რამდენ ხანს გაგრძელდა მისი შედგენა?**

- ეს იყო 2003 წელი. გავაკეთე იაკობ გოგებაშვილის დედაენის" საფუძველზე და ქსეროქსით გავავრცელეთ. ეს საკმაოდ რთული საქმე იყო, ერთი მხრივ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მეორე - უხარისხობის გამო. მაგრამ ამაზეც კი ძალიან დიდი მოთხოვნა იყო.

**- დაინტერესდნენ ფერეიდნელი ქართველები ამ წიგნით? კითხულობენ?**

- 2004 წლიდან 2008 წლამდე მქონდა საზაფხულო ქართული ენის სკოლა, რითაც ძალიან ბევრმა ისწვლა ქართული წერა-კითხვა. მაგრამ საჭირო იყო კარგი თვითმასწავლებელის შექმნა. ძველი გამოცდილების დაყრდნობით, ახალი მეთოდებისა და ცნობების მიხედვით და ჩემი ძმის - კახას დაჟინებული თხოვნით და დახმარებით შევმქენი ახალი ქართულ-სპარსული დედაენა"

**- იოკობ გოგებაშვილიდან რა დატოვეთ და რა შეცვალეთ?**

- თვითმასწავლებელი ირანული წესისამებრ იწყება ციტატით ყურანიდან ალაჰის სახელით. და ქართულ ანბანს სპარსულიც მისდევს. სპარსულში არ არსებობს ასო-ბგერები: კ ,პ ,ტ ,ღ ,ც ,ჟ, წ, ჭ, ამიტომ ამ ასოებს იქვე მიწერილი აქვს სიტყვები. მაგალითად, წ-ს წიწილა" როგორც სპარსულად ასევე ქართულად. მოცემულია აგრეთვე განმარტებები, თუ როგორ უნდა წაიკითხო ეს ასო-ბგერები.

თვითმასწავლებელი ქართული ანბანის გარდა მოიცავს მცირე გრამატიკას, ანდაზებს და სასაუბროს: მისალმება-გაცნობას, წელიწადის დროებს, კვირის დღებს, საათს, მგზავრობის თემას, შესულია რამდენიმე ლექსი და პატარა ლექსიკონიც. თვითმასწავლებელი ძირითადად იაკობ გოგებაშვილის დედაენის საფუძველზეა შედგენილი, მაგრამ ტექსტში ბევრი რამ არის შეცვლილი, ირანული შინარსისაა, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო.

ამ წიგნზე მუშაობისას ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ როგორმე პატრიოტიზმი და საქართველოს მთლიანობის იდეა ჩამედო. მაგალითად,

რამდენჯერმე იხსენება ტექსტში სოხუმი, აფხაზეთი, ცხინვალი და ბევრი სხვა ასეთი გეოგრაფიული სახელი.

**- როდის გამოვიდა წიგნი და ვისი მხარდაჭერით?**

- ეს წიგნი 2008 წელს გამოსცა საქართველოს დიასპორის სამინისტრომ და თავისი სრულყოფილების და მაღალი ხარისხის გამო ძალიან მალე გავრცელდა ფერეიდანში და ძალიან დიდი მოთხოვნილებაა მასზე. მართალია, კულტრული საქმის კეთება ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ჩემს ვითარებაში, მაგრამ თავს ბედნიერ ვგრძნობ, რომ შემიძლია ვემსახურო ჩემს ენას და ერს, თუნდაც პატარა ნაბიჯებით.

ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წამი მაშინ იყო, როცა ქუჩაში სახლის საფეხურთან ვნახე 8 წლის ბავშვი, რომელიც ჩემი გაკეთებული თვითმასწვლებელით სხვა ბავშვებს ასწავლიდა ქართული ენას.

# პერფორმანსის თეატრი შარდენზე

დღეს, სამხატვრო აკადემიის მცირე გალერეაში "აკადემია + პროექტის "თავისუფალი სივრცე" ფარგლებში მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრი ვიტრინის პერფორმანსს "ნარცისიზისი" წარმოადგენს.

თავისუფალი სივრცე" გააზრება შესაძლებელია როგორც პირობითად, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. პროექტი ითვალისწინებს სამხატვრო აკადემიის მცირე საგამოფენო სივრცის დათმობას მხატვრულ-შემოქმედებითი აქტივობებისთვის.

**კონკრეტულად:** პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკისა და გამოცდილების პროფესიონალ მხატვარს, ანდა ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის, ანდა სხვა ქვეყნის უმაღლესი სამხატვრო სკოლისა და უნივერსიტეტის ბაკალავრის მესამე და უფრო მაღალი კურსის სტუდენტს.

*არაპროფესიონალი მხატვრებისთვის გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორს ვიზუალური ხელოვნების სფეროში მოღვაწეობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. თუ მას სხვადასხვა პროექტსა და გამოფენაში მიუღია მონაწილება.*

როგორც გვამცნეს, პროექტში თავისუფალი სივრცე" მონაწილეობა შეუძლიათ ხელოვანთა გაერთიანებებსაც. მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი იდეები გამოფენების, მხატვრული აქციების, პერფორმანზების, ანდა მულტიმედიური პროექტების შესახებ სამხატვრო აკადემიაში საზოგადოებასთან წარმოდგენილ ინიციატივათა მოწონების შემთხვევაში, მათ ავტორებს უფასოდ დაეთმობათ სივრცე შარდენის ქუჩაზე. თუმცა ეს არ არის ყველაფერი. **გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:** გალერეის ფართობია 22 კვ/მ. სამხატვრო აკადემია უზრუნველყოფს პროქტის ფოტომასალის შექმნას და პროქტის გაშუქებას მედიასაშუალებებით.

თავისუფალმა სივრცემ უკვე სამ ინიციატივას უმასპინძლა. ახალგაზრდა კინომხატვრების მაკეტების გამოფენას, სრულიად ახალბედა მხატვრის, ეკა ქეცბაიას პირველ პერსონალურ გამოფენას, რომელიც ჩვეულებრივის კონცეპტუალურ და პოსტმოდერნისტულ ირონიულ ხედვას უფრო გავდა. დაბოლოს, გოგა ჯაფარიძის მხატვრულ იდეას იბერია მარად . აღსანიშნავია, რომ გოგა ჯაფარიძემ 2008-2009 წლებში უკვე 4 პერსონალური გამოფენა-პროექტი გამართა. მათგან სამი სწორედ აკადემია + -თან ერთად.

დღეს დაიწყება მეოთხე ინიციატივის პრეზენტაცია. დავით ჩიხლაძის ვიდეოჩვენება ვიქრინის პერფორმანსის სახით რამდენიმე საღამოს შარდენის ქუჩაზე დისონანს შეიტანს.

პერფორმანსი დღეს საღამოს 7 საათზე დაიწყება და 5 მაისამდე ყოველ საღამოს განმეორდება. ლექსიკონის თეატრის პროექტის ახალი სერია, სადაც ნაჩვენები იქნება ყოფითი, ყოველდღიური ცეკვის ნიმუშები - ბუნების, ტრანსლაციის და სცენის გადაკვეთებში. ერთგვარი თამაში მდგომარეობებით, სადაც ბუნებრივი ამბივალენტური ხდება ხელოვნურის და პირიქით.

იდეა ეკუთვნის დავით ჩიხლაძეს. მონაწილეობენ: შალვა კობალაძე, ირინა ხუციშვილი, მაია ბერიტაშვილი, გიორგი ბუნდოვანი, მარიკა ჟორჟოლიანი, ნინო ლომიძე, ვასო მაჭარაძე, ლევან მაისურაძე.

ლექსიკონის თეატრის პროექტი სხვადასხვა ვერსიაში წარმოდგენილი იყო ოსტინში, ნიუ იორკსა და თბილისში, 1996-2008 წლებში.

*24 საათი*

### "British Corner"-ში კულტურულ-სანახაობრივი საღამო გაიმართება

დღეს, 29 აპრილს, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე,

ღია ცის ქვეშ, ბაღ "British Corner -ში გაიმართება კულტურულ-სანახაობრივი საღამო GARDEN PARTY, რომელიც უილიამ შექსპირის დაბადების დღისადმი (23 აპრილ) არის მიძღვნილი.

ღონისძიება თეატრალიზებულია და მასში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტუდენტები.

ამ დღეს ეძღვნება, ცნობილი ქართველი მხატვრის ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ICCBR-ის მხარდაჭერით სექტემბერში ლონდონში გაემგზავრება. ევროპელ დამთვალიერებელს პირველად მიეცემა შესაძლებლობა აღმოაჩინოს მხატვარ ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედება.

საღამოზე მოწვეულები არიან კულტურის სამინისტრო, თბილისის მერია, დიპლომატიური კორპუსის პირველი პირები, მხატვრები, მსახიობები, მეცნიერები და სხვა საპატიო სტუმრები.

ღონისძიების სპონსორები არიან HSBC ბანკი და "მთვარის გლობუსი".

*ჯი-ეიჩ-ენი*

### "იესემ ბიზნეს სკოლამ" მაგისტრატურაში ჩაბარების წესები გაამარტივა

"იესემ ბიზნეს სკოლაშ" მაგისტრატურაში ჩაბარების წესები გამარტივდა. როგორც ცნობილი გახდა, "იესემ ბიზნეს სკოლამ" მაგისტრატურაში ჩაბარების წესები გაამარტივა. ბიზნესსკოლის სტუდენტებმა ამის მიზეზად ფინანსური კრიზისის ფონზე აბიტურიენტების მოზიდვა დაასახელეს. ბიზნესსკოლის სტუდენტების ინფორმაციით, თუ ადრე მაგისტრატურაში ჩაბარების წესი საკმაოდ მკაცრად იყო განსაზღვრული და მაგისტრატურაში მოხვედრის მსურველს გამოცდა მარკეტინგში უნდა ჩაებარებინა, ამიერიდან მაგისტრანტები მხოლოდ უნარ-ჩვევების ტესტს ჩააბარებენ.

"აქამდე მიღება ხდებოდა სპეციალური 4-საათიანი გამოცდით, რომელშიც შედიოდა ის საგნები, რომელიც სკოლაში არ ისწავლება. მარკეტინგში, ბუღალტერიაში, და ა. შ. ახლა, როგორც ჩანს, ძალიან ცოტამ გამოთქვა ამ უნივერსიტეტში ჩაბარების სურვილი და ამიტომ გააუქმეს ეს გამოცდები და მიღება ჩვეულებრივი სახელმწიფო გამოცდით ხდება. სამწუხაროდ, ეს ლახავს უნივერსიტეტის იმიჯს", - განაცხადა "იესემ ბიზნეს სკოლის" ერთ-ერთმა სტუდენტმა. "იესემ ბიზნეს სკოლაში" კი აცხადებენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ სურთ, თუმცა აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი წელს მართლაც განახლებული სამაგისტრო პროგრამით იხელმძღვანელებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ვილნიუსში მიხეილ სააკაშვილის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

ლიტვურმა გამომცემლობა "ბანკოს ლანკოსმა" საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მონაყოლის მიხედვით წიგნი გამოსცა სახელწოდებით - "ვსაუბრობ თავისუფლებაზე". წიგნი ფრანგულ და ლიტვურ ენაზეა გამოცემული. წიგნი აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაიწერა და მის პრეზენტაციას ვილნიუსში საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი დაესწრო. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის ცხოვრებაზე, გეგმებზე, ოცნებებსა და არსებულ საერთაშორისო კრიზისზე საუბრობს. წიგნში დიდი ადგილი უკავია აგვისტოში მომხდარ რუსეთ-საქართველოს ომს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### რუსეთმა ოს აბიტურიენტებს 115 ლიმიტი გამოუყო

რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტრომ სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის აბიტურიენტებს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 115 ლიმიტი გამოუყო. ეს ინფორმაცია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით კოკოითის ე.წ. მთავრობის განათლების მინისტრის მოადგილემ ზამირა ჯიოევამ გაავრცელა.

"სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის გარლმავების მიზნით, რუსეთის ფედერაცია უკვე რამდენიმე წელია სამხრეთ ოსეთის აბიტურიენტთათვის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტს ითვალისწინებს. წელს რუსეთის ფედერაციამ ჩვენთვის მოსკოვის, სამხრეთ ფედერალური ოლქისა და ჩრდილო ოსეთის სასავლებლებში 115 ადგილი გამოყო", - აცხადებს ჯიოევა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სოტკილავა მოსკოვში საქართველო-რუსეთის ომზე იმღერებს

30 აპრილს მოსკოვის კონსერვატორიაში მომღერალი ზურაბ სოტკილავა კონცერტს გამართავს, რომელიც საქართველო რუსეთის-ომის დროს დაღუპულებს მიეძღვნება.

ამ კონცერტის ორგანიზატორია “რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირი”.

როგორც ამ კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ “ინტერფაქსს” განუცხადა, სოტკილავა ომში დაღუპულებს ეთნიკური ნიშნით არ დაყოფს და კონცერტი 2008 წლის აგვისტოში ყველა დაღუპულს მიეძღვნება. **მედიანიუსი**

### “EVITA PERONI”-ის აქსესუარების კოლექცია “FIFIS FANTASIA” იყიდება

ვაკეში ბრენდ “EVITA PERONI”-ის მაღაზიაში ბუმბულებითა და ყვავილებით გაწყობილი აქსესუარების კოლექცია “FIFIS FANTASIA” შემოვიდა.

მაღაზიის მენეჯმენტის ინფორმაციით, ზაფხულისათვის “EVITA PERONI”-მ შვიდი მრავალფერი და ორიგინალური ყვავილი შექმნა.

“ახალი კოლექცია საოცრად დახვეწილი და ჰაეროვანია. თვალწარმტაცი ყვავილები ბუმბულისა და უმაღლესი ხარისხის მასალისაგან არის დამზადებული”, - აცხადებენ ცნობილი ბრენდის კონსულტანტები.

ამჟამად მაღაზიაში ასევე წარმოდგენილია ისეთი ნატურალური ქვებით გაფორმებული ხელნაკეთ აქსესუარები, როგორებიცაა - ვარდისფერი და ლურჯი კვარცი, ყვითელი ნეფრიტი, კალციტი, ფირუზი, ჩეხური კრისტალები, ლავის ქვები, ყვითელი ნეფრიტი, აგატი, ავანტურინი, ონიკსი, მთის ბროლი, ავსტრიული კრისტალები, ყვითელი კალციტი, კატის თვალი, ვეფხვის თვალი, სერდოლიტის ქვები და მარგალიტები.

ორიგინალური ხელნაკეთი აქსესუარების გარდა, მაღაზიაში წარმოდგენილია საქორწილო კოლექცია, ახალი ბენდები და სათვალეები.

### ˝EVITA PERONI˝-ს მაღაზია ვაკეში, აბაშიძის ქუჩა N 24-ში მდებარეობს.

ბრენდი “EVITA PERONI” დანიურ კომპანია “DEICHMANN + COძ-ს ეკუთვნის, რომლის ქსელი მსოფლიოს 40 ქვეყანაში 150-ზე მეტ მაღაზიას ითვლის. საქართველოში და ამიერკავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) “EVITA PERONI” -ის ბრენდს ქართული კომპანია “Nexus House LLC” - წარმოადგენს, რომელიც “EVITA PERONI” - ის ოფიციალურ ფრანჩიზას ფლობს და მისი ექსკლუზიური წარმომადგენელია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ბათუმსა და ქუთაისში სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრის ბიბლიოთეკების პრეზენტაცია გაიმართა

ბათუმსა და ქუთაისში სახალხო დაცველის სამოქალაქო განათლების ცენტრის ბიბლიოთეკების პრეზენტაცია გაიმართა.

ახალი ბიბლიოთეკები გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის “სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების” ფარგლებში შეიქმნა.

აღნიშნული პროექტი საქართველოში რამდენიმე წელია მუშაობს და იგი მიზნად ისახავს სახალხო დამცველის დახმარებას ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო-საგამომცემლო საქმიანობის განხორციელებაში. აღნიშნული მიმართულების ერთ-ერთი კომპონენტი კი მოიცავს სახალხო დამცველის თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის სამოქალაქო განათლების ცენტრების ბიბლიოთეკების აღჭურვას იმ უახლესი პუბლიკაციებით, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დარგებს, კონფლიქტების თემატიკას და ა.შ.

პრეზენტაციაზე ადგილობრივ სტუდენტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიის წარმომადგენლებმა და ნებისმიერმა სხვა დაინტერესებულმა პირებმა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

ამასთან, სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით რეგიონებში სტუდენტური დისკუსიების ციკლს ატარებს, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის შესახებ ახალგაზრდობის ცოდნის გაზრდასა და სათანადო უნარების განვითარებას მათი სამოქალაქო ჩართულობის დონის ასამაღლებლად.

*პირველი*

# მადონა - ჰოლივუდის ყველაზე მდიდარი დედა



ანალიტიკურმა ჟურნალმა Forbes-მა მომღერალი მადონა შოუ-ბიზნესის ყველაზე მაღალანაზღაურებად დედად დაასახელა. გამომცემლობის ინფორმაციით, 2008 წელს მისმა შემოსავალმა 110 მილიონი დოლარი შეადგინა. მომუშავე მდიდარი დედების პირველ “სამეულში” შევიდნენ ასევე მსახიობი რიზ უიზერსპუნი და გვინეტ პელტროუ.

აღსანიშნავია, რომ გასულ ზაფხულს პოპ-დედოფალი მრავალშვილიან მარტოხელა დედად იქცა, რომელიც თავის მეორე მეუღლეს, ბრიტანელ კინორეჟისორს გაი რიჩს გაშორდა. ასე, რომ თავისი კაპიტალი თავისი უკანასკნელი ალბომის Hard Candy-სა და მის მხარდამჭერ მსოფლიო ტურნეს Sticky & Sweet-ის (“წებოვანი და ტკბილი”) წყალობით მოაგროვა. მუსიკალური ინფორმაციების სპეციალური სააგენტოს Pollstar-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინდივიდუალურ შემსრულებლებს შორის Sticky and Sweet-ი 2008 წლის ყველაზე მომგებიანი და კომერციულად წარმატებული შოუ გამოდგა. ამ შოუმ მადონას 281,6 მილიონი დოლარი მოუტანა. შოუ ძირითადად იმ სიმღერებისგან შედგებოდა, რომლებიც მომღერლის უკანასკნელ ალბომში Hard Candy-შია შესული. მომღერალს შეუძლია გულუხვად დახარჯოს ფული თავისი შვილების: ოცი წლის ლურდესის, ცხრა წლის როკოსა და სამი წლის დევიდ ბანდუს საკეთილდღეოდ, რომელიც მადონამ მალავიდან იშვილა. მარტში მომღერალმა შეიტანა დოკუმენტები ოთხი წლის აფრიკელი გოგონას ჩიფუნდო ჯეიმსის შვილად აყვანის შესახებ და ადგილობრივი მთავრობისგან თანხმობაც მიიღო, თუმცა საბოლოოდ მას უარი უთხრეს. ევროპაში მადონას მეორე საგასტროლო ეტაპი 2009 წლის ზაფხულში აქვს დაგეგმილი. მომღერლის ოფიციალურ საიტზე აღნიშნულია, რომ მადონას “დაგეგმილი აქვს გაატაროს დაუვიწყარი და შთამბეჭდავი ზაფხული ევროპაში, მოინახულოს ის ქალაქები, რომლის ნახვის საშუალებაც, მას 2008 წელს არ მიეცა”.

ჟურნალ Forbes-ის მიერ გამოქვეყნებულ სიაში მეორე ადგილი მსახიობმა რიზ უიზერსპუნმა დაიკავა. ელეგანტური ქერათმიანი ქალბატონი, რომელიც ცნობილი გახდა ფილმებში: “გადააბიჯე ეშმაკს”, “მოდური საქმიანობა”, “ცასა და დედამიწას შორის” შესრულებული სამუშაოებით, გასულ წელს 24 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მიუხედავად ქმართან გაშორებისა, ორი შვილის: გოგონა ავუს და ბიჭი დიკონას გაზრდა წარმატებულად გამოსდის.

პრემია “ოსკარის” მფლობელი და ორი შვილის დედა გვინეტ პელტროუ კოლეგებს 4 მილიონი დოლარით ჩამორჩება. ბლოკბასტერ “რკინის კაცი”-ის გადაღებებში, ასევე Estee lauder-სა და Tod’s-ის სარეკლამო კომპანიებში მონაწილეობა მსახიობს 20 მილიონი დოლარის გამომუშავებაში დაეხმარა.

“ყველაზე მდიდარი დედების” ხუთეული ჯულია რობერთსმა და სარა ჯესიკა პარკერმა დაასრულეს.

# გამონათება - გასული წლის საუკეთესო რომანი



სახელგანთქმულმა ამერიკელმა მწერალმა - ურსულა ლე გუინმა მეექვსედ მიიღო პრემია Nebula. მწერალთა სამეცნიერო ფანტასტიკის ამერიკულმა ასოციაციამ (SFWA) ლე გუინის წიგნი გამონათება (ორიგინალში - Powers), რომელიც ბავშვებისვის დაიწერა, 2008 წლის საუკეთესო რომანად დაასახელა.

წიგნი გამონათება შედის სერიაში დასავლეთ სანაპიროთა ლეგენდები , რომელიც აერთიანებს გამჭოლ პერსონაჟებსა და მოქმედების ადგილს. 2004 წელს გამოიცა რომანი დაწყევლილი ნიჭი (Gifts), რომელიც ამერიკულ პენცენტრმა საუკეთესო საბავშვო წიგნად დაასახელა, ხოლო ორი წლის შემდეგ ლე გუინმა გამოსცა წიგნი, სახელწოდებით - ხმები (Voicres).

კე გუინი 1929 წელს, კალიფორნიაში დაიბადა. პირველი მხატვრული ნაწარმოებების წერა მან 1960-იან წლებში დაიწყო. Nebula-ს პრემიის გარდა, ის არის ხუთგზის ლაურეატი სხვა მთავარი პრემიის სამეცნიერო ფანტასტიკის დარგში, ეს არის Hugo.

2009 წელს Nebula-ს დაჯილდოების ცერემონიაზე ლე გუინმა, სხვებთან ერთად, უკან ჩამოიტოვა ტერი პრატჩეტი, რომელიც ნომინირებული იყო რომანით Making Money. მულტფილმის WALL -ის შემქმნელებმა მიიღეს ჯილდო საუკეთესო სცენარისთვის, ხოლო სახელგანთქმულ ფანტასტს, - ჰარი ჰარისონს გადაეცა პრემია ამ ჟანრის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

# ამერიკულმა პენცენტრმა ჩინელი მწერალი დააჯილდოვა



ლიუ ხიაბო (Liu Xiabo) არის მწერალი, კრიტიკოსი და დისიდენტი. მას ამერიკული პენცენტრი 2009 წლის 28 აპრილს დააჯილდოებს. აღსანიშნავია, რომ დღის გმირი 2008 წლიდან პეკინის ციხეშია გამოკეტილი. ის სასჯელს იხდის იმის გამო, რომ ემხრობა ქარტია 08 , რომელიც სიტყვის თავისუფლებისკენ მოგვიწოდებს. ამის შესახებ The Times იტყობინება.

ლიუ პირველად 1989 წელს, ტანანემენის მოედანზე განვითარებული მოვლენებისას დააპატიმრეს. ამის შემდეგ ის ციხეში არაერთხელ მოხვედრილა, ძირითადად ადამიანთა უფლებების დასაცავად გამართულ აქციებში მონაწილეობისთვის. ლიუს მეგობრებს მიაჩნიათ, რომ მას ციხიდან დიდხანს არ გამოუშვებენ. შესაძლოა, ჩინეთის ხელისუფლებამ ის 2009 წლის ოქტომბრამდე არ გამოუშვას.

ქარტია 08 303 ჩინელი ინტელექტუალის მიერ დაიწერა. ქარტია მოიცავს 19 მოთხოვნას, რომლებიც პოლიტიკური კლიმატის უკეთესობისკენ შეცვლას ითვალისწინებს, ასევე, მიმოიხილავს დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას, ეხება რწმენის თავისუფლებას, საკონსტიტუციო და საგადასახადო რეფორმებს.

# სპორტი

## გოგუამ პირობა შეასრულა

*რუსულ პრემიერლიგაში ქართველი ფეხბურთელები მრავლად არიან და თავის საქმეს კარგად აკეთებენ. ქართველთა წარმატებული თამაში არც რუსულ მედიას გამორჩა.*

გამოცემა სოვსპორტმა მარტისა და აპრილის გამორჩეული მოთამაშეები დაასახელა - 55 საუკეთესო ფეხბურთელი 11 პოზიციის მიხედვით. ამავე გამოცემამ ახლო და შორეული საზღვარგარეთის ლეგიონერებიც გამოარჩია. ათეულში ოთხი ქართველია, თანაც ერთმანეთის მიყოლებით. მეხუთე პოზიციაზეა ყაზანის რუბინის ნახევარმცველი დავით კვირკველია 5,63 ქულით. შემდეგ მოდიან: გოგიტა გოგუა - 5,50 ქულა, (ნალჩიკის სპარტაკი ), ალექსანდრე ამისულაშვილი - 5,42 ქულა (ნალჩიკის სპარტაკი ) და დავით მუჯირი - 5,33 ქულა (მოსკოვის ლოკომოტივი ).

ინტერნეტგამოცემა



Championat.ru პრემიერლიგის ყოველი ტურის შემდეგ ასახელებს სიმბოლურ ნაკრებს. ამჯერად ამ ნაკრებში მარცხენა მცველის პოზიციაზე მოხვდა ნალჩიკის სპარტაკის ქართველი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა. რუსმა ჟურნალისტებმა საკუთარი არჩევანი ასეთი კომენტარით გაამაგრეს:

ამკარის კარში გატანილი ორი გოლი მის მიერ იყო ორგანიზებული, ერთი ბურთიც თავად გაიტანა. ჩინებულად უძღვებოდა გუნდის თამაშს, ხშირად მიმართავდა დრიბლინგებს და სახიფათოდ აწვდიდა ფლანგიდან .

თავად გოგუამ გაზეთ სპორტ ექსპრესისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ეს გოლი ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს მიუძღვნა. საქმე ის არის, რომ ნალჩიკში იმართება ფიდეს გრან-პრის მეოთხე ეტაპი, რომელზეც ქალბატონი ნონა საორგანიზაციო კომიტეტის კონსულტანტია. ნალჩიკში ჩასვლისთანვე სახელოვან ქართველ მოჭადრაკეს სპარტაკის ქართველმა ფეხბურთელებმა დახვედრა მოუწყვეს, გოგუა კი გაფრინდაშვილს შეჰპირებია, ამკართან მატჩში თქვენს პატივსაცემად გოლს გავიტანო და ეს დანაპირები პირნათლად შეასრულა.

## მძიმე ბრალდება თუ ცილისწამება

### "ვიტ ჯორჯია" გამოძიებას მოითხოვს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ბოლო ხანს საეჭვოდ მიჩნეული ოლიმპი - ვიტ ჯორჯიას , გაგრა - ლოკომოტივისა და სპარტაკი - სიონის მატჩების შესახებ იმსჯელა და შუალედური გადაწყვეტილება გამოიტანა.

ამ სამი მატჩის მიმდინარეობა და შედეგი მთელმა საფეხბურთო სამყარომ გააპროტესტა, რამაც ფეხბურთის ფედერაციას რეალური ქმედებისკენ უბიძგა.

ფედერაციის ხელმძღვანელებმა ვითარების გამოსაძიებლად სამართალდამცავებს მიბაძეს, მანამდე კი ხსენებული ექვსი კლუბი იმით დაისაჯა, რომ საქართველოს მეოცე ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშების საპრიზო ფონდიდან კუთვნილ წილს ველარ მიიღებს.

აღმასკომის გადაწყვეტილების შესახებ სხდომის მონაწილეებმა ასეთი კომენტარი გააკეთეს.

დიმიტრი რამიშვილი (საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი, ფეხბურთის ფედერაციის მესამე ვიცე-პრეზიდენტი): ჩვენთვის მხოლოდ ზეპირი განცხადებებისა და ეჭვების საფუძველზე კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანა რთული გახლდათ. ამიტომ სათანადო კონსულტაციები უეფაშიც გავიარეთ და საჭიროდ ჩავთვალეთ, დახმარებისთვის სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურისთვის მიგვემართა. მსგავსი ეჭვები გასულ სეზონშიც იყო და მაშინაც ასეც მოვიქეცით. სანამ გამოძიება არ დასრულდება, ეს ექვსი კლუბი ჩვენს მიერ ორგანიზებული ტურნირების საპრიზო ფონდიდან თანხას ვერ მიიღებს .

გოგი ქავთარაძე (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი): ამ სამი მატჩის შესახებ მასმედია, გულშემატკივრები და ფეხბურთის სპეციალისტები ღიად საუბრობდნენ, ამიტომ თვალის დახუჭვის უფლება არ გვქონდა. სხვა საქმეა, რომ მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე რომელიმე კლუბის მკაცრად დასჯა შეუძლებელია. იმედი მაქვს, პროკურატურა დახმარებას გაგვიწევს და რეალურ ინფორმაციას მოგვაწვდის. თუ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა არ დადასტურდა, თანხას არავის დავუკავებთ , - ეს განცხადებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებმა ინტერნეტპორტალ "მსოფლიო სპორტთან" ინტერვიუში გააკეთეს.

აღმასკომის სხდომაზე ერთი გადაწყვეტილების შესახებაც გახდა ცნობილი. უეფას დაჟინებული მოთხოვნით, ერთ ტურნირში ერთი და იგივე მფლობელის საკუთრებაში მყოფი გუნდების ასპარეზობა აიკრძალა. როგორც ირკვევა, ეს სახელმწიფოს დაფინანსებით მოთამაშე გუნდებსაც ეხებათ, რაც საქართველოს ჩემპიონატში არსებულ ვითარებაზე საგრძნობ გავლენას მოახდენს.

თუ დამტკიცდა, რომ "ოლიმპმა", "ვიტ ჯორჯიამ", "ლოკომოტივმა", "გაგრამ", "სიონმა" და "სპარტაკმა" ეგრეთ წოდებულ "ჩაწყობილ თამაშებში" მიიღეს მონაწილეობა, მათი დასჯა საპრიზო თანხის არმიცემით ცოტა სასაცილო გამოჩნდება. ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაული იქნება, რაც, სპორტული თვალსაზრისით, პირველ რიგში, ამ გუნდების ლიგაში დაქვეითებით უნდა გამოიხატოს. თუმცა, მეორე მხრივ, ასე რომ მოხდეს, ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა აზრს დაკარგავს და ჩემპიონატის ნაცვლად მინიფეხბურთის ტურნირს ან ფეხბურთის მინიტურნირს მივიღებთ. ამას გარდა, ასეთ სერიოზულ ბრალდებას დამტკიცება სჭირდება, ისეთი მტკიცებულება, რომ ეჭვის საფუძველიც არ დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვრისკავთ, რომ ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქართული საკლუბო ფეხბურთი დაკარგავს ენთუზიასტ მეცენატებს, რომლებიც ყოველწლიურად, უკუგების გარეშე, ასეულათასობით ლარს ხარჯავენ. "ვიტ ჯორჯია", "ოლიმპი", "გაგრა" და "ლოკომოტივი" სწორედ ის გუნდებია, რომელთა მეპატრონეები მხოლოდ ქართული ფეხბურთის სიყვარულის გამო არ ერიდებიან მილიონიან ხარჯებს.

"24 საათი" დაუკავშირდა "ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთ ხელმძღვანელს მალხაზ კაკაურიძეს, რომელმაც თავისი გულისტკივილი ვერ დამალა.

"ჭორები იმის თაობაზე, რომ "ოლიმპი" - "ვიტ ჯორჯიას" მატჩები "ჩაწყობილი" იქნებოდა, საქართველოს თასის ნახევარფინალური ეტაპის კენჭისყრის შემდეგვე აგორდა, როცა ამ თამაშებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი. მას შემდეგ, რაც ეს თამაშები ჩატარდა, უკვე ფაქტად მიიღეს, თითქოს მოლაპარაკება მართლაც გაიმართა. ეს ჩვენს წინააღმდეგ დაგეგმილ მიზანმიმართულ კამპანიას ჰგავს და სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. როგორც კი გაისმა ხმები ამ "გარიგების" თაობაზე, "ვიტ ჯორჯია" პირველი გუნდი იყო, რომელმაც პროფესიული ფეხბურთის ლიგაში კომპეტენტური კომისიის შექმნა და საკითხის გამოძიება მოითხოვა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ფეხბურთის პროფესიული ლიგა უნდა იყოს ის ორგანო, რომელიც, თუ დასასჯელია, დასჯის, თუ არა და ქართული კლუბების ინტერესებს დაიცავს. სამწუხაროდ, ასეთი კომისიის შექმნაზე არავინ იზრუნა, რის გამოც ძალიან გულნატკენი ვართ. არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ საქმე პროკურატურამ გამოიძიოს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროკურატურა იძულებული გახდება, სწორედ საფეხბურთო სპეციალისტები ჩართოს საქმეში.

რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს თამაშებს, მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი გუნდისთვის, რომელიც მაღალ მიზნებს ისახავს, "დუბლის" შესრულება - ჩემპიონატისა და თასის მოგება მნიშვნელოვანი მიზანია და ამ მხრივ არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. მეორე მხრივ, ყველა გუნდმა კარგად იცის თავისი შესაძლებლობების ზღვარი და რესურსებს მიზნების შესაბამისად ანაწილებს. დღეს ჩვენთვის პირველხარისხოვანი და უმნიშვნელოვანესი მიზანი ჩემპიონობაა. ასე რომ, "ოლიმპთან" სათასო დაპირისპირებაში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების ნაწილი დავასვენეთ და იმ ბრძოლისთვის შემოვინახეთ, რომელიც ჩემპიონატში რამდენიმე დღეში "ზესტაფონთან" გველოდა. ზუსტად ასე მოიქცა ამ ცოტა ხნის წინ "მანჩესტერ იუნაიტედიც", რომელმაც ინგლისის თასის ნახევარფინალში "ტოტენჰემის" წინააღმდეგ მესამე შემადგენლობა გამოიყვანა. ამის გამო "მანჩესტერის" "ჩაწყობილ" თამაშში დადანაშაულება არავის გაუბედავს. მიკვირს, რომ ანალოგიურ ვითარებაში თავის მართლება მიწევს. "ვიტ ჯორჯია" 12 წელია არსებობს და ერთხელაც არ მომხდარა, რომ ჩვენ რაიმე მსგავს სიტუაციაში ვყოფილიყავით გარეული. გამოძიებასთან მაქსიმალურად ვითანამშრომლებთ, თუმცა, მეორე მხრივ, როცა დამტკიცდება ჩვენი უდანაშაულობა, და ეს აუცილებლად დამტკიცდება, ცილისმწამებლებს პასუხს მოვთხოვთ", - განაცხადა მალხაზ კაკაურიძემ.

უახლოეს დღეებში "24 საათი" შემოგთავაზებთ იმ კლუბების წარმომადგენელთა პოზიციასაც, რომლებიც ამ სკანდალში აღმოჩნდნენ გახვეულები.

### "ბორჯღალოსნები" პოზიციებს ინარჩუნებენ

გასული კვირა სარაგბო ბატალიებით დატვირთული არ ყოფილა, ასე რომ, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ახალ რეიტინგში მოწინავე ნაკრებებს ცვლილებები არ შეხებიათ. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 70.39 ქულით მე-13 ადგილი შეინარჩუნა და კვლავაც იტალიისა და ტონგას ეროვნულ გუნდთა შორის იმყოფება. უცვლელია მდგომარეობა ლიდერთა შორისაც. ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის გუნდები რეიტინგს დამაჯერებლად ლიდერობენ.

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3.ავსტრალია | 85.86 |
| 4.ირლანდია | 83.27 |
| 5.არგენტინა | 81.56 |
| 6.ინგლისი | 80.96 |
| 7.უელსი | 80.59 |
| 8.საფრანგეთი | 79.94 |
| 9.ფიჯი | 75.24 |
| 10.შოტლანდია | 75.23 |
| 11.სამოა | 72.57 |
| 12.იტალია | 71.23 |
| **13.საქართველო** | **70.39** |
| 14.ტონგა | 70.05 |
| 15.კანადა | 69.12 |
| 16.იაპონია | 68.05 |
| 17.რუსეთი | 66.18 |
| 18.რუმინეთი | 64.26 |
| 19.აშშ | 63.55 |
| 20.ურუგვაი | 62.78 |
| 21.პორტუგალია | 62.16 |
| 22.ს.კორეა | 59.02 |
| 23.ესპანეთი | 59.01 |
| 24.ჩილე | 57.62 |
| 25.ნამიბია | 56.82 |
| 26.გერმანია | 55.74 |

### "მუმუს" მწვრთნელს უცვლიან

ერთ დროს რუსული ფეხბურთის ლიდერად მიჩნეულ მოსკოვის ლოკომოტივს ამჟამად არ ულხინს. რკინიგზელთა მესვეურები ვითარების გამოსწორებას მწვრთნელის შეცვლით გეგმავენ.

რუსული "სპორტ-ექსპრესის" ცნობით, უკვე გადაწყვეტილია, რომ მოსკოვის "ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელს რაშიდ რახიმოვს გაათავისუფლებენ. თავად კლუბის ხელმძღვანელობა და "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაოცებულნი არიან და ამბობენ, რომ გუნდში მსგავსი არაფერი იგეგმება. "რისი გადადგომა, რა გადადგომა, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია? - გაკვირვებას ვერ მალავს რახიმოვი, - როცა რაიმე კონკრეტული იქნება, მაშინ ყველაფერს გაიგებთ, დღეს კი "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ვარ." რაც შეეხება მოსკოვურ რკინიგზელთა სავარაუდო ხელმძღვანელს, ჯერჯერობით გუნდს გაწვრთნის რახიმოვის ერთ-ერთი ასისტენტი - მამინოვი ან ბილიალეტდინოვი. ლოკომოტივში მიმდინარე ვითარება ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ამ გუნდში დავით მუჯირი თამაშობს. ამავე კლუბს ეკუთვნის მალხაზ ასათიანის სატრანსფერო უფლებები. რუსული მედიის თქმით, შესაძლებელია ლოკომოტივში იური სიომინი დაბრუნდეს. სწორედ მას ეკუთვნის რკინიგზელთა ყველაზე ხმაურიანი გამარჯვებები, თუმცა სიომინი ამჟამად კიევის დინამოში მუშაობს და ცნობილია, რომ უკრაინული გრანდის მესვეურები მის მიერ გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი არიან.

### ანჩელოტი "მილანში" კიდევ ერთ სეზონს იმუშავებს

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ მილანიდან ანჩელოტის შესაძლო წასვლის შესახებ, თავად კარლიტო აცხადებს, რომ კიდევ ერთ სეზონს იმუშავებს როსონერიში . მილანთან მოქმედი კონტრაქტი მაქვს და მერე რა მოხდება, არავინ იცის. გუშინ ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, თითქოს ლონდონის ჩელსისთან კონტრაქტი უკვე გავაფორმე. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის არავის მოუმართავს. სხვა კლუბების წარმომადგენლებს არ შევხვედრივარ და ყველაფერი გაზეთების მონაჭორია. ჩელსის მხოლოდ მომავალ წელს დაველაპარაკები. ლონდონელებმა იციან, რომ მილანთან ჩემი კონტრაქტი არ ამოწურულა, - განაცხადა ანჩელოტიმ.

## რუსეთის ნაკრები ნერუშის გარეშე ემზადება

ევროპის "ერთა თასის" მიმდინარე გათამაშების ბოლო მატჩი გაიმართება 2 მაისს ჰანოვერში, სადაც რუსეთისა და გერმანიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ შეხვედრისთვის რუსეთის ნაკრები მთავარი მწვრთნელის ნიკოლაი ნერუშის გარეშე ემზადება. გუნდს მატჩისთვის ამზადებს ინგლისელი კონსულტანტი სტივ დაიმონდი. რუსეთის რაგბის კავშირის ცნობით, ნერუში გუნდს ჰანოვერში შეუერთდება. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის რაგბის კავშირი ცვლილებას ამზადებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, რადგან მიმდინარე სეზონში მათმა ეროვნულმა გუნდმა მხოლოდ ერთი მარცხი განიცადა, ისიც საქართველოს ნაკრებთან, რაც მეტად მტკივნეულია მათთვის, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ 16 წლის განმავლობაში "ბორჯღალოსნები" მუდამ უგებენ რუსებს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ნერუშის წარმატებული თამაშები საქართველოს ნაკრებთან მარცხმა გადაწონოს. თუმცა, ყველაფერს ნათელს მოჰფენს 2 მაისი, როცა გაირკვევა, შეუერთდება თუ არა ნერუში რუსეთის ნაკრებს.

## გიგზი საუკეთესოდ დაასახელს

მანჩესტერ იუნიატედის ვეტერანი ვალიელი შემტევი რაიან გიგზი ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. გიგზი უკვე 19 წელია იცავს მანკუნიანელთა ღირსებას და ამ ხნის განმავლობაში ასეთი პატივი წილად არ ხვდომია. თუმცა, 1992 და 1993 წლებში ამ ასოციაციამ ის წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ მიიჩნია. "ძალიან სასიამოვნოა, რომ საუკეთესოდ მაღიარა იმ ხალხმა, ვისთან შეხვედრაც მოედანზე მიწევს. კარიერის განმავლობაში ბევრი ტიტული მოვიგე, მაგრამ ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, - აღნიშნა გიგზმა.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ ბირმინგემის ასტონ ვილას ნახევარმცველი ეშლი იანგი დაასახელა. გამოკითხვის შედეგად შედგა პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრებიც, რომელიც ასე გამოიყურება: ედვინ ვან დერ სარი ( მანჩესტერ იუნაიტედი ), გლენ ჯონსონი ( პორტსმუთი ), რიო ფერდინანდი ( მანჩესტერ იუნაიტედი ), ნემანია ვიდიჩი ( მანჩესტერ იუნაიტედი ), პატრის ევრა ( მანჩესტერ იუნაიტედი ), ეშლი იანგი ( ასტონ ვილა ), სტივენ ჯერარდი ("ლივერპული ), რაიან გიგზი ( მანჩესტერ იუნაიტედი ), კრიშტიანუ რონალდუ ( მანჩესტერ იუნაიტედი ), ნიკოლას ანელკა ( ჩელსი ), ფერნანდო ტორესი ( ლივერპული ).

## სპალეტის თანამდებობიდან მოხსნიან

იტალიური მედიის ინფორმაციით, კვირის ბოლოს შესაძლოა თანამდებობა დაატოვებინონ რომას მთავარ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის. გასულ შაბათს რომაელები იტალიის სერია A-ს 33-ე ტურში ფლორენციაში "ფიორენტინასთან" 1:4 დამარცხდნენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სათუო გაიხადეს. თუ კლუბი ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში ვერ მოხვდება, ისედაც ფინანსურ კრიზისში მყოფ დედაქალაქელთა ბიუჯეტისათვის ეს დიდი დარტყმა იქნება.

## ოდო მანჩინის მომხრეა

მიუნხენის "ბაიერნის" მცველმა მასიმო ოდომ კომენტარი გააკეთა გუნდის მთავარი მწვრთნელის იურგენ კლინსმანის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მან გარკვეული რეკომენდაცია მისცა კლუბის ხელმძღვანელობას, ეს პოსტი მანჩინის ჩააბარონ. "ბედნიერება მქონდა მანჩინისთან ერთად "ლაციოში" მემუშავა, - ამბობს ოდო, - მაღალ შეფასებას ვაძლევ მას, როგორც მწვრთნელს. ზუსტად ვიცი, რომ ახლა ყველაზე მეტად "ბაიერნს" მისი მოწვევა გამოადგება. ვფიქრობ, მანჩინის ხელში გუნდს შეუძლია ბევრი ტიტული მოიპოვოს როგორც გერმანულ, ისე ევროპულ არენაზე. კლინსმანი შესანიშნავი პიროვნება და სპეციალისტია, თუმცა, მას მოუხდა პასუხისგება ჩვენი წარუმატებელი თამაშების სერიის გამო. მთელი გუნდი მისი მხარდამჭერი იყო, მაგრამ ასეთი სერიის შემდეგ ხელმძღვანელობას რაღაც უნდა მოემოქმედა. ჰაინკესს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი წარმატებების შესახებ გამიგონია", - ამბობს ოდო.

# ზაზა ფაჩულიამ ატლანტას სეზონის მთავარი მატჩი მოაგებინა

არც ისე ხშირად ხდება, როცა NBA-ს რეგულარული სეზონისა თუ პლეი-ოფების გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტები თავიანთ მასალებს ქართველებზე საუბრით იწყებენ. ხშირი კი არა, ასეთი რამ თითქმის არ მომხდარა. მხოლოდ ერთხელ გასულ სეზონში, როდესაც ზაზა ფაჩულია ბოსტონის ლიდერ კევინ გარნეტს ეჩხუბა, ქართველი ნიუსების გმირი გახდა. და აი, გადის ერთი წელი და ზაზა კვლავ ყურადღების ცენტრშია, ოღონდ ამჯერად ამის მიზეზი ჩხუბი როდია. ფაჩულიამ ატლანტა ჰოუქსს მაიამისთან დაპირისპირების მეოთხე მატჩი მოაგებინა და ანგარიში გაათანაბრა.


უტევს ზაზა ფაჩულია

ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ზაზას კარიერაში, ატლანტასთვის კი - უმნიშვნელოვანესი გამარჯვება. მთელი სეზონის განმავლობაში ქორები კარგ თამაშს აჩვენებდნენ და არაერთი ლამაზი გამარჯვებაც მოიპოვეს, მაგრამ, ზაზა რომ არა, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა. გუშინ, გამთენიისას, მაიამის მეოთხედფინალური დაპირისპირების მორიგი მატჩი რომ მოიგო, სერიაში 3:1 დაწინაურდებოდა და ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იქნებოდა. ზაზა ფაჩულიას წყალობით კი ჯორჯიელებმა გასვლითი მატჩი მოიგეს, სერიაში ანგარიში გაათანაბრეს და საკუთარი მოედნის უპირატესობაც დაიბრუნეს.

ზაზას მარჯვენა თვალი ჩაშავებული ჰქონდა, სახესა თუ ტანზე კი - ნაკაწრები და სისხლნაჟღენთები, - ასე იწყებს ამ მატჩის რეპორტაჟს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ვებგვერდი yahoo.com, რომელმაც ფაჩულია მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა - სანამ ფაჩულია მოედანზე შევიდოდა, იქ სიწყნარე იყო, მერე კი ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა .

ვიღაცას დაავიწყდა ეთქვა ზაზა ფაჩულიასთვის, რომ ატლანტასთვის თამაში დამთავრდა, მათ შორის, ჯოშ სმითს, მო ევანსს და მაიკ ბიბის , - ასე იწყება ამ თამაშისადმი მიძღვნილი სტატია Atlanta Journal-Constitution-ში.

ვინმეს უნდა გამოვეფხიზლებინეთ. გვჭირდებოდა ადამიანი, რომელიც ლიდერობას იკისრებდა და სწორედ ეს გააკეთა ზაზამ, - თქვა თამაშის შემდეგ ჯო ჯონსონმა.

არ ვიცი, თვალი როდის დამიშავდა, ცოტა მტკივა, მაგრამ არაფერია, ასეთი რამ ხდება. მთავარია ყველაფერი კარგად დამთავრდა. ახლა მგონი როკი ბალბოას ვგავარ , - უთხრა ჟურნალისტებს მატჩის გმირმა ზაზა ფაჩულიამ.

მთელი თამაშის განმავლობაში ზაზა დიდებული იყო. მისი 18 მოხსნა და 12 ქულა ჩვენ ძალიან დაგვეხმარა, რათა სერიაში თავი გადაგვერჩინა, - თქვა ჯორჯიელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა.

ფაჩულიას ეს მატჩი ხუთეულში არ დაუწყია, მაგრამ მოედანზე გავიდა თუ არა, ისეთი ბრძოლა გააჩაღა, რომ ატლანტელთა თავკაცმა მაიკ ვუდსონმა ის მოედანზე დიდი ხნით დატოვა. მთლიანობაში ზაზამ 34 წუთი ითამაშა. ქორების ძირითად ცენტრს ალ ჰორფორდს ტრავმა არ მიუღია, მაგრამ მისი ადგილი მოედანზე აღარ მოინახა, რადგან ქართველი ცენტრი საოცარ მადაზე იყო და, რომ იტყვიან, ყველა აცილებულ ბურთს ხსნიდა.

თუმცა, მხოლოდ მოხსნა არ ყოფილა ზაზას საბრძოლო იარაღი - მან 8 ცდიდან 5 ბურთი ჩააგდო თამაშიდან, რასაც 4-დან 2 საჯარიმოც მიაყოლა და 12 ქულა დააგროვა. ასე რომ, ზაზამ მიმდინარე საპლეიოფო სერიაში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა - პირველი სერიის გახსნის მატჩში მოაგროვა, როცა 10 ქულას და 10 მოხსნას მოუყარა თავი.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. 1997 წლის 8 მაისის შემდეგ ატლანტას პლეი-ოფებში სტუმრად არ მოუგია. იმ დღეს მაიკლ ჯორდანის ჩიკაგო ბულზი დაამარცხა. და აი, თითქმის 12-წლიანი პაუზის შემდეგ ქორებმა პლეი-ოფში სტუმრად გაიმარჯვეს და ეს ქართველი ცენტრის ზაზა ფაჩულიას დამსახურებაა.

# კლინსმანი ჰაინკესმა შეცვალა

მოსახდენი მოხდა. მიუნხენის ბაიერნის მესვეურებმა თანამდებობიდან დაითხოვეს იურგენ კლინსმანი და ბაიერნს ამ სეზონს იუპ ჰაინკესი ჩაამთავრებინებს. 63 წლის გამოცდილმა სპეციალისტმა მხოლოდ სეზონის ბოლომდე ისურვა მიუნხენურ გრანდთან მუშაობა, მომავალ სეზონში კი რეკორდმაისტერებს ახალი მწვრთნელი უხელმძღვანელებს.


კლინსმანმა სამუშაო დაკარგა

კლინსმანის დათხოვნა მოულოდნელი არ ყოფილა. მართალია, თავის დროზე ის ბაიერნში დიდი ზარ-ზეიმით დაინიშნა და კლუბის ხელმძღვანელები სწორედ მის სახელს უკავშირებდნენ დიდ იმედებს, მაგრამ იურგენმა ვერ გაამართლა.

წესით, ეს ლოგიკურიცაა. იურგენ კლინსმანს კლუბთან სამწვრთნელო მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია. ის გერმანიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა და გუნდთან ერთად გერმანულ მუნდიალზე წარმატებით ითამაშა, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ ფეხბურთის გერმანელი სპეციალისტები ამბობდნენ, რომ კლინსმანი შოუმენია და ნაკრებს მხოლოდ იმიჯისთვის სჭირდება, საქმეს კი იოაკიმ ლიოვი აკეთებდა. კლინსმანის შემდეგ სწორედ ლიოვი ჩაუდგა სათავეში ბუნდესნაკრებს და დაკისრებულ მოვალეობას ბრწყინვალედართმევს თავს.

რაც შეეხება კლინსმანს, მან იმდენი მოახერხა, რომ ბაიერნს ამ სეზონში ალბათ უტიტულოდ დატოვებს. არადა, თუ გერმანიის მასშტაბებით ვიმსჯელებთ, ბაიერნს თავის კონკურენტებთან შედარებით გაცილებით უკეთესი შემადგენლობა ჰყავს. შესაძლოა ამ გუნდით ევროპულ გრანდებთან ჭიდილი ჩემპიონთა ლიგაზე ძნელია, მაგრამ გერმანიის ჩემპიონატის მოგება ბაიერნის ფეხბურთელებით უპრობლემო უნდა ყოფილიყო.

ბაიერნი ჩემპიონთა ლიგაზე სამარცხვინოდ დამარცხდა. ამას მოჰყვა საკუთარ მინდორზე შალკესთან წაგებული მატჩი, რამაც მიუნხენურ კლუბს ფაქტობრივად წაართვა ჩემპიონობის შანსი. ამ ვითარებაში კლუბის მესვეურებმა ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს - კლინსმანს თანამდებობა დაატოვებინეს.

ამ გადაწყვეტილების მიღება ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო, - განაცხადა კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ, - მაგრამ ბოლო კვირებში ნაჩვენებმა თამაშმა და შედეგებმა, ასევე იმ სიტუაციამ, რომელშიც გუნდი სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე აღმოჩნდა, გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით.

რუმენიგეს თქმით, დარჩენილ მატჩებში გუნდს გაწვრთნის იუპ ჰაინკესი, რომელიც რეკორდმაისტერს 1987-91 წლებშიც ედგა სათავეში და მასთან ერთად ორჯერ (1989 და 1990 წლებში) გერმანიის პირველობა მოიგო. მის აქტივში 1998 წელს მადრიდის რეალთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაც ირიცხება.

ჰაინკესს ასისტენტობას გაუწევს ბაიერნის მეორე გუნდის მწვრთნელი ჰერმან გერლანდი. ისინი სამშაბათიდან შეუდგებიან საქმეს.

ცნობილია, რომ ეს ტანდემი კლუბში სეზონის ბოლომდე დარჩება, ზაფხულიდან კი ბაიერნი ახალ მწვრთნელს შეარჩევს.

რასაკვირველია, ძლიერ იმედგაცრუებული ვარ, - აღნიშნა კლინსმანმა ბაიერნის ვებგვერდზე, - ამის მიუხედავად, მინდა მთელ კლუბს, მის ქომაგებს, მწვრთნელებსა და თანამშრომლებს აქ გატარებული, მოვლენებით დატვირთული დროისთვის მადლობა გადავუხადო. ჩვენ მტკიცე საძირკველი ჩავყარეთ. მე ისევ მჯერა, რომ გუნდს შეუძლია ამ სეზონში ჩემპიონი გახდეს.

# ბრაუნ GP -ის კოსმოსურ ვირჯინს ელის

## ალონსოს ფერარიში გადასვლა ისევ აქტუალური გახდა

*ფორმულა 1-ში ნებისმიერი გუნდის წარმატება მიმზიდველია რეკლამის დამკვეთთა თუ სპონსორთათვის. მიმდინარე ჩემპიონატში წარმატებებმა ასეთ მიმზიდველ საჯინიბოდ გარდაქმნა ბრაუნ GP , რომელმაც საწყისი ოთხი რბოლიდან სამში პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.*



"ბრაუნ GP"-ის კოსმოსურ "ვირჯინს" ელის

წესია ასეთი: წარმატებულ საქმეში მეტ ფულს დებენ. ამიტომაცაა, რომ ბრიტანული საჯინიბო დიდი პრიზიდან დიდ პრიზამდე სპონსორთათვის ფსონებს ზრდის. ასე რომ, მოშილიფებული ბოლიდი მალე რეკლამებით შეიმოსება. შესაძლოა მასზე რომელიმე ფირმისა თუ კომპანიის დასატანი ლოგოს ადგილიც არ დარჩეს.

მანამდე კი გუნდი გენერალური სპონსორის გარეშეა. ამბობენ, ასეთად შესაძლოა ვირჯინი მოგვევლინოსო - კომპანია, რომელიც კოსმოსში ტურისტთა გაფრენითაა გატაცებული.

ვირჯინის მფლობელის რიჩარდ ბრენსონის სეზონის დასაწყისში ბრაუნ GP -ში ტრიუმფალური მსვლელობა სწორედ იმის დასტურია, რომ ბრიტანელ მილიარდერს გუნდის სატიტულო სპონსორად ყოფნა განუზრახავს.

გავრცელებული ხმების თანახმად, ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოეწერათ ბაჰრეინის დიდი პრიზის მსვლელობისას, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ეს არ მოხდა.

ბარსელონაში განვიხილავთ ყველაფერს (მომდევნო ეტაპს სწორედ კატალონიის დედაქალაქი მასპინძლობს) და მხოლოდ ამის შემდეგ მოვაწერთ ხელს ხელშეკრულებას. ბაჰრეინში გამარჯვებამ გუნდი უფრო პოპულარული გახადა , - აცხადებს ბრენსონი.

ის, რომ მხარეები ბაჰრეინშივე არ შეთანხმდნენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საჯინიბოს ბოსმა როს ბრაუნმა გენერალური სპონსორობისთვის თანხა გაზარდა, რაც იმხანად ვირჯინის ბოსისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

როგორც არ უნდა იყოს და ვინც არ უნდა იყოს ბრაუნ GP -ის სატიტულო სპონსორი, უკვე გადაწყვეტილია: ბრიტანული საჯინიბოს ბრაზილიელ მრბოლს ვირჯინისთვის 200 ათასი დოლარი გადაუხდია კოსმოსში ქვეორბიტული მოგზაურობისთვის.

სამეფო რბოლათა სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, ავსტრიელ ნიკი ლაუდას, რომლისთვისაც უცხო არ არის ავიაბიზნესი, უთქვამს, მზად ვარ ასტრონავტებისთვის საჭირო კურსები გავიაროო.

როდესაც კომპანიის მიერ ქვეორბიტული გაფრენების შესახებ შევიტყვე, ვირჯინის კარზე პირველმა დავაკაკუნე , - აცხადებს ლაუდა.

ფორმულა 1-ის თემას იმით გავაგრძელებთ, რომ რენოს ესპანელი მრბოლის ფერნანდო ალონსოს ფერარიში გადასვლა კვლავაც აქტუალურია. მეტიც, რიგი წყაროების ცნობით, სკუდერიელებსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ესპანელს შორის წინასწარი ხელშეკრულებაც კი არის დადებული.

ყოველ შემთხვევაში, ესპანური ბანკის Santander-ის ხელმძღვანელი ემილიო ბოტინი ფერარის პრეზიდენტ ლუკა დი მონტეძემელოს მანილაში შეხვედრია და სწორედ ესპანელის სკუდერიელებთან გადაბარგებაზე უსაუბრიათ. ვითარებაში გასარკვევად გეტყვით, რომ ესპანური ბანკი იტალიური საჯინიბოს ერთ-ერთი დამფინასებელია, ასე რომ, საკუთარ მოთხოვნებს უყენებს სკუდერიელებს.

# ვლადიმირს ჰეი სიტყვებით ემუქრება

*პროფესიულ კრივში წესია ასეთი, პირველივე შესაძლებლობისთანავე მეტოქე სხვათა თვალში დაამციროს, საკუთარ ღირსებებს კი ხაზი ორმაგად გაუსვა. ასე რომ, არ უნდა გავიკვირვოთ დევიდ ჰეის გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ კრივის მსოფლიო ფედერაციისა (IBF) და ორგანიზაციის (WBO) უკრაინელი ჩემპიონი ვლადიმირ კლიჩკო მეორე ხარისხოვანი მოკრივეა.*



ვლადიმირს ჰეი სიტყვებით ემუქრება

ამდენი წლის განმავლობაში მეორეხარისხოვან მოკრივეებს იმდენჯერ ეჩხუბა, რომ თავად გახდა ასეთი, - უკრაინელი მძიმეწონოსანი ჩამოუწერია დევიდ ჰეის. - ემსგავსები იმათ, ვისთანაც საქმე გაქვს. რა თქმა უნდა, ყოველივე ორთაბრძოლათა ნუსხისთვისაა კარგი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მეტოქეებს არ ჰქონიათ გამარჯვების სურვილი. მათ არ უნდოდათ ბოლომდე ებრძოლათ და არც გამარჯვება სურდათ .

იმავდროულად დევიდ ჰეი იხსენებს იმ ორ მოკრივეს, რომლებმაც ვლადიმირ კლიჩკო დაამარცხეს. საუბარია ლეიმონ ბრიუსტერზე და კორი სანდერსზე.

ბრიუსტერმა რამდენიმე დარტყმა გაატარა, მოგვიანებით კი კლიჩკო ნოკაუტში გაუშვა. ნაკლები შეცდომები დაუშვა სანდერსმა და ბრიუსტერის არ იყოს, მანაც ნოკაუტში გაუშვა უკრაინელი. - გვახსენებს ჰეი. - მას შემდეგ, კლიჩკო ეშმაკურად ირჩევდა მეტოქეებს, რათა ზემოდხსენებული შედეგები აერიდებინა თავიდან .

თავის მხრივ ვლადიმირ კლიჩკომ კიდევ ერთხელ დადო პირობა ჰეისთან, რომ ეს უკანასკნელი საკუთარ მუქარას ინანებს.

მართალი გითხრათ, მიყვარს რინგზე ყოფნა. ამიტომაცაა, რომ ამდენი ორთაბრძოლა ჩავატარე. - აცხადებს ვლადიმირი. - უკრაინელი ჩემს ჯებს დასცინის. დაე, ასე განაგრძოს. სწორედ ეს ჯები იქნება მას რომ თავ-ყბას გაუერთიანებს. მე მას მეთორმეტე რაუნდში დვანოკაუტებ. ვიმედოვნებ და მჯერა, რომ საქმე 12 რაუნდამდე მივა. აშკარაა, მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია დიდ სიამოვნებას მომანიჭებს. შენ რა, გგონია, მაგარი ტიპი ხარ? რამდენჯერ ეცადე ჩემი წყობილებიდან გამოყვანას, მაგრამ არ გამოგივიდა. ბრწინვალე მოტვიაცია მომეცი საიმისოდ, რომ საკუთარ თავზე მეტი ვიმუშაო. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ დაგამარცხო. პირობას გაძლევ ასე იქნება .

### ვენდელი ისვენებს

საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლი ბორდოს ბრაზილიელი ნახევარმცველი ვენდელი მუხლის ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება.

ფეხბურთელმა საფრანგეთის ლიგის თასის ფინალში ვანთან 4:0 მოგებულ მატჩში იტკინა ფეხი და დარჩენილ შეხვედრებში მოედანზე ველარ გავა.

### პერესის ოცნება

მადრიდის რეალის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების მსურველი და სამეფო კლუბის საპრეზიდენტო არჩევნების მოგების მთავარი ფავორიტი ფლორენტინო პერესი მზადაა, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მაქსიმუმი გაიღოს და ბარსელონაში მოასპარეზე ესპანეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ ანდრეს ინიესტასთან კონტრაქტი გააფორმოს.

ფეხბურთელის კონტრაქტში გამოსასყიდი თანხის გრაფაში 150 მილიონი ევრო წერია, მაგრამ პერესი იმედიანადაა.

აშკარაა, რომ პერესი ნაცად ხერხს არ ღალატობს. თავის დროზე ხომ მან გაპრეზიდენტებისთანავე ბარსელონადან ლუიშ ფიგუ გამოისყიდა. აღსანიშნავია, რომ პერესი გულშემატკივრებს არჩევნების პერიოდში ჰპირდებოდა ფიგუს შეძენას.

ახლა კი გალაქტიკური კლუბის შექმნის იდეის ავტორმა კატალონიური კლუბის სხვა ვარსკვლავს დაადგა თვალი. ბავშვობაში ინიესტა ოჯახთან ერთად სწორედ ესპანეთის დედაქალაქში ცხოვრებდა. "ბარსელონას" მომავალი ნახევარმცველი "რეალის" აკადემიაში მოხვედრაზე ოცნებობდა. თუმცა, მისი მშობლები ფიქრობდნენ, რომ მადრიდი კრიმინალური ქალაქია და ამიტომ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალეს.

ამ ცოტა ხნის წინ პერესმა რეალის გულშემატკივრის გულის მოგება მესის გადაბირების დაპირებით სცადა, მაგრამ ეს იმდენად არარეალურია, რომ პრეზიდენტობის მთავარმა კანდიდატმა თავადვე დაივიწყა მესის შეძენის იდეა და ახლა უკვე ინიესტაზე ნადირობს. თუმცა საეჭვოა, რომ კატალონიური კლუბიდან ინიესტას გადმოყვანა რეალური იყოს. ანდრესი ბარსელონას სკოლის აღზრდილია და, ფიგუსგან განსხვავებით, კარგად იცის, რას ნიშნავს საკლუბო პატრიოტიზმი.

### "მანჩესტერი" აზიას ესტუმრება

მიმდინარე წლის ივლისში მანჩესტერ იუნაიტედი აზიურ ტურნეში გაემგზავრება. ჩინეთში მანკუნიანელები 4 საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ.

ალექს ფერგიუსონის გუნდი დასკვნით პაექრობას ჩინური სუპერლიგის წარმომადგენელ ჰანჩჟოუ გრინთაუნთან გამართავს. ეს შეხვედრა 26 ივლისისთვისაა დანიშნული და მომავალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო თამაში იქნება. გარდა ამისა, მანჩესტერ იუნაიტედი მალაიზიას, ინდონეზიას და სამხრეთ კორეას ეწვევა.

მოხარულები ვართ, რომ აზიაში საზაფხულო მოსამზადებელ ტურს ჩავატარებთ. ამ მატჩებმა გუნდს საბრძოლო განწყობა უნდა აუმაღლოს. აზიური ტურნე ახალი სეზონისთვის კარგი სამზადისი იქნება , - ნათქვამია მანჩესტერ იუნაიტედის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში.

### მთავარია შედეგი და არა სანახაობა

დღეს ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩში მანჩესტერი არსენალს უპირისპირდება. მანკუნიანელთა ნახევარდაცვის ლიდერის პოლ სქოულზის აზრით, მისმა გუნდმა მომავალ თამაშში შედეგზე უნდა იფიქროს და არა სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენებაზე.

არ ვიცი, რამდენად სანახაობრივი იქნება მატჩი. რომისკენ მიმავალ გზაზე ჩვენ თამაშის სილამაზეზე არ ვზრუნავთ. გასულ წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში წარმატების მიღწევა ძალიან სასიამოვნო იყო. ისე როგორც 1999 წელს მიღწეული წარმატება, ეს პაექრობაც წარსულში დარჩა. ასე რომ, ჩვენ ისევ მოგება გვწყურია , - ამბობს პოლ სქოულზი.

### "ხეტაფე" უმწვრთნელოდ დარჩა

ესპანეთის პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერის ხეტაფეს მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ მუნიოსმა დაკავებული თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ესპანური მასმედია იუწყება, თუმცა კლუბში გავრცელებულ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებენ. 52 წლის მუნიოსი ხეტაფეს თავკაცად გასული წლის ივნისში მიქაელ ლაუდრუპის ნაცვლად დანიშნა. მანამდე ის უელვას ხელმძღვანელობდა.




დაიპყარი მწვერვალი!
გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
$275 000






Tamar Shelania - Elite Model Look Georgia 2007

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შელანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT · kikala studio · 24 საათი · MUSIC BOX · COSMOPOLITAN

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის
და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

24 საათი · The New York Times (Articles selected for 24 საათი) · Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

# ბეტონშემრევი:
## BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი:BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20
(Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი:
LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე




ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)


## საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა 2009 წლის 28 მაისს მეოთხეჯერ ატარებს აუქციონს

მეოთხე აუქციონი 2008 წლის **28** მაისი 16 სთ

| № | საპრივატიზებო ქონების დასახელება | გამოშვების წელი | ფერი | საწყისი ფასი (ლარებში) | ბეს ოდენობა (ლარებში) | ბიჯის ოდენობა (ლარებში | ბილეთის ფასი (ლარებში) | შენიშნა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | მიცუბიში პაჯერო 2500 Td | 1991 | ლურჯი | 1725 | 345 | 90 | 20 | |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

განაცხადებები მიიღება 2009 წლის 29 აპრილიდან 2009 წლის **28 მაისის** ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე ქ. საჩხერე თავისუფლების ქ. №4, საააუქციონო კომისია, საკონტაქტო ტელეფონი 895-90-10-70. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის **28 მაისს** 16 საათზე.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი. თუ მყიდველი არ გადაიხდის დადგენილ ვადაში ქონების გამოსასყიდ თანხას მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება. ასევე მყიდველს ეკისრება შესყიდული ქონებს გადაფორმების ხარჯები

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილესა და გასაყიდი ქონების დასახელებას, ბ) „ბე"-ს და ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს „სახალხო ბანკის" საჩხერის ფილიალი, ბანკის კოდი-220101467, გამგეობის სატენდერო და აუქციონის მოსაკრებლის მიზნობრივი დანიშნულების ანგარიში №33050037, გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს ფიზიკური პირის შემთხვევაში, დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით, ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა 2009 წლის 28 მაისს მესამეჯერ ატარებს აუქციონს

**2009 წლის 28 მაისი 16 სთ 30 წთ**

| № | საპრივატიზებო ქონების დასახელება | მისამართი | შენობისა და მიწის ფართი კვ.მეტრი | საწყისი ფასი (დოლარის ექვივალენტი ლარებში) | ბე (დოლარის ექვივალენტი ლარებში) | ბიჯი (დოლარის ექვივალენტი ლარებში) | ბილეთის ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა | ქ. საჩხერე დ. აღმაშენებლის ქ. №14 | შენობის საერთო ფართი 3453, მიწის ფართი 2433.8 | 25850 | 2585 | 1295 | 20 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

განაცხადებები მიიღება 2009 წლის 29 აპრილიდან 2009 წლის **28 მაისის** ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე ქ. საჩხერე თავისუფლების ქ. №4, საააუქციონო კომისია, საკონტაქტო ტელეფონი 895-90-10-70. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის **28 მაისს** 16..30 საათზე.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი. თუ მყიდველი არ გადაიხდის დადგენილ ვადაში ქონების გამოსასყიდ თანხას მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება, ასევე მყიდველს ეკისრება შესყიდული ქონებს გადაფორმების ხარჯები

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საააუქციონო კომისის უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილესა და გასაყიდი ქონების დასახელებას, ბ) „ბე"-ს და ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს „სახალხო ბანკის" საჩხერის ფილიალი, ბანკის კოდი-220101467, გამგეობის სატენდერო და აუქციონის მოსაკრებლის მიზნობრივი დანიშნულების ანგარიში №33050037, გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს ფიზიკური პირის შემთხვევაში, დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით, ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

# საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა 2009 წლის 28 მაისს ატარებს აუქციონს

აუქციონი 2009 წლის 28 მაისი 16 სთ 30 წთ

| № | საპრივატიზებო ქონების დასახელება | მისამართი | მიწის ფართი კვ.მეტრი | საწყისი ფასი (დოლარის ეკვივალენტი ლარებში) | ბე (დოლარის ეკვივალენტი ლარებში) | ბიჯი (დოლარის ეკვივალენტი ლარებში) | ბილეთის ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. საჩხერე კოსტავას ქუჩა | 100 | 930 | 280 | 93 | 20 |
| 2 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. საჩხერე ივანე გომართელის ქუჩა | 60 | 555 | 170 | 56 | 20 |
| 3 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | საჩხერე სოფ. სხვიტორი | 98,4 | 275 | 83 | 30 | 20 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

განაცხადები მიიღება 2009 წლის 29 აპრილიდან 2009 წლის **28 მაისის** ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე. მისამართზე ქ. საჩხერე თავისუფლების ქ. №4, სააუქციონო კომისია, საკონტაქტო ტელეფონი 895-90-10-70. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის **28 მაისს** 17 საათზე.

შემძენი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი. თუ შემძენი არ გადაიხდის დადგენილ ვადაში ქონების გამოსასყიდ თანხას მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება, ასევე შემძენს ეკისრება შესყიდული ქონების გადაფორმების ხარჯები

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილესა და გასაყიდი ქონების დასახელებას, ბ) „ბე"-ს და ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს „სახალხო ბანკის" საჩხერის ფილიალი, ბანკის კოდი-220101467, გამგეობის სატენდერო და აუქციონის მოსაკრებლის მიზნობრივი დანიშნულების ანგარიში №33050037, გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს ფიზიკური პირის შემთხვევაში, დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით, ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2009 წლის 23 აპრილის გაზეთში "24 საათი" (N87) გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ცვლილების შესახებ

**შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს**

**ლილო-ვაზიანის გადასარბენის კმ15 პკ10-ში არსებული დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მშენებლობის და მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქციის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვას**

ლილო-ვაზიანის გადასარბენის კმ15 პკ10-ში არსებული დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მშენებლობის და მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, თამარ მეფის გამზირი N 15 შპს საქართველოს რკინიგზა". IV სართული, ოთახი 4060-ში 2009 წლის 15 ივნისს 12:00 საათზე მოეწყობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, თბილისი, გულუას ქ. N6;
- ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N 15 შპს საქართველოს რკინიგზა";
- **შპს"GT თერიდი," ქ. თბილისი ალმაშენებლის 164;**

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

- შპს საქართველოს რკინიგზა". ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N 15

ს/კ 202886010 სს ვითიბი ბანკი ჯორჯია" დიდუბის ფილიალის ა/ა 5553407 ბანკის კოდი 220101665

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.56.31.49 56.44.49 ფაქსი 564449

საკონტაქტო პირი: ჩიხლაძე გია

საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა: 12.06.2009წ. 12:00 სთ.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი სატენდერო განცხადების შესწორება

2009 წლის 17 აპრილის გაზეთ "24 საათი"-ს N85 ნომერში გამოქვეყნებულ მოწვევაში ფასთა კოტირების წარდგენაზე **"საოფისე ფართისა და ძირითადი საშუალებების დაზღვევის მიზნით" (კონტრაქტის ნომერი: MDF/NS/007/09)**, კოტირების წარმოდგენის ვადა შეიცვალოს შემდეგნაირად:

"4. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: **2009 წლის 4 მაისი, 17:00 საათი."**

დანარჩენი რჩება უცვლელი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **ორგტექნიკის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 12 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2 და/ან ვებ. გვერდზე www.metro.ge.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

**3. სასურველია დაცული იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის მიწოდების გრაფიკი.**

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 2009 წლის 18 მაისის 14 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 18 მაისის 14 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 18 მაისის 14 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტედერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: გოგიტა ჩილინგაძე, ინგა ხვედელიძე, თინათინ შუბითიძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტრო" www.metro.ge

**სატენდერო კომისია**

**29 აპრილი ,2009 წელი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **სააკუმულიატოროს რეკონსტრუქციისა და ავარიული განათების ქსელის მოდერნიზაციის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. დეტალურ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2 და/ან ვებ. გვერდზე www.metro.ge.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. სასურველია დაცული იყოს მომსახურების გაწევის გრაფიკი.

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 18 მაისის 16 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 18 მაისის 16 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 18 მაისის 16 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: თინათინ შუბითიძე, ინგა ხვედელიძე, გიორგი ჩიღვინაძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტრო" www.metro.ge

**სატენდერო კომისია**
**29 აპრილი , 2009 წელი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **შემომყვანი კაბელების აღდგენის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 3 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2 და/ან ვებ. გვერდზე www.metro.ge.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. **სასურველია დაცული იყოს სამუშაოს შესრულების გრაფიკი.**

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 18 მაისის 15 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 18 მაისის 15 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 18 მაისის 15 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: გიორგი ჩიღვინაძე, ინგა ხვედელიძე, თინათინ შუბითიძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტრო" www.metro.ge

**სატენდერო კომისია**
**29 აპრილი ,2009 წელი**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 06 აპრილს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ "ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდ "სიცოცხლე მშვენიერიას" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. ლიცენზიის მფლობელის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების ან ლიცენზიის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ადმინისტრაციული შენობების, საბავშო ბაღების, საცხოვრებელი კორპუსრების და კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 13 მარტს გამოცხადებული ტენდერის შედეგები**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2009 წლის 13 მარტს ადმინისტრაციული შენობების, საბავშო ბაღების, საცხოვრებელი კორპუსების და კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტედენტებად გამოვლინდა I-II ლოტზე შ.პ.ს "აგუნა" და გაფორმდა შესაბამისად N 3-ტ და N 4-ტ ხელშეკრულებები, III- VI ლოტზე ინდ საწარმო "ორიონი" და გაფორმდა N 2-ტ ხელშეკრულება, IV-V-VII ლოტზე შ.პ.ს "მილენიუმ დეველოპმენტი" და გაფორმდა N 1-ტ ხელშეკრულება.

# განცხადება ტენდერში გამარჯვებულად ცნობის შესახებ

სსიპ თვითთმმართველი ერთეულის "საჩხერის მუნიციპალიტეტის" მიერ 2009 წლის 12 მარტს დასუფთავებისა და ნაგვის გატანის მომსახურეობის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და შესაბამისად ხელშეკრულება გაფორმდა შპს "საჩხერის კეთილმოწყობასთან"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის N217 ბრძანებით, შპს "უნივერსიტეტ პატრიოტს" უარი ეთქვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიაის გაცემაზე."

საქართველოს შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ 2009 წლის 21 აპრილს ჩატარებულ ტენდერში ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების (სერვისი) თანმდევი ავტოსათადარიგო ნაწილებთან ერთად გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ჯ. ს. 39 -ი.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით
DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ირმა გაბიტაშვილის, ვეფხია ქოჩაროვის და სილოვან ვეკუას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 7 მაისს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ირმა გაბიტაშვილი მცხ: გურჯაანი, სოფ. ვეჯინი, ალტ. მისამართი ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, 1-ლი კვ., 1-ლი კორპ.; ბ. 55, ვეფხია ქოჩაროვი მცხოვრები ქ. თბილისი, რუსთავის გზატკ. N32, ბ.4, ალტ. მისამართი ქ. თბილისი, ლილოს დასახლება. 1-ლი კვ., 1-ლი კორპ., ბ. 55 და სილოვან ვეკუა მცხოვრები ქ. თბილისი, სამგორის N32, ბ. 11.

## მოწვევა წინადადებების წარმოდგენის შესახებ საქართველო ფრინველის გრიპის კონტროლის და პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი

გრანტი N TF057342, სგა კრედიტი N4179, სგა გრანტი N H228

"ქირურგიული ინსტრუმენტების, მრავალფუნქციური შემასხურებლების და ავტომატური შემასხურებლების შესყიდვა"

მოწვევის N AICHPPRP/ICB-2009-01/02/03

1. ალნიშნული მოწვევა წინადადებების წარმოდგენის შესახებ თან სდევს პროექტის ძირითად შეტყობინებას შესყიდვების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის 30 ნოემბრის "Development Business -ის N691-ში.
2. საქართველომ მიიღო გრანტი N 228 და კრედიტი N4179 ფრინველის და ადამიანის გრიპის ფონდისგან ფრინველის გრიპის კონტროლის და პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის განსახორციელებლად და მიზნად ისახავს ალნიშნული გრანტის სახსრების ნაწილის გამოყენებას ქირურგიული ინსტრუმენტების, მრავალფუნქციური შემასხურებლების და ავტომატური შემასხურებლების შესასყიდად.
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) აცხადებს მოწვევას კონკურსის სათანადო და კვალიფიციური მონაწილეების მიერ დალუქულ კონვერტში დაბეჭდილი წინადადებების წარმოდგენაზე შემდეგი საქონლის მოწოდებაზე:

რაოდენობა: ლოტი N1 - ქირურგიული ინსტრუმენტები - 200 კომპლექტი;
ლოტი N2 - მრავალფუნქციური შემასხურებლები - 2 ცალი;
ლოტი N3 - ავტომატური შემასხურებლები - 100 ცალი

შენიშვნა: *შეფასება გაკეთდება თითოეული ლოტის მიხედვით.*

4. კონკურსი გაიმართება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად (რაც მოცემულია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების ფარგლებში" (2004 წლის მაისის გამოცემა)) და ის ღიაა ყველა მონაწილესათვის ნებადართული მომწოდებელი ქვეყნებიდან, როგორც ეს ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოშია მითითებული.
5. დაინტერესებულ ნებადართულ მონაწილეებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მოიპოვონ სსიპ - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში (ბ-ნ. ვახტანგ ჯალიაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი, vajhtang.jaliashvili@adpcc.org.ge) და მიიღონ სატენდერო დოკუმენტაცია ქვემოთ მოცემულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10:00-დან 18:00 საათამდე.
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს:

კონკურსში მონაწილემ უნდა მოახდინოს მის მიერ წინადადებაში წარმოდგენილი საქონლის მოწოდების ერთი ან მეტი კონტრაქტის განხორციელების დემონსტრირება ბოლო 5 წლის განმავლობაში და აღნიშნული საქონლის წარმატებით გამოყენება მინიმუმ 1 წლის განმავლობაში.

ადგილობრივი მომწოდებლებისთვის შეღავათების მინიჭების პროცედურა არ იქნება გამოყენებული. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

7. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მოიპოვონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ინგლისურ ენაზე ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და აუნაზღაურებელი 100 აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ლარებში (სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) გადახდისთანავე თითოეული ლოტისთვის. გადახდის მეთოდი არის თანხის გადარიცხვა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

"თი-ბი-სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი, მარჯანიშვილის 7, თბილისი, 0102, საქართველო; ანგარიშის N115086086 (აშშ დოლარი/ევრო), SWIFT კოდი: TBCBGE22.

საკორესპონდენციო ბანკის რეკვიზიტები:

სახელი: CITIBANK N.A
მისამართი: 111 WALL St. NEW YORK, N.Y. 10043
საბანკო ანგარიშის დასახელება: თი-ბი-სი ბანკის საკორესპონდენციო ანგარიში
საბანკო ანგარიშის ნომერი: 36127097 აშშ დოლარი, ABA: 021000089, SWIFT: CITIUS33

სატენდერო დოკუმენტაცია გაგზავნილ იქნება კურიერის მეშვეობით. სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია და შეიძლება გაგზავნილ იქნეს მყარი ასლის საფასურის გადახდის შემდეგ.

8. წინადადებები უნდა წარმოდგენილ იქნეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 5 ივნისის 15:00 საათისა. წინადადებების ელ. ვერსიები არ მიიღება. დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება. წინადადებების გახსნა გაიმართება კონკურსანტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ დასწრების სურვილს on-line რეჟიმში ან ქვემოთ მოცემულ მისამართზე (იგივე რაც წინადადების წარმოდგენისთვის). ყველა წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია თითოეული ლოტისთვის ცალკე: ლოტი N1 - ქირურგიული ინსტრუმენტები - 3,000.00 აშშ დოლარზე; ლოტი N2 - მრავალფუნქციური შემასხურებლები - 2,000.00 აშშ დოლარზე; ლოტი N3 - ავტომატური შემასხურებლები - 3,000.00 აშშ დოლარზე ან მის ეკვივალენტურ თანხაზე სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

9. საკოორდინაციო ცენტრის მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის ქ. 6, მე-3 სართული, ოთახი 307
ტელ: +995-32 37-66-71
ფაქსი: +995-32 37-66-89
ბ-ნ. ვახტანგ ჯალიაშვილს, შესყიდვების სპეციალისტი
ელ-ფოსტა: vakhtang.jaliashvili@adpcc.org.ge

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური 2009 წლის ასიგნებების ფრგლებში ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამა'' მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ განმეორებით ტენდერთან დაკავშირებით:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური 2009 წლის ასიგნებების ფრგლებში ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამა'' მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2009 წლის 13 მარტს გაზეთ 24 საათში'' გამოქვეყნებულ ტენდერში.

ტენდერის შედეგად **I ლოტზე** - გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ფერმერთა სახლი'' თანხით 93 276.80 ლარი, რომელთანაც 2009 წლის 15 აპრილს გაფორმდა N01-26/34 ხელშეკრულება. **II ლოტზე** - გამარჯვებულად გამოვლინდა შპს აგროქიმია 2009'' თანხით 178 000 ლარი, რომელთანაც 2009 წლის 15 აპრილს გაფორმდა N01-26/33 ხელშეკრულება. **III ლოტზე** - გამარჯვებულად გამოვლინდა შპს მაჯა'' თანხით 94 588 ლარი, რომელთანაც 2009 წლის 15 აპრილს გაფორმდა N01-26/35 ხელშეკრულება.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## სააქციო საზოგადოების მორიგი კრების მოწვევის შესახებ

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისს, დღის 12.00 საათზე საქართველოს მეწარმეთა შესახებ კაონის თანახმად სს რუსთავგაზი -ს დირექტორატი იწევს საზოგადოების აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქ.№25, საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში.

დღის წესრიგი:
1. 2008 წლის წლიური ანგარიში:
ა) სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
ბ) საზოგადოების მიერ 2008 წლის მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. 2009 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
5. სხვადასხვა.
დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში.

# თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების – ლითონის მილებზე

| .№ | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | სისქე (მმ) |
|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. კისისხევი | 530 | 2600.0 | 5.0 |
| 2 | სოფ. კისისხევი | 426 | 1800 | 5.0 |
| 3 | სოფ. კურდღელაური | 426 | 8000 | 4.5 |
| 4 | სოფ. კურდღელაური | 150 | 3000 | 2.2 |
| 5 | სოფ. იყალთო | 325 | 4200 | 3.0 |
| 6 | სოფ. ვარდისუბანი | 325 | 2600 | 2.0 |
| 7 | სოფ. ლაფანყური | 100 | 1400 | 1.8 |
| 8 | სოფ. აკურა | 426 | 1750 | 5.0 |
| 9 | სოფ. აკურა | 325 | 2000 | 4.0 |
| 10 | სოფ. ვანთა | 426 | 1600 | 5.0 |
| 11 | სოფ. ქვ. ხოდაშენი | 426 | 1500 | 5.0 |
| 12 | სოფ. წინანდალი | 530 | 2500 | 5.0 |

საწყისის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 195074 (ასოთხმოცდახუთმეტიათას სამოცდათოთხმეტი) ლარი, „ბე“ – 19500 ლარი, ბიჯი – 5000 ლარი, მონაწილის ბილეთი – 50 ლარი.

**აუქციონზე მონაწილეობის მიღება შეუძლია**

- საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. აგრეთვე, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს. ამასთან, მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“ს შენატანი არ დაუბრუნდება.

**აუქციუონში მონაწიელობის მიღების მსურველი სააუქციონო კომისიას წარუდგენს:**

- განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფირმაციას მონაწილეზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელებას, იმ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს. პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში განცხადებაში უნდა აისახოს მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე;
- „ბე“ს და მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოცუმენტს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის საწყის გასაყიდ ფასზე „ბიჯის“ დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

**შენიშვნა: მყიდველის ხარჯით მოხდეს ნიადაგიდან მილების ამოღების სამუშაოები,**

- **მილების ამოღების შემდეგ ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია მოყვანილი იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში;**
- **მოსავლის დაზიანების შემთხვევაში საბაზრო ფასით ანაზღაურება.**

**ინფორმაცია განცხადებების მიღების შესახებ:**

- აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დღის 17 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 12 საათზე.

**აუქციონი ჩატარდება** გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს 14 საათზე. ხოლო თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, აუქციონი ჩატარდება მომდევნი პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე. მისამართი ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №16 – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

**საბანკო რეკვიზიტები – წინასწარი გადახდა (ბე)**
სს „სტანდარტ ბანკის“ თელავის ფილიალი
ბანკის კოდი– 220101945
ა/ა 24000419976

შემდეგი გადახდა
**სახელმწიფო ხაზინა – ბანკის კოდი-220101222**
ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი – 300513313
ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში – ერეკლე II გამზ. №16, ტელ. 7.13.35.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის. ქ სამტრედია, რაზმაძის ქ. №2) აცხადებს ტენდერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა-ბაღებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე (სახურავების, კარ-ფანჯრებისა და საკანალიზაციო სისტემის შეცვლა) და იწვევს დაინტერესებულ პირებს მონაწილეობის მისაღებად

ტენდერი ცხადდება 8 ლოტად,
I ლოტი- სოფელ ნაბაკევის ბაღში სახურავის შეცვლა;
II ლოტი – ჭანტურიას ქ. №72-ში №1 ბაგა-ბაღის ნაწილი ფანჯრებისა და სანტექნიკური სამუშაოები;
III ლოტი – პაპავას ქ. №10-ში მდებარე №2 ბაგა-ბაღის სახურავის შეცვლის და სანტექნიკური სამუშაოები;
IV ლოტი - №3 ბაგა-ბაღის შენობის სახურავისა და კარ-ფანჯრების შეცვლა
V ლოტი - №4 ბაგა-ბაღის შენობის სახურავისა და კარ-ფანჯრების შეცვლა;
VI- ლოტი - №9 ბაგა-ბაღის შენობის სახურავისა და კარ-ფანჯრების შეცვლა
VII ლოტი - №10 ბაგა-ბაღის შენობის სახურავისა და კარ-ფანჯრების შეცვლა
VIII ლოტი დიდი ჯიხაიშის №2 ბაგა-ბაღის შენობის სახურავის შეცვლა

სამუშაოების დაწყების სასურველი ვადებია: 2009 წლის 01 ივნისი ხოლო დასრულების ვადა I, II, III, VIII ლოტებზე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) კალენდარული თვე, ხოლო IV, V, VI და VII ლოტებზე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) კალენდარული თვე.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა, სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები 2009 წლის **20 მაისის 16 სთ-მდე**, ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: ქ სამტრედია რაზმაძის ქ.№2 სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი № 305,

საკვალიფიკაციო მონაცემებისათვის საჭირო დოკუმენტაცია
იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გადახდისუუნარობის საქმე.
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არა ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია .
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების არ არსებობის შესახებ;

*ფიზიკური პირებისათვის:*

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მოქმედებს გაკოტრების საქმე;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების არ არსებობის შესახებ;

**როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი არ არის მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე.
ბ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).
გ) ზოგადი მონაცემები გამოცდილების შესახებ ;
დ) უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი თანხობრივ გამოსახულებაში, შესაბამისი ხელშეკრულების ქსეროასლებით (თუ ეს უკანასკნელი კომფიდინციალური არ არის) და შემდეგი ცხრილის გამოყენებით

| შესრულებული სამუშაოს დასახელება | დამკვეთი | სახელშეკრულებო თანხა | |
|---|---|---|---|
| | | | |

ე) ყველა ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია აღებული უნდა იქნას აღნიშნული განცხადების გამოქვეყნების შემდეგ

თუ პრეტენდენტი სამუშაოების ჩატარებისას გეგმავს სუბკონტრაქტორების გამოყენებას ვალდებულია სუბკონტრაქტორზე წარმოადგინოს იგივე მონაცემები რაც გათვალისწინებულია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ . პრეტენდენტის მოთხოვნისთანავე შემდეგ მისამართზე ქ. სამტრედია, რაზმაძის ქუჩა №2, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი № 305, 2009 წლის **20 მისის 16 საათამდე.**

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის გარანტიის ფორმა გამოყენებული არ იქნება.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ენაზე ;

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 200 (ორასი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო ხაზინაში, ანგარიშის №200122900, ბანკის კოდი 220101222 შემდეგ სახაზინო კოდზე 30021 3174, გადახდის დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა-ბაღებში სარემონტო სამუშაოების ჩატარების სატენდერო დოკუმენტაციისათვის"

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველს შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი № 305, 10-დან 18 საათამდე.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დახურული კონვერტით თითოეული ლოტზე ცალ-ცალკე ან ერთად (პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი ლოტების შესაბამისად);

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების გახსნა და პრეტენდენტთა დასახელება მოხდება კომისიურად **2009 წლის 20 მაისს 16 საათზე.**

სატენდერო დოკუმენტაციის შეფასება მოხდება პრეტენდენტთა დასახელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა დამატებითი ინფორმაციისათვის უნდა მიმართოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს – ია ხოშტარიას, შემდეგ მისამართზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი № 305, 10-დან 18 საათამდე, ტელ 895332225

სატენდერო კომისია

# განცხადება

**"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

**1. სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი -**
თანამდებობრივი სარგო: 1800 ლარი

**a) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
1. უმაღლესი განათლება;
2. არა ნაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. უცხოური ენის ცოდნა (ინგლისური);
4. კომპიუტერის საოფისე პროგრამების ცოდნა;

**b) პიროვნული უნარ-ჩვევები:**
1. ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
2. ანალიტიკური აზროვნება;
3. კომუნიკაბელურობა;
4. გუნდური მუშაობისა და ახალ გარემოსთან კარგი ადაპტაციის უნარი;
5. სამუშაოს მიმართ ნოვატორული და შემოქმედებითი მიდგომა;
6. შეფასებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრის უნარი;
7. გამოირჩეოდეს პასუხისმგებლობის გრძნობით.

**გ) ძირითადი მოვალეობები:**
1. დეპარტამენტზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების დროული, კვალიფიციური და ეფექტიანი შესრულება, როგორიცაა: მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, მელიორაციისა და აგროქიმიის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება; სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, ფერმერთა და აგრომეწარმეთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემის განვითარების ხელშეწყობა; მიწის რაციონალურად გამოყენების მიზნით წინადადებების მომზადება; აგროქიმიკატების ეფექტიანი და უსაფრთხო მოხმარების მეთოდიკისა და რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
2. დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება.

**II. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი -**
თანამდებობრივი სარგო: 1800 ლარი

**ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
1. უმაღლესი განათლება;
2. არა ნაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. უცხოური ენის ცონდა (ინგლისური);
4. კომპიუტერის საოფისე პროგრამების ცოდნა.

**b) პიროვნული უნარ-ჩვევები:**
1. ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
2. ანალიტიკური აზროვნება;
3. კომუნიკაბელურობა;
4. გუნდური მუშაობისა და ახალ გარემოსთან კარგი ადაპტაციის უნარი;
5. სამუშაოს მიმართ ნოვატორული და შემოქმედებითი მიდგომა;
6. შეფასებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრის უნარი;
7. გამოირჩეოდეს პასუხისმგებლობის გრძნობით.

**გ) ძირითადი მოვალეობები:**
1. დეპარტამენტზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების დროული, კვალიფიციური და ეფექტური შესრულება, როგორიცაა: მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო - ტექნიკური და სხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფა; სახელმწიფო შესყიდვებისა და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ქონების მართვის ორგანიზება; სამეურნეო საქმიანობის ორგანიზება; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება; სამინისტროს ცენტრალური აპარატის საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე ზედამხედველობა; სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჭირო კომპიუტერულ-პროგრამული სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა.
2. დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება.

Kკონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
a) წერილობითი განცხადება საკონკურსო-კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
b) ავტობიოგრაფია;
გ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) შრომის წიგნაკის ასლი;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ვ) ორი ფერადი ფოტოსურათი (3X4);
ზ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული შევსებული ანკეტა.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2009 წლის 13 მაისი**.

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნო - ტელ.: 37.80.14, ყოველი სამუშაო დღის 10-დან 13 საათამდე.

ანკეტა-განაცხადი შეგიძლიათ მიიღოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში ან გადმოტვირთოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდიდან - **www.maf.ge**

კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს სამი კვირისა, ჩატარდება გასაუბრება იმ კანდიდატებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე: **www.maf.ge,** აგრეთვე, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე: **www.psb.gov.ge**

საჯარო სამსახურის ბიურო

---

საქმე №2/4141-08

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ
13 აპრილი 2009 წელი თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ელისო ტუკვაძე
**მოსარჩელე:** ლალი სირაძე
**წარმომადგენელი:** მედეა ლომიძე
**მოპასუხე:** ნატო გვილავა
**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

**ზეპირის მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2008 წლის 31 ოქტომბერს ლალი სირაძის სახელით სარჩელი აღძრა წარმომადგენელმა მედეა ლომიძემ, მოპასუხე ნატო გვილავას წინააღმდეგ. სარჩელით მოითხოვა მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულება შემდეგი საფუძვლებით:

2006 წლის 1 ნოემბერს ლალი სირაძემ ნატო გვილავას ასესხა 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი. ხელშეკრულების პირობის თანახმად, სესხი გაცემულია 6 თვიდან 3 წლის ვადით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა სარგებლის ოდენობა, თვეში 200 (ორასი) აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხე ნატო გვილავამ 6 თვის განმავლობაში (2007 წლის 1 მაისის ჩათვლით) გადაიხადა ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის სარგებელი 200 (ორასი) აშშ დოლარი, ხოლო 6 თვის შემდეგ აღარ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. მოპასუხე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

სარჩელის თანახმად, ლალი სირაძის წარმომადგენელმა მოითხოვა ნატო გვილავასთვის სესხის ძირითადი თანხის 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება, ასევე ვადაგადაცილებული დროისთვის 30 (ოცდაათი) თვის სარგებლის - თვეში 200 (ორასი) აშშ დოლარის, 6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარის, სულ 8000 (რვა ათასი) აშშ დოლარის დაკისრება.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს მოპასუხე ნატო გვილავას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №6) მოსარჩელე ლალი სირაძის მიერ აღძრულია სამოქალაქო საქმე, სადაც დასახელებულია მოპასუხედ. სარჩელის მიხედვით დავის საგანს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება;

2. მოპასუხე ნატო გვილავას პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღე;

3. ეცნობოს მოპასუხე ნატო გვილავას, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე ***გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.*** ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს;

4. ეცნობოს მოპასუხე ნატო გვილავას, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რწმუნებულება (დედნის სახით1 გაცემული ლალი სირაძის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს ცნობის ასლი, 2005 წლის 01 ნოემბერს დადებული სესხის ხელშეკრულების ასლი. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეს აქვს სასამართლოში;

5. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ 24 საათში ;

6. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ 24 საათში საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;

7. *საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ 24 საათში უნდა განხორციელდეს 2009 წლის 01 მაისამდე,* რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გაზეთ 24 საათის შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;

8. სარჩელი და თანდართული მასალებით მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

9. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე: ე. ტუკვაძე*

---

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან ბარაბაძის**
**ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით

- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით

- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 29 მაისს ატარებს განმეორებით პირობით აუქციონს 25% ფასდაკლებით

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების ლითონის მილები, კერძოდ:

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. გომარეთი | 400 | 14000 | 252000 | 12600 | 1000 |

**აუქციონის პირობები:**

1. ნიადაგიდან მილების ამოღების სამუშაოები მოხდეს მყიდველის ხარჯით.
2. მილების ამოღების შემდგომ ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია მოყვანილ იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი
ბ.კ 220101502
ა/ა 266897601
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287 (მიუთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
ტელ: (824) 12 12 66

*საქმე N2/3259 - 2008*

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

**საქართველოს სახელით**

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

**16 აპრილი 2009 წელი ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე დავით ღიბრაძე
მოსარჩელე - ნათია ძებნიაური
მოპასუხე - ზინა ყარამანოვი
დავის საგანი - სესხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება
განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 3 სექტემბერს სარჩელით მიმართა ნათია ძებნიაურმა მოპასუხე ზინა ყარამანოვის წინააღმდეგ სესხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ნ. ძებნიაურის სარჩელის თაობაზე მოპასუხე ზ. ყარამანოვს ეცნობა საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით, რაც 2008 წლის 24 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთში 24 საათი და განესაზღვრა ვადა შესაგებლის წარმოსადგენად.

2009 წლის 23 იანვარს სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო და ნ. ძებნიაურის სარჩელი დაკმაყოფილდა, რომლითაც ზ. ყარამანოვს ნ. ძებნიაურის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის თანხა 3 300 ლარი და ზიანის ანაზღაურება 2 079 ლარის ოდენობით. სულ 5 379 ლარი. ასევე სახელმწიფო ბაჟი 165 ლარი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება ზ. ყარამანოვს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე - ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 7, ბინა 49, მაგრამ გზავნილი მას ვერ ჩაბარდა და დაბრუნდა წარწერით, რომ ბინა ეკუთვნის ადრესატს, მაგრამ იქ ცხოვრობენ მდგმურები, ხოლო ზ. ყარამანოვის საცხოვრებელი მისამართი მათთვის უცნობია.

სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ძებნიაურის წარმომადგენელმა ე. ბუთხუზმა, რომელმაც იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების საკუთარი ხარჯებით გამოქვეყნების თაობაზე.

**სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში 24 საათი , ვინაიდან აღნიშნული გაზეთი მასობრივად ვრცელდება არა მხოლოდ მოპასუხე ზ. ყარამანოვის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქ. თბილისში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. გამოქვეყნების ხარჯები კი უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე, 78-ე, 284-285-ე მუხლებით,**

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მიღებულ იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

2. ზინა ყარამანოვს ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კლეგიის მიერ 2009 წლის 23 იანვარს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც:

2.1. ნათია ძებნიაურის სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.2. ზინა ყარამანოვს ნათია ძებნიაურის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის თანხა - 3 300 ლარი და ზიანის ანაზღაურება 2 079 ლარის ოდენობით. სულ - 5 379 ლარი.

2.3. ზინა ყარამანოვს ნათია ძებნიაურის სასარგებლოდ დაეკისრა 165 ლარი სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

3. ზინა ყარამანოვს განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია გამოიტანოს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10 (ათი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ საჩივრდება.

4. ზ. ყარამანოვს განემარტოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. ამდენად, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ზ. ყარამანოვმა სასამართლოში უნდა წარმოადგინოს შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნების მეშვიდე დღიდან 10 დღის ვადაში. ამასთან, მას შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში.

5. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში 24 საათი , რომლის განხორციელება თავისი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელე ნათია ძებნიაურს.

6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

*მოსამართლე დავით ღიბრაძე*

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით**
**გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა „საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ“ 2009 წლის 6 მაისს ოთხშაბათს საქართველოს ეროვნული ბანკის „ბ“ კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

1. ეროვნული ბანკის ყოფილი ბათუმის ფილიალის კომპიუტერული ტექნიკა

დანართი N1

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის N | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | კვების წყარო | 24.10.2000 | 21-22 | 2 | 39 | 78 |
| 2 | მოდემი JSR 56-4 | 28.12.2000 | 20 | 1 | 15 | 15 |
| 3 | კომპიუტერი pentium-3 | 14.11.2001 | 4 | 1 | 45 | 45 |
| 4 | კვების წყარო sps-1000 | 29.12.2001 | 25 | 1 | 75 | 75 |
| 5 | პრინტერი hp-dr-920 | 05.08.2002 | 6 | 1 | 36 | 36 |
| 6 | კომპიუტერი ibsu p-4 2000 | 02.08.2004 | 43-44 | 2 | 75 | 150 |
| 7 | სკანერი | 30.08.2004 | 45-46 | 2 | 45 | 90 |
| 8 | სეიფი 408 | 30.11.2004 | 58 | 1 | 15 | 15 |
| 9 | უწყვეტი კვების ბლოკი ups-650 | 24.01.2005 | 59-66 | 8 | 45 | 360 |
| 10 | ups mgeclips-1500 | 21.12.2006 | 87 | 1 | 75 | 75 |
| 11 | უწყვეტი კვების ბლოკი h-1500 | 22.10.2007 | 28 | 1 | 75 | 75 |
| კომპიუტერული ტექნიკა სულ ჯამი | | | 1014ლარი | | | |

2. ეროვნული ბანკის ყოფილი ბათუმის ფილიალის საოფისე ავეჯი

დანართი N2

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის ნომერი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ავეჯის კომპლექტი | 24.07.1998 | 92 | კომპლექტი | 240 | 240 |
| 2 | სავარძელი | 24.07.1998 | 93-95 | 3 | 9 | 27 |
| 3 | ავეჯის კომპლექტი(საკონფერენციო) | 24.07.1997 | 98 | კომპლექტი | 1500 | 1500 |
| 4 | მაგიდის მისადგამი PSE10 | 07.03.2005 | 122-123 | 2 | 24 | 48 |
| 5 | მრგვალი მაგიდა SUR-12 | 07.03.2005 | 124 | 1 | 66 | 66 |
| 6 | მაგიდა SUAA-20 | 07.03.2005 | 125-128 | 4 | 54 | 216 |
| 7 | სკამი დივანი ორკაციანი | 07.03.2005 | 387-388 | 2 | 38 | 76 |
| 8 | მაგიდა ადმინისტრაციული | 14.12.2005 | 337 | 1 | 135 | 135 |
| 9 | კარადა სამგანყოფილებიანი | 14.12.2005 | 340 | 1 | 75 | 75 |
| 10 | რბილი ტახტი | 17.12.0005 | 345-346 | 2 | 75 | 150 |
| 11 | რბილი ტახტი | 30.12.2005 | 354 | 1 | 54 | 54 |
| 12 | ოფისის მაგიდა | 06.12.2006 | 185 | 1 | 30 | 30 |
| 13 | ოფისის მაგიდა | 28.12.2006 | 186 | 1 | 39 | 39 |
| 14 | ოფისის მაგიდა | 25.07.2007 | 399 | 1 | 39 | 39 |
| 15 | საოფისე მაგიდა | 30.10.2008 | 90 | 1 | 39 | 39 |
| სულ ავეჯი ოფისისათვის | | | | 2734 ლარი | | |

3. ეროვნული ბანკის ყოფილი ბათუმის ფილიალის სხვა ძირითადი საშუალებები

დანართი N3

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის ნომერი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | რკინის კარადა(უჯრიანი) | 27.12.1994 | 177 | 1 | 60 | 60 |
| 2 | რკინის კარადა | 13.10.1994 | 179 | 1 | 60 | 60 |
| 3 | სეიფი | 27.12.1996 | 180 | 1 | 120 | 120 |
| 4 | სეიფი | 07.05.1997 | 182 | 1 | 90 | 90 |
| 5 | მაცივარი-BEKO | 21.07.1998 | 189 | 1 | 90 | 90 |
| 6 | ელექტრო გაზქურა | 30.09.1998 | 195 | 1 | 15 | 15 |
| 7 | რკინის კარადა | 28.09.2000 | 203-204 | 2 | 66 | 132 |
| 8 | ტელეფონის აპარატი-SONY | 31.12.2001 | 188 | 1 | 8 | 8 |
| 9 | მტვერსასრუტი-ULTRA | 30.12.2003 | 232 | 1 | 30 | 30 |
| 10 | ლითონის კარადა (სეიფი) | 22.12.2005 | 350 | 1 | 120 | 120 |
| 11 | მტვერსასრუტი-SAMSUNG | 13.11.2007 | 29,401,402 | 3 | 39 | 117 |
| სხვა ძირითადი საშუალებების ჯამი | 842ლარი | | | | | |

4. ეროვნული ბანკის ყოფილი ბათუმის ფილიალის მცირეფასიანი ინვენტარი

დანართი N4

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის ნომერი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 |
| 1 | რკინის კარადა | 1976 | 657-661 | 5 | 39 | 195 |
| 2 | ლითონის კარადა (ცეცხ) | 31.12.1969 | 662 | 1 | 36 | 36 |
| 3 | რკინის კარადა | 1982 | 663-664 | 2 | 48 | 96 |
| 4 | რკინის კარადა | 1976 | 665 | 1 | 39 | 39 |
| 5 | რკინის კარადა | 1968 | 668 | 1 | 36 | 36 |
| 6 | ორმაგი სეიფი | 1975 | 669 | 1 | 45 | 45 |
| 7 | ლითონის კარადა | 1960 | 670 | 1 | 30 | 30 |
| 8 | ლითონის კარადა | 1969 | 671 | 1 | 35 | 35 |
| 9 | ხალიჩა /200X150/ | 09.09.2002 | 720 | 1 | 9 | 9 |
| 10 | პატარა ხალიჩა | 09.09.2002 | 721 | 1 | 5 | 5 |
| 11 | სკამი | 29.04.2004 | 886-890 | 5 | 5 | 25 |
| 12 | TMS/ელ.დროის ლოზე/ | 10.12.2004 | 920-927 | 8 | 6 | 48 |
| 13 | მაგიდის მისადგამი | 07.11.2005 | 1396 | 1 | 9 | 9 |
| 14 | სამუშაო მაგიდა | 23.02.2005 | 1018-1020 | 4 | 24 | 96 |
| 15 | მაგიდა | 23.02.2005 | 1022-1024 | 3 | 24 | 72 |
| 16 | ხალიჩა | 13.04.2005 | 1165 | 1 | 9 | 9 |
| 17 | დეკორ. ქვიშანა მისადგმელით | 15.04.2005 | 1166 | 1 | 9 | 9 |
| 18 | ხალიჩა/გზა-კვალი/ | 15.04.2005 | 1167 | 41. 2 მ | 3 | 124 |
| 19 | ხალიჩა/გზა-კვალი/ | 15.04.2005 | 1168 | 5. 4 მ | 3 | 16 |
| 20 | სეიფი dlikdeas-1008 p | 27.05.2005 | 1202-1203 | 2 | 9 | 18 |
| 21 | ლანგარი | 22.08.2005 | 1301 | 1 | 5 | 5 |
| 22 | კარადა ერთკარიანი | 23.09.2005 | 1314-1318 | 5 | 11 | 55 |
| 23 | უწყვეტი კვების ბლოკი | 23.09.2005 | 1337 | 1 | 30 | 30 |
| 24 | ფაქსი panasonic | 23.09.2005 | 1341-1342 | 2 | 15 | 30 |
| 25 | დენის მარეგულირებელი | 23.09.2005 | 1344 | 1 | 21 | 21 |
| 26 | ფარდაგი | 31.10.2005 | 1352 | 1 | 5 | 5 |
| 27 | ფარდაგი | 31.10.2005 | 1355 | 1 | 6 | 6 |
| 28 | ხალიჩა | 28.12.2005 | 1429-1430 | 2 | 23 | 46 |
| 29 | გზა-კვალი | 28.12.2005 | 1445 | 60 მ | 3 | 180 |
| 30 | ტუმბო | 30.12.2005 | 1491-1492 | 2 | 15 | 30 |
| 31 | სკამი | 30.12.2005 | 1446-1448, | 5 | 8 | 40 |
| 32 | რბილი სკამი | 01.03.2006 | 601,610-611 | 3 | 8 | 24 |
| 33 | კალკულატორი | 29.03.2006 | 612-613 | 2 | 3 | 6 |
| 34 | ტუმბო უჯრებით | 06.12.2006 | 742 | 1 | 27 | 27 |
| 35 | პრინტერი დ.ჯ.დ 4163 | 21.12.2006 | 850 | 1 | 24 | 24 |
| 36 | თვალსაჩინოების დაფა | 16.02.2007 | 738 | 1 | 6 | 6 |
| 37 | ტელეფონი | 08.11.2007 | 1576-1578 | 3 | 6 | 18 |
| 38 | მტვერსასრუტი სამსუნგ | 13.11.2007 | 1581 | 1 | 30 | 30 |
| 39 | კალკულატორი | 18.01.2008 | 501,552 | 2 | 3 | 6 |
| 40 | ტელეფონი | 18.01.2008 | 678,680 | 2 | 6 | 12 |
| 41 | ტუმბო | 30.01.2008 | 894 | 1 | 27 | 27 |
| 42 | თარო | 30.01.2008 | 804 | 1 | 15 | 15 |
| 43 | მოძრავი ყუთი | 30.01.2008 | 969 | 1 | 8 | 8 |
| 44 | ფეხის საწმენდი ხალიჩა | 04.02.2008 | 980 | 1 | 3 | 3 |
| 45 | კიბე | 04.02.2008 | 1155 | 1 | 12 | 12 |
| 46 | კალკულატორი | 25.02.2008 | 1218,1292,1303 | 3 | 3 | 9 |
| 47 | ტელეფონი | 25.02.2008 | 1304,1418,1452 | 3 | 8 | 24 |
| 48 | ლატოკი ფულის | 10.10.2007 | 1561-1565 | 5 | 3 | 15 |
| | სულ მცირეფასიანი ინვენტარი | | | 1666ლარი | | |

5. თბილისში განთავსებული სხვადასხვა ძირითადი საშუალებები

დანართი N5

| № | შეძენის თარიღი | ინვენტარის დასახელება | რაოდენობა ცალი | ერთეულის ფასი ლარი | ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. | 01.08.2002 | კონდენციონერები "SAMSUNG" | 62 | 39 | 2418 |
| 2. | 01.08.2002 | კონდენციონერი "LG" | 1 | 35 | 35 |
| 3. | 01.08.2003 | წყლის გამაცხელებლები "TERMEQS" | 8 | 42 | 336 |
| | | მთლანი ღირებულებით | | | 2789 ლარი |

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10-%-ს, რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკის N 117904101 ანგარიშზე (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის შეძენაც მას სურს) და „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-41) ელ. ფოსტა lkvirikadze@nbg.ge .

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.